ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 თებერვალი **ორშაბათი** 2013

№033 (13 949) ფასი 80 თეთრი

# პარიზული მონაგარი

## უზნაძემ ელისეს მინდვრებიდან ყველა სინჯის მედალი ჩამოიტანა



ვალერი ლიპარტელიანი (მარცხნიდან მეორე) პარიზის ტურნირის გამარჯვებულია

# მაინც მოუგეთ!

## ვნახოთ, როგორ ააშენებს სოფელს მილტონ ჰეიგი



საქართველო 25:12 პორტუგალია

14

თედო ზიბზიბაძის ლელო

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



12

ავთანდილ ჭრიკიშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა



ამირან პაპინაშვილი ბრინჯაოს დასჯერდა

# სანიკიძემ თასი მოიყუდა

## მარკოიშვილმა და შერმადინმა კი ფინალები დათმეს

**ვიქტორ სანიკიძემ** „ვარეზესთან“ მატჩის დასრულებამდე 15 წამით ადრე ორი საჯარიმო ჩააგდო და სიენის „მონტეპასკისთვის“ მეტოქე მიუწვდომელი გახდა - 77:71. დარჩენილ დროში სხვაობა მხოლოდ სამ ქულამდე შემცირდა, სიენელებმა 77:74 იმარჯვეს და სანიკიძემ პირველი იტალიური ტიტული, თასი მოიგო. ჩვენებურმა 21 წუთი ითამაშა, 5 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა.

■ ■ ■

საბერძნეთის თასის გადამწყვეტი მატჩი „ოლიმპიაკოსსა“ და „პანათინაიკოსს“ შორის გუშინ იტალიურ ფინალზე ნახევარი საათით ადრე დაიწყო და ერთი საათით გვიან დასრულდა. მიზეზი დარბაზში მომხდარი არეულობა იყო, მოედანზე შუშხუნებთან ერთად სკამებიც ისროლეს. ანთებული შუშხუნა „ოლიმპიაკოსის“ კალათბურთელ **ჰაინსს** მოხვდა, თუმცა დიდი შესვენების მიუხედავად მატჩი მაინც გაგრძელდა და „პანათინაიკოსის“ გამარჯვებით დასრულდა - 81:78. ოლიმპიაკოსელმა **გიორგი შერმადინმა** 4 ქულა ჩააგდო.

■ ■ ■

თურქეთის თასის ფინალში **მანუჩარ მარკოიშვილის** „გალათასარაიმ“ „ფენერბაჰჩესთან“ 57:63 დათმო. მანუმ შეხვედრა 9 ქულით დაასრულა.

ვაჟა სიმონიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

● დინამო

# პირველი გამარჯვება



ფოტო: www.fcdinamo.ge

**დინამო — პოლონია 2:1**

0:1 სეთურიძე (6. ავტოგოლი), 1:1 ძარია (9), 2:1 ტეოდორჩიკი (58. ავტოგოლი).

დინამო: ლორია - სეთურიძე, უსტარიცი (42. შაშიაშვილი), რეხვიაშვილი, გლიშიჩი (46. მერებაშვილი) - კოტო (74. ჯილაური), ძარია (42. პაპავა), ხმალაძე (74. დიასამიძე), მილხრაუმი - ჩისკო (46. დვალი), ტატანაშვილი (72. შინდაგორიძე).

თბილისის "დინამომ" თურქულ შეკრებაზე პირველი შეხვედრა მოიგო. საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი პოლონეთის ექსტრაკლასას მესამე ადგილზე მყოფ ვარშავის "პოლონიას" შეხვდა და 2:1 სძლია.

"დინამოს" პრესატაშის, **გიგა გვენცაძის** თქმით, პოლონურ კლუბთან სპარინგში მონაწილეობა არ მიუღიათ მეკარეებს **ლევან ტყეშელაშვილსა და თორნიკე ზარქუას**, აგრეთვე, **გივი კვარაცხელიას, ემანუელ მენდის, მიკელ ალვაროს,** მაღალი ტემპერატურის გამო ვერ ითამაშა **გიორგი გველესიანმა**, ხოლო **დავით ხოჭოლავამ** - მიკრო ტრავმის გამო. პოლონელთა რიგებში კი არ ყოფილა ქართველი ლეგიონერი **ლადო დვალიშვილი.**

ანგარიში მე-6 წუთზე პოლონელებმა გახსნეს: ვარშაველმა **მილოშ პრჟებეჩკიმ** თბილისელთა საჯარიმოსკენ ბურთი ჩაკიდა და **გიორგი სეთურიძემ** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

დინამოელებმა წონასწორობის აღდგენა მალევე მოახერხეს. მე-9 წუთზე ვარშაველთა საჯარიმოს მისადგომებთან **ჩისკოს** წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო **ირაკლი ძარიამ** კარგად გამოიყენა და ახლო მანძილიდან ზუსტი დარტყმით ბადე შეარხია.

საერთოდ, პირველ ნახევარში ორივე გუნდმა ბევრი მომენტი შექმნა: თბილისელთა დაწინაურება შეეძლოთ **დიმიტრი ტატანაშვილსა** და **კარლეს კოტოს** (ორჯერ), თუმცა მათი დარტყმები არაზუსტი გამოდგა.

58–ე წუთზე დინამოელებმა კუთხურის ჩამოწოდების უფლება მოიპოვეს, საჯარიმოში კოტოს ჩაწოდებული ბურთი მეტოქის ფეხბურთელმა, **ლუკაშ ტეოდორჩიკმა** საკუთარ კარში ჩაჭრა და ქართველები დაწინაურდნენ.

პოლონელებმა წარუმატებლად სცადეს ანგარიშის გათანაბრება, მომენტები "დინამომ" კვლავ შექმნა, მაგრამ ვერ ისარგებლა. შეხვედრა ასეც დასრულდა და **დუშან უჰრინის** ხელქვეითებმა საკმაოდ ძლიერ გუნდთან საპატიო გამარჯვებას მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ მოედნის ცენტრში შეჯახების შემდეგ დინამოელთა პოტენციურ ახალწვეულს, ბასკ ცენტრალურ მცველს **უსტარიცს** ექიმების დახმარება დასჭირდა და მოედანი თავშეხვეულმა დატოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ტორპედო. მარბელას თასი



# მარცხი კიევის დინამოსთან

**ტორპედო — დინამო 2:4**

0:1 იარმოლენკო (26), მეჰმედი 0:2 (37), 0:3 ბეზუსი (57), 0:4 კრანჩარი (62), 1:4 დათუნაიშვილი (72), 2:4 საბანაძე (84).

ტორპედო: მიგინეიშვილი - რიგვავა, ონიანი, ტაბატაძე, გურული – დოლიძე (46. დათუნაიშვილი), ჭელიძე (73. საბანაძე), კუხიანიძე, გრიგალაშვილი - ტულუში, ბერიაშვილი.

**დინამო:** კოვალი, ვიდა (58. სიდორჩუკი), მიხალიკი (68. გარმაში), ლიულკა, ტაივო, გარმაში (33. კრანჩარი, (76. კრავეცი)), არუნა (58. ბოგდანოვი), ველოზუ (58. ვუკოევიჩი), იარმოლენკო (62. ცურიკოვი), გუსევი (46. ბეზუსი), მეჰმედი (46. რუბენი),

გაფრთხილება: არუნა (54).

გუშინ ქუთაისის "ტორპედო" „მარბელას თასის" მე-3 ადგილისთვის კიევის "დინამოს" შეხვდა. ქუთაისელები უკრაინული გრანდის წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდნენ, აქტიურობდა **ელგუჯა გრიგალაშვილი**, რომელმაც კიეველთა კარისკენ ორჯერ უშედეგოდ გაისროლა, 29-ე წუთზე კი "დინამოს" მთელ დაცვას ჩაუქროლა, მაგრამ მშვენიერი შეტევა **ტარას მიხალიკმა** შეაჩერა. უშედეგო გამოდგა **გრიგოლ დოლიძისა** და **ბექა ტულუშის** შეტევებიც.

კიეველებმა უფრო მეტი მომენტი შექმნეს და ისარგებლეს კიდეც: 26-ე წუთზე კარში ზუსტად **ანდრეი იარმოლენკომ** დაარტყა – 0:1

კიეველებმა უპირატესობა 37-ე წუთზე გაზარდეს: მცველებს **მეჰმედმა** დაასწრო და 0:2.

გრიგალაშვილმა მეორე ტაიმის 50-ე წუთზეც სცადა მეტოქის კარის აღება და კვლავ უშედეგოდ. კიეველები კი სრულ უპირატესობას დაეუფლნენ: ცნობილი ხორვატის, **ნიკო კრანჩარის** წამოწყებული შეტევა **რომან ბეზუსმა** დააგვირგვინა – 0:3. მალე კი "ტორპედოს" კარი თავად კრანჩარმა აიღო – 0:4.

ტორპედოელებმა თამამად მხოლოდ ამის შემდეგ შეუტიეს. სხვაობა ტრავმის მორჩენის შემდეგ მოედანზე დაბრუნებულმა ნახევარმცველმა **გიორგი დათუინაიშვილმა** მახვილი კუთხიდან დარტყმით შეამცირა – 1:4.

82-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ დარჩა **გიორგი ბერიაშვილი**, მაგრამ მეკარე **მაქსიმ კოვალს** ვერ აჯობა. ორიოდე წუთში კოვალთან ერთი ერთზე უკვე **ნიკა საბანაძე** დარჩა და შანსი გამოიყენა – 2:4.

87-ე წუთზე კიეველთა კარის დალაშქვრას საჯარიმოს ხაზიდან **გიორგი ონიანი** ცდილობდა, მაგრამ მისი დარტყმა კარს ასცდა. ქუთაისის "ტორპედო" კი "მარბელას თასზე" მეოთხე ადგილს დასჯერდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ტრანსფერი

# რობერტინიო: ცხადაძესთან ინტერში

მცირე ხნის წინათ დავწერეთ, რომ თბილისის „დინამოსა" და **რობერტინიოს** გზები გაიყარა. 24 წლის ბრაზილიელ ფლანგის შემტევს გუნდის მთავარი მწვრთნელი **დუშან უჰრინი** არ ენდობოდა: ამ სეზონში ჩატარებულ 14-ივე მატჩში რობერტინიო მოედანზე შეცვლაზე შევიდა.

მისი და კლუბის შეთანხმებით, კონტრაქტი გაწყდა და რობერტინიომ თბილისური კლუბი დატოვა. მაშინ გვითხრა, რომ ბრაზილიაში იმყოფებოდა, მაგრამ დავადგინეთ, რომ თბილისში იყო და 8 თებერვალს თურქეთში მოსამზადებლად მყოფ ერთ-ერთ კლუბს შეკრებაზე შეუერთდა.

რობერტინიომ ისიც დასძინა, რომ ჯერ არსად გადასულა: *"ამაზე არც ვფიქრობ, რადგან ოჯახთან ერთად ყოფნა მომენატრა, კარიერის გაგრძელებაზე ამის შემდეგ ვიფიქრებო. მაგრამ როდესდაც ქართველ მეგობრებს ემშვიდობებოდა, თურმე მათ გაუმხილა, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატში, ბაქოს "ინტერში" აპირებდა გადასვლას.*

ეს ინფორმაცია აზერბაიჯანული კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე დადასტურდა: *"სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ცოტა ხნით ადრე, "ინტერი" კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდა. რობერტინიო სოარეს ანგინეტი (რობერტინიო), რომელიც ადრე თბილისის "დინამოში" გამოდიოდა, ამიერიდან "ინტერში" ითამაშებს".*



რობერტინიო „დინამოს" საბოლოოდ დაემშვიდობა

ჩვენი ინფორმაციით, ბრაზილიელმა თბილისელ მეგობრებს უთხრა, რომ აზერბაიჯანელებთან სამწლიან კონტრაქტს აფორმებდა, თუმცა "ინტერის" პრესსამსახურის ცნობით, **კახა ცხადაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე კლუბის ფორმას რობერტინიო სეზონის ბოლომდე, ანუ ჯერ მხოლოდ ექვსი თვით მოირგებს.

**მერაბ მამულაშვილი**

● სამზადისი

# მეტალურგის მეორე ტესტი

რუსთავის „მეტალურგი" თურქეთში აგრძელებს მზადებას სეზონის განახლებისთვის. გასულ უქმეებზე რუსთაველები მოლდოვურ „აკადემიას" გაეჯიბრნენ და 1:2 დამარცხდნენ. მოლდოვის თორმეტგუნდა ჩემპიონატში „აკადემია" ამ დროისთვის მე-5 ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ წინა საკონტროლო შეხვედრა „მეტალურგმა" პოლონურ „გურნიკთან" დათმო — 0:1.

მოლდოველები პირველი ტაიმის დასაწყისში დაწინაურდნენ, „მეტალურგმა" ანგარიში 65-ე წუთზე გაათანაბრა **გიორგი ოთარაშვილის** გოლით, ვისაც საგოლე პასი **ლაშა ჯაფარიძემ** გადააწოდა. მეორე ბურთი „მეტალურგმა" მე-80 წუთზე გაუშვა.

„მეტალურგმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ბედიაშვილი, ჯაფარიძე (ლობჟანიძე 46), გავაშელიშვილი(ინწკირველი 46), მახვილაძე, სუხიაშვილი, რაზმაძე (ქავთარაძე 60), დობროვოლსკი (განუგრავა 60), გეწაძე (ოთარაშვილი 50), ფიფია, ხაბელაშვილი, სიხარულიძე (ახალკაცი 25).**

თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „მეტალურგი" 12 თებერვალს უკრაინულ „ვორსკლას" გაეჯიბრება, 14 თებერვალს კი ნოვოკუზნეცკის(რუსეთი) „მეტალურგს".

**დავით თავართქილაძე**



გიორგი ყიფიანის გუნდი მზადებას აგრძელებს

● სავარაუდო ტრანსფერი

# თორნიკე თარხნიშვილი ვენტსპილსში ვარჯიშობს

სავარაუდოდ, უცხოეთში გააგრძელებს კარიერას თბილისის "დინამოს" 22 წლის ნახევარმცველი **თორნიკე თარხნიშვილი.** თარხნიშვილი "დინამოში" შარშან ქუთაისის "ტორპედოდან" გადავიდა, მაგრამ ზაფხულში ჩეხი მთავარი მწვრთნელის **დუშან უჰრინის** "სეკვესტრში" მოხვდა და იმ რამდენიმე მოთამაშეს შორის იყო, რომლებიც იძულებულები გახდნენ, იჯარით სხვა კლუბში წასულიყვნენ – ასე აღმოჩნდა თორნიკე ბოლნისის „სიონში".

თარხნიშვილს ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია, დასრულებულ ციკლში ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო და ცხადია, მის ამბიციას "სიონში" თამაში არ აკმაყოფილებდა.

შევიტყვეთ, რომ თარხნიშვილი (რომელსაც მოედნის ცენტრშიც შეუძლია თამაში და ფლანგებზეც), ლატვიურ კლუბს, "ვენტსპილსს" შეუერთდა და სეზონისთვის მასთან ერთად ემზადება.

"ვენტსპილსი" 9 თებერვალს ლიტვის ქალაქ გარგჟდაის "ბანგასთან" საკონტროლო შეხვედრის ჩასატარებლად ესტუმრა. "ბანგას" ვებგვერდზე მატჩის ფოტოები განათავსეს, სადაც ჩანს, რომ ლატვიელთა შემადგენლობაში 25 ნომრით სწორედ თარხნიშვილი თამაშობს.

გუნდებმა ორი შემადგენლობით ითამაშეს: ლატვიელებმა ორივე მოიგეს, პირველი 1:0, მეორე კი 4:0. თარხნიშვილმა გუნდის ფორმა პირველ მატჩში მოირგო, სადაც მის წინააღმდეგ "ბანგაში" ორმა ქართველმა ითამაშა – მარჯვენა მცველმა **გიორგი ქავთარაშვილმა** და თავდამსხმელმა **მურთაზ ჩანგელიამ.** პირველმა სრულად ითამაშა, ჩანგელია კი 70-ე წუთზე შეცვალეს.

გერმანული ინტერნეტ-სააგენტო "ტრანსფერმარკტ"-ი თორნიკე თარხნიშვილის ტრანსფერის სავარაუდო ღირებულებად 175 ათას ევროს ასახელებს.

შეგახსენებთ, რომ თარხნიშვილი თამაშობდა "ზესტაფონში" (2005-07), ცხინვალის "სპარტაკში" (2007-2009), "სიონსა" (2009-2010, 2012) და "ტორპედოში" (2010-2011).

რაც შეეხება "ვენტსპილსს", რიგის "სკონტოს" შემდეგ, ეს გუნდი ლატვიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია: ოთხჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი (2006, 2007, 2008, 2011), ხუთჯერ - თასის მფლობელი (2003, 2004, 2005, 2007, 2011), 2010 წელს კი ბალტიის თასის გამარჯვებული გახლდათ.

2012 წელს ლატვიის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და ევროპის ლიგაზე ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონი

# გამარჯვებამდე მცირედი დააკლდათ

## ზესტაფონი–ლეხია 1:1

1:0 აფციაური (25), 1:1 ზისკა (90)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, თ. ღონღაძე, ლოსანო, კაჭკაჭიშვილი, მილუტინოვიჩი, ბენაშვილი, გორგიაშვილი, იელიჩი, აფციაური, რაჟამაშვილი, კუტალია.

შეცვლაზე შევიდნენ: თორ. გრიგალაშვილი, დიაკიტე, ბაბუნაშვილი, გაგოშიძე, შარიქაძე, სამუშია, სარდალიშვილი, ნინამძლვრიშვილი

ლეხია: ბუხალიკი, დელეუ, ბიენიუკი, იანიჩკი, ბროზეკი, სურმა, პიეტროვსკი, მახაი, ბუზალა, რიკარდინიო, ელ ამინი

შეცვლაზე შევიდნენ: ლაზაი, კაჩპრჟინსკი, ოუალემბო, ზისკა, სმუშინსკი, ვიშნევსკი

გაძევება: დიაკიტე (85)



ზესტაფონი-ლეხია ფოტო: www.fczestafoni.ge

თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ზესტაფონმა" რიგით მეოთხე საკონტროლო მატჩი ჩაატარა. საქართველოს მოქმედი ჩემპიონის მეტოქე ამჯერად პოლონური "ლეხია" იყო. ამ შეხვედრაში "ზესტაფონს" ტრავმის გამო **თედორე გრიგალაშვილი** ვერ დაეხმარა, ხოლო რამდენიმე ფეხბურთელი ფეროელთა მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** დაასვენა.

მატჩი ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა – პირველ 45 წუთში უპირატესობას ქართველები ფლობდნენ, შესვენების შემდეგ კი თამაში პოლონელთა კარნახით წარიმართა. 25-ე წუთზე **თორნიკე გორგიაშვილის** კარგი გადაცემით "ზესტაფონი" **თორნიკე აფციაურმა** დააწინაურა.

მეორე ტაიმში "ლეხია" ბევრს ეცადა თამაშის გადარჩენას, იმერელთა მეკარე **როინ კვასხვაძემ** თავისი გუნდის კარი არაერთხელ გადაარჩინა, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებული დროის მესამე წუთზე მეტოქემ მიზანს მაინც მიაღწია.

როგორც ხედავთ, თავი გაძევებით "გამოიჩინა" "ზესტაფონში" სინჯებზე მყოფმა სენეგალელმა ნახევარმცველმა **პაპე აბდულაიე დიაკიტემ**. ფეროელთა რიგებში ითამაშა სერბმა მცველმა **ივიცა მილუტინოვიჩმა**, რომლის საკითხიც ჯერ ღიად არის. რაც შეეხება ესპანელ უკანახაზელ **ორიოლ ლოსანოს**, მისი "ზესტაფონში" ტრანსფერი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

უკვე გაცნობეთ, რომ 12 თებერვალს "ზესტაფონი" ბოლო თურქულ სპარინგს ბელარუსულ "ტორპედოსთან" ჩაატარებდა, მაგრამ, შესაძლოა, მის მაგივრად კაჭარავას გუნდი ყაზახურ "შახტიორს" შეხვდეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# უმაღლესლიგელმა პირველლიგელს სძლია



ფოტო: www.fcgagra.ge

ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე "ვიტ ჯორჯიამ" მეხუთე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. "მცხეთა პარკზე" ვეტერინარებმა პირველლიგელ "გაგრას" უმასპინძლეს და მეტოქე 2:0 დაამარცხეს. ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა – ანგარიში მატჩის 52-ე წუთზე **გიორგი კორიფაძემ** გახსნა, მეორე გოლი კი 67-ე წუთზე **ლაშა გაბრიჭიძემ** გაიტანა.

ვიტ ჯორჯია: **ნ. დაუშვილი – ხურცილავა (80. იაშვილი), გეთიაშვილი (46. გოგიაშვილი), ადამაძე, კასრაძე (75. ტეტუნაშვილი), მჭედლიშვილი (30. ჯავაშვილი) – დავლაშელიძე, გურ. გურეშიძე, კორიფაძე (68. ღიბრაძე), ჯანელიძე (74. უბილავა) – კუხალეიშვილი (46. გაბრიჭიძე).**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბენდელას თასი

# ჯგუფურის გამარჯვებულები ბოლო ტურში გაირკვა

აფხაზეთის ომის გმირის, ზაზა ბენდელიანის სახელობის თასის ჯგუფური ეტაპი დასრულდა. ჯგუფში გამარჯვებულები ბოლო ტურში გამოვლინდნენ.

| V ტური | |
|---|---|
| **8 თებერვალი.** | |
| ზესტაფონი — ტორპედო | 1:2 |
| **9 თებერვალი** | |
| ქართლი 2011- მეტალურგი 2 | 3:0 |
| ზოოვეტი - ვიტ-ჯორჯია | 0:0 (პენ. 1:4) |
| **10 თებერვალი** | |
| საქართ. უნივერსიტეტი - დინამო 2 | 2:3 |
| ზესტაფონი - იმერეთი | 0:1 |

ტურნირზე ბევრი სენსაცია იყო, მაგრამ განსაკუთრებით ამას გამოვარჩევდით: ხონის "იმერეთმა" სენსაცია გამოაცხო და II ჯგუფში "ზესტაფონი 2" ჩატოვა.

**მეოთხედფინალები**

**13 თებერვალი. მცხეთა პარკი. 15:00**

ვიტ ჯორჯია— იმერეთი

**14 თებერვალი. დიღმის ბაზა. 16:00**

დინამო — ზოოვეტი

**15 თებერვალი. გორი. პარკ არენა. 14:00**

ქართლი -2011 — იუსი ბესტი

**16 თებერვალი. ტორპედოს ბაზა. 14:00**

ტორპედო — სპარტაკი

აღსანიშნავია, რომ 15 თებერვალს "ქართლი" "იუსი ბესტს" გორის "პარკ არენაზე" უმასპინძლებს, რომელიც სწორედ ამ გუნდისთვის, გორის ცენტრალური სტადიონის სიახლოვეს აშენდა. პატარა, კოხტა და კეთილმოწყობილ არენაზე თანამედროვე ხელოვნური საფარი დააგეს. ნახევარფინალები 19 და 20 თებერვალს გაიმართება, 24 თებერვალს მე-3-მე-4 ადგილისთვის იბრძოლებენ, 25 თებერვალს, ზაზა ბენდელიანის დაბადების დღეს კი გამარჯვებული "ბენდელას" სტადიონზე გამოვლინდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონის უქმეები




გურამ კაშია (მარცხნივ) პსვ-სთან თავდაუზოგავად იბრძოდა

# კაშიას ბრძოლა პსვ–სთან და კობის გამოჩენის მოლოდინი

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის 21-ე ტური დღეს ბერლინური დერბით დასრულდება – „ჰერტა" „უნიონს" უმასპინძლებს. შეგახსენებთ, დისკვალიფიკაციამოხდილი **ლევან კობიაშვილი** წინა ტურში 18-კაციან განაცხადში არ შეიყვანეს და საინტერესოა, დღეს მაინც თუ შედგება მისი ოფიციალური დაბრუნება.

"ბოხუმი" კი შინ "რეგენსბურგთან" 0:2 დამარცხდა. **ალექსანდრე იაშვილი** მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში იყო და 36-ე წუთზე შეცვალეს, რისი მიზეზიც "ბოხუმის" მცველის, **კრისტოფ დაბროვსკის** გაძევება იყო – იაშვილის ნაცვლად მოედანზე სხვა უკანახაზელი შევიდა. **ნიკოლოზ გელაშვილი** თამაშში მე-80 წუთზე ჩაერთო. იმ დროისთვის მატჩის საბოლოო ანგარიში უკვე დაფიქსირებული იყო.

ჰოლანდიის ჩემპიონატის ტურის ცენტრალური დაპირისპირება არნემში გაიმართა, სადაც ადგილობრივმა "ვიტესმა" ერედივიზიეს ლიდერ პსვ-ს უმასპინძლა და ფრედ, 2:2 ითამაშა. მართალია, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს შედეგი **გურამ კაშიასა** და **ვაკო ყაზაიშვილის** გუნდისთვის დიდი მონაგარი ვერ არის, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ "ვიტესმა" ორჯერ შეძლო ანგარიშის გათანაბრება, აქედან მეორედ – რიცხობრივ უმცირესობაში მყოფმა.

პირველი ტაიმი "ეინდჰოვენმა" 1:0 მოიგო, 77-ე წუთზე ანგარიში აფრიკის თასიდან დაბრუნებულმა ივუარელმა **ვილფრედ ბონიმ** გაათანაბრა, სტუმრები 78-ე წუთზე კვლავ დაწინაურდნენ, 83-ეზე "ვიტესს" **ტეო იანსენი** გაუძევეს, 88-ეზე კი მასპინძლებს ქულა ბონიმ მოუტანა.

"ვიტესის" კაპიტანმა კაშიამ სრულად ითამაშა, ხოლო ყაზაიშვილი სათადარიგო იყო. პსვ-მ, რომელსაც 47 ქულა აქვს, ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა, "ვიტესი" კი 39 ქულით მესამეა და ჯერ კიდევ აქვს არა მხოლოდ ევროპის ლიგაზე, არამედ ჩემპიონთა ლიგაზე გასვლის შანსიც.

თურქეთის სუპერლიგაში **ზურაბ ხიზანიშვილის** "ქაისერისფორმა" საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცის, **ექტორ კუპერის** მიერ გაწვრთნილ "ორდუსფორს" უმასპინძლა და ფრედ, 0:0 ეთამაშა. "ქაისერის" ქართველმა მცველმა სრულად ითამაშა და მატჩის 90-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. "ქაისერი" ელიტაში დასარჩენად ბრძოლას აგრძელებს.

**შოთა არველაძის** "ქასიმფაშა", რომელიც ევროპის ლიგის საგზურისთვის იბრძვის, დღეს სტუმრად "გაზიანთეფსფორს" დაუპირისპირდება.

გასულ შაბათს აზერბაიჯანული პრემიერლიგა განახლდა და ჩვენთვის საინტერესო მატჩებიც გაიმართა. დავიწყოთ ზაქათალის "სიმურგით", სადაც, მართალია, ქართველი ფეხბურთელი არ თამაშობს, მაგრამ, გუნდს **გიორგი ჩიხრაძე** წვრთნის. "სიმურგმა" პრემიერლიგის საშემოდგომო ეტაპი მეორე ადგილზე დაასრულა, რაც დიდ მოულოდნელობად შეფასდა – არც ბიუჯეტით და არც შემადგენლობით ამ კლუბს ფავორიტთა შორის არავინ მოიაზრებდა.

შაბათს "სიმურგი" სტუმრად აზალ-ს 1:1 დაუზავდა. ჩიხრაძის გუნდი მეორე წუთზევე დაწინაურდა **ზდრავკო პოპოვიჩის** გოლით, მაგრამ აზალ-მა მეორე ტაიმის დასაწყისში გატანილი ბურთით ქულა გადაარჩინა.

"თურანი" გასვლით შეხვედრაში 0:2 დამარცხდა "რავანთან". "თურანის" სასტარტო შემადგენლობაში იყო **ირაკლი ბერაია**, რომლის ნაცვლადაც შესვენების შემდეგ მოედანზე **დავით ჯანელიძე** შევიდა.

ვერც **გიორგი ფოფხაძის** "ბაქიმ" გაიმარჯვა, რომელმაც "სუმგაითს" უმასპინძლა და 1:1-ს დასჯერდა. ბაქოელთა ქართველმა მცველმა მატჩი შეუცვლელად ჩაატარა.

ბაქოს "ინტერი", სადაც ქართული ლეგიონი ყველაზე წარმომადგენლობითია (მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე**, ფეხბურთელები – **გიორგი ლომაია, რევაზ თევდორაძე, ვალერი აბრამიძე, ილია კანდელაკი, ბაჩანა ცხადაძე, გიორგი ადამია**), დღეს ლენქორანის "ხაზარს" ესტუმრება და გამარჯვების შემთხვევაში, მეორეადგილოსან "სიმურგთან" სამქულიან უპირატესობას შეიქმნის. რაც შეეხება "თურანსა" და "ბაქის", მათი ამჟამინდელი სატურნირო მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა და ევროსარბიელზე გასვლის შანსი, ფაქტობრივად, ალარ აქვთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**


დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

DINAMO TBILISI 1925

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1მარტიდან დაიწყება.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით

დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge

ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.

დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N 2

რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | მზადება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ზესტაფონი<br>კახა კაჭარავა | **კობახიძე (ალანია, რუსეთი), მამალაძე (დილა), მენთეშაშვილი (?), ელიავა (სიონი, იჯარით), მილხრაუმი (დინამო თბ)** | ლ. კუტალია, ენდელაძე (ორივე ზუგდიდი), ჭანკოტაძე (სიონი, იჯარა დაუმთავრდა), რეკრუკი (?), ლოსანო (მურსია, ესპანეთი), ლოპესი (გვატემალა), მილუტინოვიჩი (სერბეთი), დიაკიტე (სენეგალი) | **10 იანვრიდან - ზესტაფონში**<br>სპარტაკი 0:2, დინამო ბთ 5:0<br>**29 იანვრიდან - ანთალიაში**<br>ყარაბახი (აზერბაიჯანი) 0:2<br>რუხი (პოლონეთი) 0:0,<br>ვორსკლა (უკრაინა) 1:1,<br>ლეხია (პოლონეთი) 1:1 |
| მეტალურგი<br>გიორგი<br>ყიფიანი | ი. მაისურაძე (დილა), ტატანაშვილი (დინამო თბ), თექთურმანიძე (დინამო თბ, იჯარა დაუმთავრდა), ჰოსმანი (?), დ. ჯანელიძე (?), კაკუშაძე (?), გიორ. გურეშიძე (?) | კორღალიძე (ზიმბრუ, მოლდოვა), ახალკაცი (დილა), მ. ალავიძე (?), ფიფია (თურანი, აზერბაიჯანი) | **12 იანვრიდან - რუსთავში**<br>სტუ 5:0, ვიტ ჯორჯია 2:1<br>**1 თებერვლიდან - ანთალიაში**<br>გურნიკი (პოლონეთი) 0:1,<br>აკადემია (მოლდოვა) 1:2 |
| ტორპედო<br>გია გეგუჩაძე | იოსელიანი (კეჩკემეტი, უნგრეთი) | გ. ონიანი (დილა), ცინცაძე (დაუგავა, ლატვია) | **18 იანვრიდან - ქუთაისში**<br>სამტრედია 0:2,<br>საპოვნელა 13:0, შუქურა 2:0,<br>სამგურალი 7:0<br>**1 თებერვლიდან - ესპანეთში**<br>რაპიდი (რუმინეთი) 1:1, პენ 4:3<br>დინამო (რუმინეთი) 1:2<br>დინამო (კიევი) 2:4 |
| დინამო (თბ)<br>დუშან უჰრინი<br>(უმცროსი) | **ვოსკობოინიკოვი (?), იაგუე (?), ლექვთაძე (სიონი, იჯარით), გოგუა (დილა), რობერტინიო (ინტერი, აზერბაიჯანი),** თექთურმანიძე (?), პარუნაშვილი (?), სეფიაშვილი (?) | **შაშიაშვილი (დილა), მილხრაუმი (ზესტაფონი), ტატანაშვილი (მეტალურგი),** თექთურმანიძე (მეტალურგი, იჯარა დაუმთავრდა), შინდაგორიძე (?), დიასამიძე (დინამო ბთ), მენდი (?), რადოვანოვიჩი (?), უსტარიცი (ესპანეთი) | **15 იანვრიდან - თბილისში**<br>**21 იანვრიდან - ანთალიაში**<br>შახტიორი (ყაზახეთი) 0:1,<br>ვორსკლა (უკრაინა) 0:2<br>ილიჩოვეცი (უკრაინა) 2:2<br>**5 თებერვლიდან - ანთალიაში**<br>ამკარი (რუსეთი) 1:1,<br>პოლონია (პოლონეთი) 2:1 |
| დილა<br>ვალდას<br>ივანაუსკასი | **გ. დარასელია (მთ. მწვრთნელი, სკა ხაბაროვსკი, რუსეთი), შაშიაშვილი (დინამო თბ), სკენდერი (სონდერიისკე, დანია),** სალუქვაძე, ხოჯავა (ორივე სკა ხაბაროვსკი), ს. გურული (დინამო ბთ), გ. ონიანი (ტორპედო), ახალკაცი (მეტალურგი), შ. კაშია (ჩიხურა), ბეჟვაია (ნეფტეხიმიკი, რუსეთი) | **ვ. ივანაუსკასი (მთ. მწვრთნელი)** ი. მაისურაძე (მეტალურგი), კვახაძე (უგუნდოდ), მამალაძე (ზესტაფონი), გოგუა (დინამო თბ), თოთაძე (დინამო ბთ), იკსტენსი (ლატვია), ი. ლომიძე (?), ალვარო (?), ალექსი (?), ლობე (?), ტატაულინი (?), მურატოვი (?), რამოსი (?), არაბული (?) | **17 იანვრიდან - თბილისში**<br>ვიტ ჯორჯია 2:0<br>**21 იანვრიდან - თურქეთში**<br>ნოიშტადატდი (ავსტრია) 1:1<br>ბარუერი (ბრაზილია) 2:1<br>სალუტი (რუსეთი) 1:1<br>ბოლესლავი (ჩეხეთი) 3:2 |
| კოლხეთი<br>სოსო ფილია | **გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე დინამო ბთ), ცხადაია (სიონი),** | ზამ. ჯანაშია (?), როსინი (?) | **19 იანვრიდან - ფოთში**<br>სამტრედია 2:1, გურია 2:2,<br>სქური 1:0, მერანი 1:0 |
| მერანი<br>მალხაზ ჟვანია | გ. ჟვანია (დინამო ბთ), მჭედლიშვილი (ვიტ ჯორჯია) | **გ. მეგრელაძე (უგუნდოდ),** სიჭინავა (დინამო ბთ), **კრისი (ნიგერია),** ხუმარაშვილი (?) | **20 იანვრიდან - მარტვილში**<br>კოლხეთი (ფ) 0:1<br>**12 თებერვლიდან - ურეკში** |
| სიონი<br>არმაზ ჭელიძე | ქუცურუა (?), ჭედია (?), ჩიკვილაძე (?), დ. ლომაია (?), ხუბუა (?), მაჭავარიანი (?), რ. ჯიქია (?), ფეიქრიშვილი (?), ჭანკოტაძე (ზესტაფონი, იჯარა დაუმთავრდა), თარხნიშვილი (ვენტსპილსი, ლატვია) | ბიბილეიშვილი (სტუ), ფოფხაძე (ზუგდიდი), მიკუჩაძე (ისრაელი), ელიავა (ზესტაფონი, იჯარით), მერლანი (ზუგდიდი), ლექვთაძე (დინამო თბ, იჯარით), ახალაია (უგუნდოდ), ცხადაია (კოლხეთი), ო. გველესიანი (უგუნდოდ), ჩივაძე (უგუნდოდ), ჰაიდუჩეკი (პოლონეთი), საპირი (ისრაელი), ფალავანდიშვილი (?) | **18 იანვრიდან - თბილისში**<br>ზოოვეტი 2:1, სასკო 4:0, ჩიხურა 2:1<br>გაგრა 0:2<br>**5 თებერვლიდან - თურქეთში** |
| ვიტ ჯორჯია<br>მერაბ<br>კოჭლაშვილი | ჩიმაკაძე (დინამო ბთ), ზაქრაძე (?), ღანიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე (ნეფტეხიმიკი, რუსეთი), მჭედლიშვილი (მერანი) | **16 იანვრიდან - მცხეთაში**<br>სტუ 3:0, დილა 0:2, ჩიხურა 2:1<br>გაგრა 2:0 |
| ზუგდიდი<br>ელგუჯა<br>ქომეთიანი | ს. თოდუა (გურია), კუტალია, ენდელაძე (ორივე ზეტაფონი), კოშკაძე (დინამო ბთ), მერლანი, ფოფხაძე (ორივე სიონი), დ. ბოლქვაძე (ჩიხურა) | ხუხია (დინამო ბთ), გამრეკლიძე (?) | **23 იანვრიდან - ზუგდიდში**<br>კოლხეთი (ხ) 3:2, გურია 0:0,<br>ლაზიკა 2:1<br>**10 თებერვლიდან - თურქეთში** |
| ჩიხურა<br>სოსო ფრუიძე | | დ. ბოლქვაძე (ზუგდიდი), ჩირიკაშვილი (უგუნდოდ), შ. კაშია (დილა), ჭედია (სიონი) | **16 იანვრიდან - საჩხერეში**<br>სიონი 1:2, ვიტ ჯორჯია 1:2<br>**4 თებერვლიდან - თურქეთში** |
| დინამო (ბთ)<br>გია გურული | **ს. გურული (დილა),** დიასამიძე (დინამო თბ), ხუხია (ზუგდიდი), სიჭინავა (მერანი), კაკულია (?), კილაძე (გურია), ბალაძე (?), კლოვისი (?), ცნობილაძე (?), ტიმჩიშინი (?), თოთაძე (დილა) | ჩიმაკაძე (ვიტ ჯორჯია), ქუცურუა (სიონი), გ. ჟვანია (მერანი), გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე კოლხეთი), კოშკაძე (ზუგდიდი), შალამბერიძე (პოლონეთი), მუჯრიშვილი (?) | **16 იანვრიდან - ბათუმში**<br>გურია 3:0<br>**7 იანვრიდან - ანთალიაში** |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

საფრანგეთი. ლიგა 1. XXIV ტური.

## პარი სენ ჟერმენი შეუჩერებელია

### მარსელს მესამე ადგილიც საეჭვო გაუხდა

**პსჟ-ბასტია 3:1**

**გოლები:** 1:0 მენეზი (56), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (71-პენ), 2:1 ხაზრი (83), 3:1 ლავეცი (89).

**სტ. ეტიენი-მონპელიე 4:1**

**გოლები:** 1:0 ბრანდაო (13), 2:0 ობამეიანი (29), 3:0 მოლო (48), 3:1 კაბელია (49), 4:1 ბოდმერი (75).

**აიაჩო-ბორდო 1:0**

**გოლი:** 1:0 რ. ფატი (31).

**ნანსი-რეიმსი 1:2**

**გოლები:** 1:0 პუიგრენიე (29), 1:1 აიტე (48), 1:2 ოდერ ფორტესი (58).

**ნიცა-ლორიანი 1:1**

**გოლები:** 0:1 მარეკი (75), 1:1 ეისერიკი (82).

**ვალანსიენი-ბრესტი 2:1**

**გოლები:** 1:0 დოსევი (10), 2:0 მატერი (45), 2:1 რასპენტინო (90).

**ტრუა-სოშო 0:0**

**ევიანი-მარსელი 1:1**

**გოლები:** 0:1 ჟინიაკი (51), 1:1 საგბო (59-პენ).

**გაძევება:** აბდალა (58. მარსელი), ჯ. აიუ (75. მარსელი).

**რენი-ტულუზი 2:0**

**გოლები:** 1:0 ალესანდრინი (79), 2:0 ერდინჩი (84).

**ლიონი-ლილი 1:3**

**გოლები:** 0:1 შეჯუ (28), 0:2 ბალმონი (45), 0:3 ს. კალუ (50-პენ.), 1:3 ლოპესი (57-პენ.)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 24 | 15 | 6 | 3 | 45-13 | 51 |
| 2. ლიონი | 24 | 13 | 6 | 5 | 39-24 | 45 |
| 3. მარსელი | 24 | 13 | 4 | 7 | 31-29 | 43 |
| 4. სტ. ეტიენი | 24 | 11 | 7 | 6 | 36-18 | 40 |
| 5. რენი | 24 | 12 | 4 | 8 | 37-30 | 40 |
| 6. ნიცა | 24 | 10 | 9 | 5 | 36-28 | 39 |
| 7. ბორდო | 24 | 9 | 11 | 4 | 26-16 | 38 |
| 8. ლორიანი | 24 | 9 | 9 | 6 | 39-38 | 36 |
| 9. მონპელიე | 24 | 10 | 5 | 9 | 39-32 | 35 |
| 10. ლილი | 24 | 8 | 10 | 6 | 30-25 | 34 |
| 11. ვალანსიენი | 24 | 9 | 6 | 9 | 34-35 | 33 |
| 12. ტულუზი | 24 | 8 | 7 | 9 | 30-30 | 31 |
| 13. აიაჩო | 24 | 7 | 9 | 8 | 27-32 | 28 |
| 14. ბასტია | 24 | 7 | 5 | 12 | 29-50 | 26 |
| 15. ბრესტი | 24 | 7 | 3 | 14 | 24-35 | 24 |
| 16. რეიმსი | 24 | 5 | 8 | 11 | 21-28 | 23 |
| 17. ევიანი | 24 | 5 | 8 | 11 | 24-36 | 23 |
| 18. სოშო | 24 | 6 | 5 | 13 | 22-34 | 23 |
| 19. ტრუა | 24 | 3 | 9 | 12 | 26-44 | 18 |
| 20. ნანსი | 24 | 3 | 9 | 12 | 22-40 | 18 |

**შენიშვნა:** „აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 21 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 12 – ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 11 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 10 – ალესანდრინი (რენი); 9 - ალიადიერი (ლორიანი), ბენ ბასატი (ბრესტი/ტულუზი), ბენ იედერი (ტულუზი), მოდესტი (ბასტია), ერდინჩი (რენი).

24-ე ტური პარასკევს, „პარი სენ ჟერმენის" მატჩით გაიხსნა. ჩემპიონატის ლიდერს „ბასტია" ესტუმრა, რომელიც, რა თქმა უნდა, დამარცხა, თუმცა სტუმრებს შეუძლიათ იამაყონ იმ ფაქტით, რომ **სალვატორე სირიგუს** მშრალი სერიის შეწყვეტა მოახერხეს – იტალიელ კიპერს გოლი 803 წუთის განმავლობაში არ ჰქონდა გაშვებული, სანამ 83-ე წუთზე მისი კარი **ვაჰბი ხაზრიმ** არ აიღო. ხაზრის გოლმა შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნა, მაგრამ ბოლოსწინა წუთზე **ესეკილ ლავეციმ** ყველა კითხვას პასუხი გასცა.

ალსანიშნავია, რომ დიდი უპირატესობის მიუხედავად, პარიზელებმა ანგარიშის გახსნა მხოლოდ მეორე ტაიმში მოახერხეს. 56-ე წუთზე **ხავიერ პასტორეს** პასით **ჟერემი მენეზმა** გაიტანა, ამის შემდეგ მოედანზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გამოვიდა და მინდორზე შესვლიდან ხუთ წუთში 11-მეტრიანი გოლად აქცია.

საბოლოოდ, 3:1 და „პარი სენ ჟერმენმა" დაუმარცხებელი მატჩების სერია 9-მდე გაზარდა (8 მოგება და 1 ფრე). შეხვედრის შემდეგ კმაყოფილი ჩანდა **კარლო ანჩელოტი**, რომელმაც რამდენიმე ლიდერი სათადარიგო სკამზე დასვა და „ვალენსიასთან" სამშაბათს გასამართი მატჩისთვის დაასვენა.

*„ჩვენ მოვიგეთ, სამი ქულა ავიღეთ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ახლა წნეხის ქვეშ ჩვენი მეტოქეები არიან, რომლებმაც აუცილებლად უნდა მოიგონ, თორემ ჩამოგვრჩებიან. ახლა, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრას თავდაჯერებულები ვხვდებით. კარგია, რომ „ვალენსიასთან" მატჩის წინ რამდენიმე ფეხბურთელს განტვირთვის საშუალება მიეცა. იბრას სკამზე დატოვება რთული იყო, მაგრამ მან ყველაფერი გაიგო, ისევე როგორც მატუიდიმ და სახომ. რა თქმა უნდა, არ გვსურდა, რომ რომელიმე წამყვანი ფეხბურთელი ტრავმის გამო გამოგვკლებოდა,"* – განაცხადა იტალიელმა სპეციალისტმა.

კვლავ ვერ მოიგო „მარსელმა" და პსჟ-ს უკვე 8 ქულით ჩამორჩა. **ელი ბოპის** გუნდი ერთ-ერთ აუტსაიდერ „ევიანს" სტუმრობდა და 51-ე წუთზე **ანდრე-პიერ ჟინიაკის** გოლით იგებდა კიდეც, თუმცა სიტუაცია 58-ე წუთზე შეიცვალა, როდესაც **კასიმ აბდალამ** საჯარიმოში იუხეშა, რასაც პენალტის დანიშვნა და აბდალას გაძევება (მეორე ყვითელი ბარათი მიიღო) მოჰყვა. 11-მეტრიანი **იანიკ საგბომ** გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა. მატჩის 73-ე წუთზე, მინდორზე **ჟორდან აიუ** გამოვიდა, რომელმაც მოახერხა და ორ წუთში ორი ყვითელი ბარათი მიიღო. 9 კაცით დარჩენის შემდეგ, სტუმრებს შეტევაზე, რა თქმა უნდა, აღარ უფიქრიათ. „ევიანი" ბოლო წუთებზე დიდ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ „მარსელმა" გაძლო და შინ ქულა წაიღო.

ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო „სენტ ეტიენმა" და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე გადავიდა. „მწვანეებმა" მოქმედი ჩემპიონი „მონპელიე" **ბრანდაოს, პიერ-ემერიკ ობამეიანის, იოან მოლოს** და **მატიო ბოდმერის** გოლების წყალობით გაანადგურეს.

„რეიმსმა" სტუმრად „ნანსი" დაამარცხა. ამ შეხვედრას საერთოდ არ ვახსენებდით, რომ არა ერთი ისტორიული ფაქტი: ეს იყო „რეიმსის" პირველი საგარეო გამარჯვება 1978 წლის 25 აპრილის შემდეგ, როდესაც ამ გუნდმა „სოშოს" მოუგო (3:2). სხვათა შორის, „ნანსის" მხრიდან გოლი 31 წლის მცველმა **სებასტიან პუიგრენიემ** გაიტანა, ვინც 4 გოლით გუნდის საუკეთესო ბომბარდირია.

ორი ლიდერის, **რომენ ალესანდრინის** და **მევლუთ ერდინჩის** გოლებით მოიგო „რენმა", რომელმაც შინ „ტულუზი" დაამარცხა. **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდი „სენტ ეტიენს" წამოეწია და ახლა ეს ორი კლუბი, მესამე ადგილზე მყოფ „მარსელს" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება. თუ ამ სამი კლუბის ფორმას გავითვალისწინებთ, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ არის.

[illegible] XXII ტური

**დენ ჰააგი-ბრედა 2:1**

**გოლები:** 1:0 ვისენტო (50), 2:0 ჩერი (68), 2:1 ტენ ვოორდე (83).

**გრონინგენი-ვაალვაიკი 2:1**

**გოლები:** 0:1 ბრაბერი (24-პენ), 1:1 ზეეფუიკი (32-პენ), 2:1 ზეეფუიკი (69-პენ).

**ჰერაკლესი-ვილემ II 4:1**

**გოლები:** 0:1 ვოსებელტი (6), 1:1 ვეინოვიჩი (19), 2:1 ბრუნსი (26), 3:1 დუარტე (44), 4:1 ბრუნსი (61).

**ჰერენვენი-ვენლო 2:2**

**გოლები:** 0:1 ნვოფორი (36), 0:2 სეიპი (68), 1:2 მარეჩეკი (69), 2:2 ფინბოგასონი (90).

**ვიტესი-პსვ 2:2**

**გოლები:** 0:1 მერტენსი (19-პენ), 1:1 ბონი (77-პენ), 1:2 ვაინალდუმი (78), 2:2 ბონი (88).

**გაძევება:** ტ. იანსენი (83. ვიტესი).

**უტრეხტი-ნაიმეგენი 0:3**

**გოლები:** 0:1 პლატიე (15), 0:2 ფალკენბურგი (85), 0:3 ბოიმანსი (90).

**აიაქსი-როდა 1:1**

**გოლები:** 0:1 რამზი (39), 1:1 ბლინდი (54).

**ფეიენოორდი-ალკმაარი 3:1**

**გოლები:** 1:0 ბოეტიუსი (24), 1:1 ბეერენსი (63), 2:1 კლასი (72), 3:1 ვილენა (90).

**ზვოლე-ტვენტე 1:1**

**გოლები:** 0:1 ტადიჩი (11), 1:1 ავდიჩი (81-პენ).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 22 | 15 | 2 | 5 | 75-24 | 47 |
| 2. აიაქსი | 22 | 12 | 8 | 2 | 51-24 | 44 |
| 3. ფეიენოორდი | 22 | 13 | 5 | 4 | 43-28 | 44 |
| 4. ტვენტე | 22 | 12 | 7 | 3 | 38-19 | 43 |
| 5. ვიტესი | 22 | 11 | 6 | 5 | 41-28 | 39 |
| 6. უტრეხტი | 22 | 11 | 6 | 5 | 33-25 | 39 |
| 7. ნაიმეგენი | 22 | 9 | 6 | 7 | 31-34 | 33 |
| 8. დან ჰააგი | 22 | 6 | 10 | 6 | 35-40 | 28 |
| 9. ჰერაკლესი | 22 | 6 | 9 | 7 | 44-44 | 27 |
| 10. გრონინგენი | 22 | 7 | 5 | 10 | 22-33 | 26 |
| 11. ალკმაარი | 22 | 6 | 6 | 10 | 32-38 | 24 |
| 12. ვაალვიკი | 22 | 5 | 8 | 9 | 25-29 | 23 |
| 13. ჰერენვენი | 22 | 5 | 8 | 9 | 31-42 | 23 |
| 14. ბრედა | 22 | 6 | 5 | 11 | 24-39 | 23 |
| 15. როდა | 22 | 4 | 9 | 9 | 30-43 | 21 |
| 16. ზვოლე | 22 | 4 | 8 | 10 | 22-35 | 20 |
| 17. ვენლო | 22 | 3 | 7 | 12 | 25-48 | 16 |
| 18. ვილემ II | 22 | 2 | 7 | 13 | 20-49 | 13 |

**ბომბარდირები:** 18 – ბონი (ვიტესი); 16 – ფინბოგასონი (ჰერენვენი); 15 – ალტიდორი (ალკმაარი), პელე (ფეიენოორდი).

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტური

# 12 ტური, ქულა

## მარცხი და უფსკრული

შაბათს სატურნირო თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა „სენტ მერიზე" გაიმართა. მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გადაწყდა, რომ „საუთჰემპტონს" ტრავმების გამო წამყვანი ფეხბურთელები **ლუკ შოუ** და **გასტონ რამირესი** დააკლდებოდნენ. მართალია, **რობერტო მანჩინის იაია ტურე** დაუბრუნდა, მაგრამ იტალიელსაც ბევრი ლიდერი აკლდა.

მასპინძლებმა შეხვედრა კარგად დაიწყეს და მეტოქე საკუთარ კარს მიაჯაჭვეს. გამორჩეული იყო **ჯეისონ პანჩეონი**, ვინც დაუღალავად მოძრაობდა მარჯვენა ფლანგზე. პირველი გოლისას სწორედ მან ჩაჭრა **გარეთ ბარის** გადაცემა, წამოიწყო კონტრშეტევა, გაიყვანა მეკარესთან პირისპირ **ჯეი როდრიგესი**, ვისი დარტყმულიც **ჯო ჰარტმა** მოიგერია, თუმცა დამატებაზე პირველი ისევ თავად გაჩნდა. პანჩეონი მონაწილეობდა მეორე საგოლე კომბინაციაშიც. **რიკი ლამბერტმა** ჰარტს ძლიერად დაურტყა. ინგლისის ნაკრების მეკარე უხეშად შეცდა. ბურთი მას ხელიდან გაუვარდა და ფეხებს შორის გაუძვრა. **საიმონ დევისმა** ნახტომში შეძლო ბურთს მიწვდომოდა და ანგარიშში სხვაობა გაეზარდა. ჩემპიონებმა ამის შემდეგ ერთადერთი რეალური მომენტი შექმნეს და გაიტანეს კიდეც. კონტრშეტევაზე **პაბლო საბალეტას** გადაცემით უხერხული მდგომარეობიდან **ედინ ჯეკომ** გამოიჩინა თავი. ტაიმის მიწურულს ბარიმ „წმინდანების" შეტევა საკუთარი კარის ალებით დაასრულა. არადა, ლამბერტის ფლანგური გადაცემა საკმაოდ პრიმიტიული იყო და სტუმართა შუახაზელს ხელს არც არავინ უშლიდა. მანჩინის თქმით, ამ მარცხის შემდეგ მის გუნდს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნების მიზერული შანსიღა შერჩა.


გარეთ ბეილი ნიუკასლთან საუკეთესო იყო

## ათკაციანი არსენალიც ძალაა

„არსენალმა" პირველ ტაიმში მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობა. მარტო **თეო უოლკოტს** ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა. ამდენჯერვე მართებდა ანგარიშის გახსნა **აარონ რემსისაც**, მაგრამ ყოველ ჯერზე დიდებულად თამაშობდა **სიმონ მინიოლე**. თავის მხრივ მასპინძლებს **ვოიცეხ შჩესნის** საჯარიმოსთან მიახლოებაც კი უჭირდათ. 36-ე წუთზე ბელგიელის ციხე-სიმაგრე დაეცა. უოლკოტმა მოუხერხებელი პოზიციიდან კარში დარტყმის ნაცვლად ბურთი **სანტი კასორლას** დაუგორა. საჯარიმოს გარედან ესპანელის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა. მინიოლეს საკუთარი მცველები ეფარებოდნენ, რის გამოც მას ამ ეპიზოდში შანსი არ ჰქონდა.

მეორე ნახევარი სულ სხვა სცენარით წარიმართა, რადგან „მეთოფეებს" 50-ე წუთზე ტრავმის გამო ჯერ **ჯეკ უილშირი** დააკლდათ, 62-ეზე კი მოედანზე კაცნაკლულნი დარჩნენ. **ენტონი ტეილორმა კარლ ჯენკინსონს** მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა, თანაც ერთი და იმავე სტილის უხეშობისთვის. „შავმა კატებმა" მატჩის სადავეები ხელთ იგდეს და თამაში სტუმართა ნახევარზე გადაიტანეს. **არსენ ვენგერმა** ათასგზის უნდა გადაუხადოს მადლობა შჩესნის, ვინც დარჩენილ დროში სასწაულებს აკეთებდა. პოლონელს გამძლეობა საფინალო სასტვენამდე ეყო.

## ერთი წუთის კაცი

„ჩელსიმ" **რაფა ბენიტესის** დანიშვნის შემდეგ პირველად მოახერხა მიჯრით ორი საშინაო შეხვედრის მოგება. სწორედ „სტემფორდ ბრიჯზე" სუსტი ასპარეზობა იქცა კიდეც საჩემპიონო მარათონიდან ლონდონელთა გამოთიშვის წინაპირობად. „ლურჯებმა" დებიუტშივე სცადეს ანგარიშის გახსნა, თუმცა არაფერი გამოუვიდათ. 23-ე წუთზე **რამირესი ალი ალ ჰაბსისთან** დარჩა პირისპირ. ბრაზილიელმა ტექნიკური დარტყმით შეძლო შეტევის დაგვირგვინება. ომანელმა გოლკიპერმა მალე სტუმარი მეორე გოლისგან იხსნა. თავით **ფერნანდო ტორესი** ურტყამდა. „ელ ნინიოსთვის" ეს უკვე მეცხრე უგოლო თამაშია. ტაიმი ასევე დასრულდა. მეორე ნახევარში „სტემფორდ ბრიჯმა" სამჯერ გაიხარა. ლიგის თასის 1/2-ფინალში ბურთის მიმწოდებელი ბავშვის გალახვისთვის დასჯილმა **ედენ აზარმა** დაბრუნება გოლით აღნიშნა. ამ ეპიზოდისთვის მადლობა ეკუთვნის პასის ავტორ **სესარ ასპილიკუეტასაც**. 2 წუთში ანგარიშში სხვაობა შემცირდა. **შონ მელონი პეტრ ჩეხთან** მარტო დარჩა. მეკარემ სცადა გზის გადაჭრა, მაგრამ შოტლანდიელმა მას ბურთი გვერდიდან შემოატარა და ბადეში გაახვია. **გარი კეჰილის** მცდელობას, ბურთი ხაზიდან გამოეტანა, შედეგი არ მოუტანია. 73-ე წუთზე **მაიკ დინმა** უხეში შეცდომა დაუშვა, როცა **ეშლი კოულის** მიერ საჯარიმოში ხელით თამაშისთვის პენალტი არ დანიშნა. შეგახსენებთ, რომ კიდევ უფრო სკანდალური იყო „უიგანის" შარშანდელი სტუმრობა ამ სტადიონზე. მასპინძელმა 2:1 იმარჯვა და მაშინ **მაიკლ ჯონსმა ბრანისლავ ივანოვიჩსა** და **ხუან მატას** გოლები თამაშგარედან ჩაუთვალა. 86-ე წუთზე **ფრენკ ლამპარდმა** აზარის დაგორებული ბურთი საჯარიმოს გარედან დასცხო ზუსტად. ის კიდევ უფრო მიუახლოვდა „ჩელსის" ყველა დროის ბომბარდირის ტიტულს. შეხვედრას წერტილი **მარკო მარინმა** დაუსვა. გერმანელი მოედანზე რამდენიმე წამის გამოსული იყო. მან იქვე ყვითელი ბარათიც მიიღო.

კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართა ლონდონში. „უაით ჰარტ ლეინს" „ნიუკასლი" ეწვია და თანაბარ ბრძოლაში 2:1 დაამარცხა. განსხვავება გუნდებს შორის **გარეთ ბეილი** იყო. უელსელმა ვარსკვლავმა ანგარიში ბრწყინვალე საჯარიმოთი გახსნა. მანვე ააცალა ბურთი ცხვირწინ **ფაბრისიო კოლოჩინის**, გავიდა **ტიმ კრულთან** პირისპირ და ჰოლანდიელს ახლო კუთხეში დაურტყა. უსიამოვნება შეემთხვა სტუმართა მხრიდან გოლის ავტორ **იოან გუფრანს**. ფრანგმა ახალწვეულმა **კაილ უოლკერთან** ბრძოლისას ტრავმა მიიღო. კარგია, რომ ის ფეხის მოტეხას გადაურჩა.

როგორც ვიწინასწარმეტყველეთ, თავიანთი სერიები დაასრულეს „სტოკმა" და „რედინგმა". „ბრიტანიაზე" „არისტოკრატებს" ქულა რომ მოეპოვებინათ, ნამდვილად უსამართლობა იქნებოდა.

„სუონსიმ" „ქუინზ პარკს" საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა. ბოლო შეხვედრებში დედაქალაქელთა მწყობრად მოთამაშე დაცვა „გედებმა" მარტივ მამრავლებად დაშალეს. ბომბარდირთა სიის ლიდერებს დაუბრუნდა **მიგელ მიჩუ**. ესპანელმა დუბლი შეასრულა.

## ლიგის დაწყებამდე

„მანჩესტერ იუნაიტედს" 13 თებერვალს „სანტიაგო ბერნაბეუზე" ელის ურთულესი დაპირისპირება. ამის მიუხედავად **ალექს ფერგიუსონმა** „ევერტონთან" უძლიერესი შემადგენლობა დააყენა. ერთადერთი **მიკაელ კერიკის** სკამზე ხილვა იყო უჩვეულო. „ეშმაკებმა" მერსისაიდელებს პირველივე ტაიმში მოუთავეს საქმე. თამაშის რეჟისურა მთლიანად **რობინ ვან პერსის** იყო. ჰოლანდიელმა ჯერ ძელს მოარტყა, მერე **რაიან გიგზს** დაუგორა ცარიელ კართან და გაატანინა, მერე კი ორმატჩიანი პაუზის შემდეგ თავადაც შეაგდო. მასპინძელს რამდენჯერმე კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ **ტიმ ჰოვარდმა** ყოფილ გუნდს მეტის უფლება აღარ მისცა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

### მომდევნო ტური

**17 თებერვალი:** ლივერპული-სუონსი
**23 თებერვალი:** ფულჰემი-სტოკ სიტი, არსენალი-ასტონ ვილა, ნორვიჩი-ევერტონი, ქუინზ პარკი-მანჩესტერ იუნაიტედი, რედინგი-უიგანი, ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი
**24 თებერვალი:** მანჩესტერ სიტი-ჩელსი, ნიუკასლი-საუთჰემპტონი
**25 თებერვალი:** ვესტ ჰემი-ტოტენჰემი

### შოტლანდია

#### პრემიერლიგა. XXVI ტური

| | |
|---|---|
| დანდი-როს ქაუნთი | 0:2 |
| ინვერნესი-სელტიკი | 1:3 |
| აბერდინი-სტ. მირენი | 0:0 |
| დანდი იუნ-ჰართსი | 3:1 |
| კილმარნოკი-მოზერველი | 2:0 |

#### 11 თებერვალი

ჰიბერნიანი–სტ. ჯონსტონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 25 | 17 | 4 | 4 | 55-18 | 55 |
| 2. ინვერნესი | 24 | 9 | 10 | 5 | 49-40 | 37 |
| 3. მოზერველი | 24 | 10 | 7 | 7 | 40-34 | 37 |
| 4. ჰიბერნიანი | 25 | 9 | 7 | 9 | 32-31 | 34 |
| 5. სტ. ჯონსტ. | 24 | 8 | 9 | 7 | 29-30 | 33 |
| 6. დანდი იუნ. | 25 | 8 | 9 | 8 | 40-42 | 33 |
| 7. აბერდინი | 26 | 8 | 9 | 9 | 31-34 | 33 |
| 8. კილმარნოკი | 25 | 8 | 8 | 9 | 37-34 | 32 |
| 9. როს ქაუნთი | 25 | 7 | 11 | 7 | 31-34 | 32 |
| 10. ჰართსი | 25 | 7 | 9 | 9 | 25-31 | 30 |
| 11. სტ. მირენი | 25 | 7 | 8 | 10 | 33-43 | 29 |
| 12. დანდი | 25 | 3 | 5 | 17 | 14-45 | 14 |

### ტოტენჰემი-ნიუკასლი 2:1

**გოლები:** 1:0 ბეილი (5), 1:1 გუფრანი (24), 2:1 ბეილი (78)
**ტოტენჰემი** (4-4-1-1): ლორისი – უოლკერი, კოლკერი, დოუსონი, ნაუტონი (74. ასუ ეკოტო) – დემბელე (90+2. ჯ. ლივერმორი), პარკერი, ლენონი, ბეილი – ჰოლტბი (69. ადებაიორი) - დემპსი
**ნიუკასლი** (4-2-3-1): კრული – დებუში, რ. ტეილორი, კოლოჩინი, სანტონი – პერჩი (82. ტიოტე), კაბაი – ხონასი (86. შ. ამეობი), სისოკო, გუფრანი (56. მარვო) - სისე
**გაფრთხილება:** - კაბაი, შ. ამეობი
**კარში დარტყმა:** 12-5 (5-3) **კუთხური:** 11-5 **თამაშგარე:** 5-2 **ჯარიმა:** 5-11 **ბურთის ფლობა:** 53%-47%
**მაყურებელი:** 36 244

### ჩელსი-უიგანი 4:1

**გოლები:** 1:0 რამირესი (23), 2:0 აზარი (56), 2:1 მელონი (58), 3:1 ლამპარდი (87), 4:1 მარინი (90)
**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ასპილიკუეტა, კეჰილი (88. ბენაიუნი), ივანოვიჩი, კოული – ლამპარდი, ლუისი - რამირესი, აზარი (90. მარინი), ოსკარი (77. მატა) - ტორესი
**უიგანი** (3-4-3): ალ ჰაბსი – შარნერი, კოლდუელი, ფიგეროა – მაკარტური, მაკარტი, სტამი (83. დ. ჯონსი), ბოსეჟური – ესპინოსა (59. კონე), მელონი, დი სანტო
**გაფრთხილება:** მარინი – შარნერი, ფიგეროა
**კარში დარტყმა:** 17-9 (10-6) **კუთხური:** 10-6 **თამაშგარე:** 2-3 **ჯარიმა:** 9-13 **ბურთის ფლობა:** 66%-34%
**მაყურებელი:** 41 562

### ნორვიჩი-ფულჰემი 0:0

**ნორვიჩი** (4-4-1-1): ბანი – რ. მარტინი, ტერნერი, ბასონგი, გარიდო – ბ. ჯონსონი, ტეტი, ე. ბენეტი (76. ჯექსონი), სნოდგრასი – ჰულაჰანი – ბეკიო (86. კამარა)
**ფულჰემი** (4-2-3-1): შვარცერი – მანოლევი, ჰანგელანდი, სენდეროსი, რიისე – სიდუელი, ფრიმპონგი (65. ემანუელსონი) – დაფი, როდალიეგა (76. პეტრიჩი), რუისი (90. დეჟაგა) - ბერბატოვი
**გაფრთხილება:** ე. ბენეტი, სნოდგრასი – ფრიმპონგი, მელონი
**კარში დარტყმა:** 11-2 (4-1) **კუთხური:** 3-4 **თამაშგარე:** 2-0 **ჯარიმა:** 11-16 **ბურთის ფლობა:** 43%-57%
**მაყურებელი:** 26 816

### სტოკი-რედინგი 2:1

**გოლები:** 1:0 ჰუთი (67), 2:0 ჯერომი (81), 2:1 მარიაპა (83)
**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი – შოტონი, ჰუთი, შოუკროსი, უილკინსონი (84. კემერონი) – უელანი, ნზონზი, ეთერინგტონი, კაიტლი (65. ჯერომი) – უოლტერსი, კრაუჩი (66. კ. ჯონსი)
**რედინგი** (4-5-1): ფედერიჩი – კელი, პირსი, მარიაპა, ჰარტი – აკპანი, ლიგერტვუდი, ბლეკმენი (57. ლე ფონდრე), კებე, მაკანუფი (74. მაკლირი) – პოგრებნიაკი (80. ჰანტი)
**გაფრთხილება:** უელანი, კემერონი -
**კარში დარტყმა:** 9-2 (6-0) **კუთხური:** 11-3 **თამაშგარე:** 0-1 **ჯარიმა:** 10-6 **ბურთის ფლობა:** 57%-43%
**მაყურებელი:** 26 737

### სანდერლენდი-არსენალი 0:1

**გოლი:** 0:1 კასორლა (36)
**სანდერლენდი** (4-5-1): მინიოლე – გარდნერი, ოში, ბრამბლი, როუზი (82. ვონი) – ნდიაიე (68. გრემი), ლ. კატერმოული (46. ლარსონი), კოლბეკი, სესინიონი, ა. ჯონსონი - ფლეტჩერი
**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი – ჯენკინსონი, მერტაზაკერი, სანია, მონრეალი – არტეტა, რემსი – კასორლა, უილშირი (50. დიაბი), უოლკოტი (87. მიკელი) - ჟირუ
**გაფრთხილება:** ლ. კატერმოული, ლარსონი, კოლბეკი – ჯენკინსონი, უოლკოტი
**გაძევება:** - ჯენკინსონი (62)
**კარში დარტყმა:** 7-17 (4-9) **კუთხური:** 11-2 **თამაშგარე:** 5-1 **ჯარიმა:** 6-12 **ბურთის ფლობა:** 52%-48%
**მაყურებელი:** 46 402

### სუონსი-ქუინზ პარკი 4:1

**გოლები:** 1:0 მიჩუ (8), 2:0 რანხელი (18), 2:1 ზამორა (48), 3:1 ერნანდესი (50), 4:1 მიჩუ (67)
**სუონსი** (4-2-3-1): ვორმი – რანხელი, უილიამსი, ჩიკო (34. ბარტლი), ბ. დევისი – კი, დე გუზმანი – ერნანდესი, რუტლეჯი (62. აგუსტინი), დაიერი – მიჩუ (80. მური)
**ქუინზ პარკი** (4-2-3-1): ჟ. სეზარი – ონუოჰა, სამბა, ჰილი, ტრაორე – დერი (46. გრანერო), მბია – ტაუსენდი, ჯენასი (68. რაიტ-ფილიპსი), ტაარაბტი – მაკი (46. ზამორა)
**გაფრთხილება:** ბ. დევისი – სამბა, ტაარაბტი, ტრაორე
**კარში დარტყმა:** 11-9 (10-4) **კუთხური:** 5-2 **თამაშგარე:** 3-0 **ჯარიმა:** 7-11 **ბურთის ფლობა:** 64%-36%
**მაყურებელი:** 20 529

### საუთჰემპტონი-სიტი 3:1

**გოლები:** 1:0 პანჩეონი (7), 2:0 ს. დევისი (22), 2:1 ჯეკო (39), 3:1 ბარი (48-ს.კ-ში)
**საუთჰემპტონი** (4-2-3-1): ბორუცი – კლაინი, ჰოიველდი, იოშიდა, ფოქსი (71. რიჩარდსონი) – კორკი, შნაიდერლინი – პანჩეონი (61. ლალანა), როდრიგესი, ს. დევისი (80. ვორდ-პრაუსი) - ლამბერტი
**სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – საბალეტა, გარსია, ლესკოტი (66. კოლაროვი), კლიში - ი. ტურე, ბარი – ნასრი (56. მილნერი), დ. სილვა (73. მაიკონი), აგუერო - ჯეკო
**გაფრთხილება:** ლამბერტი – კლიში, ი. ტურე
**კარში დარტყმა:** 10-6 (4-4) **კუთხური:** 6-6 **თამაშგარე:** 6-3 **ჯარიმა:** 12-14 **ბურთის ფლობა:** 51%-49%
**მაყურებელი:** 31 738

### ასტონ ვილა-ვესტ ჰემი 2:1

**გოლები:** 1:0 ბენტეკე (74-პენ), 2:0 ნზოგბია (78), 2:1 ვესტვუდი (87-ს.კ-ში)
**ასტონ ვილა** (4-4-2): გუზანი - ლოუტონი, კლარკი, ვლაარი, ბეიკერი - ბოუერი (64. ბენტი), ვესტვუდი, დელფი, ნზოგბია (85. სილა) - ვაიმანი (64. დოუკინსი), ბენტეკე
**ვესტ ჰემი** (4-5-1): იასკელაინენი - ობრაიენი (24. დემელი), რიდი, ტომკინსი, პოგატეტცი - დიამე, ნოლანი, ნოუბლი (76. კ. კოული), მ. ტეილორი (68. ვას ტე), ჯ. კოული - კეროლი
**გაფრთხილება:** ბეიკერი, ბენტი, კლარკი - პოგატეტცი, რიდი
**კარში დარტყმა:** 6-8 (2-4) **კუთხური:** 4-10 **თამაშგარე:** 5-3 **ჯარიმა:** 17-12 **ბურთის ფლობა:** 48%-52%
**მაყურებელი:** 30 503

### იუნაიტედი-ევერტონი 2:0

**გოლები:** 1:0 გიგზი (13), 2:0 ვან პერსი (45)
**იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა - რაფაელი, ევანსი (81. [illegible]), [illegible], ევრა - [illegible], ფ. ჯონსი (56. კერიკი), ვალენსია, გიგზი - რუნი, ვან პერსი
**ევერტონი** (4-5-1): ჰოვარდი - ნევილი, იაგიელკა, ჰეიტინგა, ბეინსი - გიბსონი, ოსმანი, მირალიაში (70. ნეისმიტი), პიენაარი, ფელაინი - ანიჩებე (57. იელავიჩი)
**გაფრთხილება:** - მირალიაში, ფელაინი
**კარში დარტყმა:** 9-6 (6-4) **კუთხური:** 7-6 **თამაშგარე:** 4-1 **ჯარიმა:** 13-10 **ბურთის ფლობა:** 47%-53%
**მაყურებელი:** 75 525

#### 11 თებერვალი

ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი 00:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 26 | 21 | 2 | 3 | 62-31 | 65 |
| 2. სიტი | 26 | 15 | 8 | 3 | 48-24 | 53 |
| 3. ჩელსი | 26 | 14 | 7 | 5 | 55-28 | 49 |
| 4. ტოტენჰემი | 26 | 14 | 6 | 6 | 44-30 | 48 |
| 5. არსენალი | 26 | 12 | 8 | 6 | 50-29 | 44 |
| 6. ევერტონი | 26 | 10 | 12 | 4 | 40-32 | 42 |
| 7. სუონსი | 26 | 9 | 10 | 7 | 38-29 | 37 |
| 8. ლივერპული | 25 | 9 | 9 | 7 | 44-32 | 36 |
| 9. ვესტ ბრომვიჩი | 25 | 10 | 4 | 11 | 34-35 | 34 |
| 10. სტოკ სიტი | 26 | 7 | 12 | 7 | 26-31 | 33 |
| 11. ვესტ ჰემი | 26 | 8 | 6 | 12 | 29-38 | 30 |
| 12. ფულჰემი | 26 | 7 | 8 | 11 | 36-42 | 29 |
| 13. სანდერლენდი | 26 | 7 | 8 | 11 | 28-34 | 29 |
| 14. ნორვიჩი | 26 | 6 | 11 | 9 | 25-40 | 29 |
| 15. საუთჰემპტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 36-45 | 27 |
| 16. ნიუკასლი | 26 | 7 | 6 | 13 | 34-46 | 27 |
| 17. ასტონ ვილა | 26 | 5 | 9 | 12 | 25-50 | 24 |
| 18. რედინგი | 26 | 5 | 8 | 13 | 33-48 | 23 |
| 19. უიგანი | 26 | 5 | 6 | 15 | 30-51 | 21 |
| 20. ქუინზ პარკი | 26 | 2 | 11 | 13 | 19-41 | 17 |

**ბომბარდირები:** 19 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 17 - **ლუის სუარესი** (ლივერპული), 15 - **მიჩუ** (სუონსი)

#### ჩემპიონშიპი. XXXI ტური

**უოტფორდი-კრისტალ პალ.** 2:2
**გოლები:** 1:0 აბდი (6), 2:0 ჩალობა (14), 2:1 რემეიჯი (66), 2:2 ფილიპსი (70)

**ბლექბერნი-იპსვიჩი** 1:0
**გოლი:** 1:0 ჰენდერსონი (61-ს.კ-ში)

**ბლექპული-მილუოლი** 2:1
**გოლები:** 0:1 ჰენრი (32), 1:1 ინსი (61), 2:1 დელფუნესო (90)

**ბოლტონი-ბარნლი** 2:1
**გოლები:** 0:1 ედგარი (55), 1:1 კ. დევისი (66), 2:1 ნგოგი (81)

**ბრისტოლ ს-ნოტინგემი** 2:0
**გოლები:** 1:0 ს. დევისი (50), 2:0 ელიოტი (62)

**ჩარლტონი-ბირმინგემი** 1:1
**გოლები:** 1:0 კერმოგრანტი (88), 1:1 ელიოტი (90)

**ჰადერსფილდი-კარდიფი** 0:0

**მიდლსბრო-ბარნსლი** 2:3
**გოლები:** 0:1 ობრაიენი (6), 1:1 კარაიოლი (50), 2:1 მაინი (62), 2:2 გოლბურნი (70), 2:3 სკოტლანდი (76)

**პიტერბორო-ლესტერი** 2:1
**გოლები:** 0:1 მარშალი (52), 1:1 პეტრუჩი (74), 2:1 მაკანი (88)

**შეფილდ უენ-დერბი** 2:2
**გოლები:** 0:1 ჰენდრიკი (23), 0:2 ვორდი (48-პენ), 1:2 ლიტა (51), 2:2 ლერა (57)

**ვულვზი-ლიდსი** 2:2
**გოლები:** 1:0 პელტიე (57-ს.კ-ში), 1:1 ვარნი (64), 1:2 მაკორმაკი (78-პენ), 2:2 ბეთი (90)

**ბრაიტონი-ჰალი** 1:0
**გოლები:** 1:0 ვისენტე (83)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდიფი | 30 | 20 | 4 | 6 | 51-30 | 64 |
| 2. ლესტერი | 30 | 16 | 5 | 9 | 52-26 | 53 |
| 3. უოტფორდი | 31 | 16 | 5 | 10 | 60-42 | 53 |
| 4. ჰალ სიტი | 30 | 16 | 5 | 9 | 40-32 | 53 |
| 5. კრისტ. პალ. | 31 | 14 | 10 | 7 | 54-39 | 52 |
| 6. მიდლსბრო | 30 | 15 | 2 | 13 | 49-46 | 47 |
| 7. ბრაიტონი | 30 | 11 | 12 | 7 | 42-33 | 45 |
| 8. ბლექბერნი | 30 | 11 | 10 | 9 | 41-37 | 43 |
| 9. ბარნლი | 31 | 12 | 7 | 12 | 47-46 | 43 |
| 10. დერბი | 30 | 11 | 9 | 10 | 47-43 | 42 |
| 11. ლიდსი | 30 | 12 | 6 | 12 | 41-47 | 42 |
| 12. მილუოლი | 31 | 11 | 8 | 12 | 41-43 | 41 |
| 13. ნოტინგემი | 31 | 10 | 11 | 10 | 40-44 | 41 |
| 14. ბლექპული | 31 | 10 | 10 | 11 | 50-46 | 40 |
| 15. ჩარლტონი | 31 | 10 | 10 | 11 | 41-43 | 40 |
| 16. ბირმინგემი | 31 | 9 | 11 | 11 | 41-48 | 38 |
| 17. ბოლტონი | 30 | 9 | 10 | 11 | 43-44 | 37 |
| 18. ჰადერსფ. | 31 | 9 | 10 | 12 | 33-51 | 37 |
| 19. შეფ. უენ. | 31 | 10 | 6 | 15 | 38-47 | 36 |
| 20. იპსვიჩი | 31 | 9 | 8 | 14 | 33-52 | 35 |
| 21. ვულვზი | 31 | 9 | 7 | 15 | 37-45 | 34 |
| 22. ბარნსლი | 31 | 9 | 7 | 15 | 36-47 | 34 |
| 23. ბრისტოლ ს. | 31 | 9 | 4 | 18 | 44-58 | 31 |
| 24. პიტერბორო | 30 | 9 | 3 | 18 | 43-55 | 30 |

**ბომბარდირები:** 24 – **გლენ მარი** (კრისტალ პალასი), 20 – **ჩარლი ოსტინი** (ბარნლი), **ჯორდან როუდსი** (ბლექბერნი)

#### ლიგა ერთი. XXXII ტური

**ბორნმუთი-პორტსმუთი 2:0, ბრენტფორდი-ბერი, კარლაისლი-სტივენეიჯი 2:1, კოლჩესტერი-პრესტონი 1:0, ქოვენთრი-იოვილი 0:1, დონკასტერი-უოლსოლი 1:2, ლეიტონი-ტრანმერი 2:1, ნოთს ქაუნთი-ქრიუ 1:1, ოლდჰემი-მილტონი 3:1, სკანტორპი-ქროული 2:1, შრიუსბერი-შეფილდ იუნ. 1:2, სუინდონი-ჰარტლპული 1:1**

#### ლიგა ორი. XXXII ტური

**აკრინგტონი-საუთენდი 1:1, ალდერშოტი-პლიმუთი 1:2, ბარნეტი-პორტვეილი 0:0, ბრედფორდი-ჯილინგემი 0:1, ბარტონი-როტერჰემი 2:0, ჩესტერფილდი-უიმბლდონი 2:0, დაგენჰემი-ჩელტენჰემი 1:0, მორკემბი-ექსეტერი 0:3, ნორთჰემპტონი-როჩდეილი 3:1, ოქსფორდი-ბრისტოლ რ. 0:2, ტორკი-ფლიტვუდი 0:1, უიკომბი-იორკი 4:0**

## უცხოური ფეხბურთი

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტური

# კლოპი ბჭობს, ბაიერნი იცინის

## მიუნხენელები ყველა დროის ყველაზე ნაადრევ ჩემპიონობას უმიზნებენ

**როგორც ჩანს, ზედიზედ ორი სეზონის უტიტულოდ დამთავრების შემდეგ „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ული ჰიონესმა მწვრთნელს და ფეხბურთელებს გერმანიის ჩემპიონატის აქამდე არნახული უპირატესობით მოგება მოსთხოვა. სხვანაირად გაუგებარია, როგორ ახერხებს რეკორდმაისტერი მატჩების 90 პროცენტის უმაღლეს დონეზე, მაქსიმალური კონცენტრაციით ჩატარებას.**

### სრული სვლით მორიგი რეკორდისკენ

21-ე ტურის ცენტრალურ მატჩში მიუნხენელები „შალკეს“ მასპინძლობდნენ და მიუხედავად იმისა, რომ გელზენკირხენული კლუბი კრიზისშია, მაინც ბევრი ფიქრობდა, რომ „შალკეს“ „ბავარიული მანქანისთვის“ წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო. არაფერიც! „ბაიერნმა“ „შალკე“ 4:0 გაანადგურა, 2013 წელს კვლავ არცერთი გოლი არ აქვს გაშვებული და რაკი მდევრებმა (თუკი შეიძლება, რომ მათ მდევრები ვუწოდოთ) „დორტმუნდმა“ და „ლევერკუზენმა“ წაიფორხილეს, **იუპ ჰაინკესის** გუნდი მეორეადგილოსან „ბორუსიას“ უკვე 15 ქულით (!) უსწრებს.

*„გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ამ სეზონში ძალიან მოსაწყენია. „ბაიერნის“ მეტოქეები კი უკვე მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ დიდი ანგარიშით არ წააგონ,“* - ეს ლეგენდარული ბაიერნელის, **პაულ ბრაიტნერის** სიტყვებია.

1972/73 და 2002/03 სეზონებში „ბაიერნმა“ გერმანიის ჩემპიონობა 30-ე ტურის შემდეგ გაინაღდა, რაც დღემდე ბუნდესლიგის სარეკორდო მაჩვენებლებია. ამაზე ადრე „ვერცხლის სინი“ არასდროს არავის დაუსაკუთრებია! ფაქტია, რომ თუ ასე გააგრძელებენ, თავიანთ რეკორდს ბავარიელები თავადვე გააუმჯობესებენ. *„ამ თამაშის მოგებით „ბაიერნმა“ საბოლოოდ და ამომწურავად გასცა პასუხი კითხვას იმის შესახებ, თუ ვინ გახდება წელს გერმანიის ჩემპიონი,“* - ეს **შტეფან ეფენბერგის** სიტყვებია.

### პენალტისტი ალაბა, რობენი და გომესი ძირითადში

დასუსტებულმა და კრიზისში მყოფმა „შალკემ“ (გელზენკირხენელებს **ჰუნტელაარის** ჩათვლით რვა ფეხბურთელი აკლდათ) „ბაიერნს“ მხოლოდ 18 წუთი გაუძლო. მერე **დავიდ ალაბამ ფრანკ რიბერის** მიერ მოპოვებული (წესები **ჰიოგერმა** დაარღვია) თერთმეტმეტრიანი გოლად აქცია და ანგარიში გახსნა. დიახ, პენალტი სწორედ ახალგაზრდა ავსტრიელმა მარცხენაფლანგელმა შეასრულა – მიუხედავად იმისა, რომ **არიენ რობენი** ძირითად შემადგენლობაში იყო! ჰაინკესმა ჰოლანდიელი სასტარტოში მე-11 ტურის შემდეგ პირველად გაამწესა. რობენთან ერთად „დონ იუპის“ როტაციის შედეგად ძირითად თერთმეტეულში მოხვდნენ **ბოატენგი** და **გომესიც** (მეოთხე გოლი სწორედ მარიომ გაიტანა). სამაგიეროდ, ჰაინკესმა სკამზე დასვა **მიულერი, ვან ბუიტენი** და „ბაიერნის“ საუკეთესო ბომბარდირი **მარიო მანჯუკიჩი**.

*„მომდევნო კვირიდან დატვირთული გრაფიკი გვექნება, რადგან წინ ჩემპიონთა ლიგის მატჩებია. შესაბამისად, ახლა სწორედ როტაციის დრო იყო,“* - აღნიშნა ჰაინკესმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე. მეორე გოლი **შვაინშტაიგერმა** საჯარიმო დარტყმით, 21 მეტრიდან გაიტანა და აღსანიშნავია, რომ ბასტიანი წინა კვირაში, **ტონი კროოსთან** ერთად, თავისი ნებით ვარჯიშობდა საჯარიმო დარტყმების შესრულებაზე.

### შალკე უკვე შავ დღეშია

თუკი „ბაიერნი“ ტიტულს უახლოვდება, „შალკე“ ცხრილის იმ ზონაში დამკვიდრდა, საიდანაც ევროპაში ვერ გადიან – გელზენკირხენელები მე-9 ადგილამდე ჩამოქვეითდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ **იენს კელერის** გუნდი კატასტროფულ სეზონს ატარებს. მიუხედავად ამისა, „შალკეს“ შეფები სეზონის ბოლომდე დროებით დანიშნული სპეციალისტის ვადაზე ადრე გათავისუფლებას არ აპირებენ, რაც გუშინ კლუბის მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმაც** დაადასტურა. სამაგიეროდ, მისი კრიტიკა ფეხბურთელებმა დაიმსახურეს. ჩვენი გერმანელი კოლეგები კი ყველაზე მეტად „შალკეს“ ბრაზილიელ ახალწვეულ **მიშელ ბასტოსს** აკრიტიკებენ, პირველ რიგში იმის გამო, რომ ბაიერნელ თანამემამულე **დანტეს** მაისურა შესვენებაზევე გაუცვალა.

### ჰამბურგმა ჩემპიონი დაასამარა

„ბაიერნის“ გამარჯვებას წინ მდევრების უნიათობა უძღოდა. მეორე წრის შესანიშნავად დაწყების შემდეგ დორტმუნდის „ბორუსია“ საკუთარ მოედანზე, ყველასათვის მოულოდნელად, „ჰამბურგთან“ დამარცხდა. წაგებაცაა და წაგებაც, **იურგენ კლოპის** გუნდი კი საკუთარი ფანების თვალწინ 1:4 განადგურდა! ამასთან, დორტმუნდელებმა მთავარი გოლეადორი **რობერტ ლევანდოვსკი** დაკარგეს – პოლონელმა ჯერ გოლი გაიტანა, მერე კი მოედნიდან გააძევეს და დისკვალიფიკაცია არ ასცდება.



დორტმუნდელები ვან დერ ვაარტის ჰამბურგმა გაამწარა, ბაიერნს თავი უკვე ქუდში აქვს

ლევანდოვსკიმ ანგარიში გახსნა, მაგრამ ჰამბურგელებმა ძალიან მალე უპასუხეს – წონასწორობა **რუდნევსმა** აღადგინა, რვა წუთში კი **ტორსტენ ფინკის** ბიჭები სონის ულამაზესი გოლით დაწინაურდნენ კიდეც. რაც შეეხება ლევანდოვსკის გაძევებას: პოლონელმა ჰამბურგელ **სკიელბრედს** ფეხი უშნოდ მოუქნია, მსაჯი **მანუელ გრეფე** მის გაგდებას თითქოს არც გეგმავდა, თუმცა მთელ ამ ორომტრიალში დიდი როლი ითამაშა **ვან დერ ვაარტის** პროტესტმა, რომელმაც ჯერ გაწევ-გამოწევაში ისიმულანტა, მერე კი გრეფეს ლევანდოვსკი გააგდებინა. მოგვიანებით დორტმუნდელმა ფანებმა ჰოლანდიელ კუთხურის ალამთან სანთებელები დაუშინეს.

*„რობერტმა სკიელბრედს ფეხი მართლა ცუდად მოუქნია და მოარტყა, მაგრამ ჰამბურგელი ოდნავადაც არ დაშავებულა. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ წითელი ბარათი ზედმეტი იყო,“* - განაცხადა მატჩის შემდეგ კლოპმა. მეორე ტაიმში „ჰამბურგიც“ ათი კაცით დარჩა (გრეფემ **ბრუმა** ბოლო იმედის ჯარიმისთვის მიაბრძანა), თუმცა „ბორუსიამ“ არათუ ანგარიში ვერ გაათანაბრა, მესამე გოლი მიიღო – რუდნევსმა კი დუბლი გაიფორმა. მოგვიანებით დუბლის ავტორი გახდა სონიც, კლოპმა შაბათს „განავალივით დღე“ უწოდა. ამრიგად, ამ ტურის შემდეგ ჰამბურგელები მეექვსე ადგილზე არიან და ევროპისკენ ისწრაფვიან, „დორტმუნდმა“ კი ჩემპიონის ტიტულის კიდევ ერთხელ შენარჩუნებაზე ფიქრი უნდა შეწყვიტოს და მთლიანად ჩემპიონთა ლიგაზე უნდა გადაერთოს – ხვალ „ბორუსია“ ევროპის ელიტური საკლუბო ტურნირის მერვედფინალში დონეცკის „შახტარს“ სტუმრობს.

### ვერდერის ზედიზედ მეორე

„ვერდერმა“ ზედიზედ მეორე თამაში მოიგო, რაც ამ სეზონში პირველი შემთხვევაა. ბრემენელებმა „შტუტგარტთან“ პრინციპული ბრძოლა სტუმრად 4:1 მოიგეს, „მუსიკოსთა“ ათიანმა **მეჰმეთ ექიჩიმ** კი დუბლი შეასრულა და ეს მისთვის ამ სეზონში პირველი და მეორე გოლებია. „შტუტგარტმა“ კი ზედიზედ მეხუთე მარცხი იწვნია და გასავარდნ ზონას მიუახლოვდა – **ბრუნო ლაბადიას** გუნდი უმძიმეს კრიზისშია.

### ჰოფეს კარი დაწყევლილია

ძალიან საინტერესო, დაძაბული და დრამატული დერბი ვნახეთ მიონხენგლადბახში, სადაც ადგილობრივი „ბორუსია“ „ლევერკუზენს“ მასპინძლობდა. გუნდებმა სამ-სამი გოლი გაიტანეს და უხვგოლიანი ფრე, 3:3 დააფიქსირეს. „ჰანოვერმა“ „ჰოფენჰაიმი“ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. ეს ყველაფერი „სოფლელების“ ახალი მეკარის, **ეურელიო გომეშის** ბრალია: ჰუშტის ჩანოდების შემდეგ ბრაზილიელმა კიპერმა კარიდან გამოსვლა დააგვიანა და **დიუფმაც** სწორედ ამით ისარგებლა. როგორც ჩანს, „ჰოფენჰაიმის“ კარი ამ სეზონში დაწყევლილია.

„შალკესთან“ სენსაციური გამარჯვების შემდეგ „ფიურტი“ საკუთარ კედლებში „ვოლფსბურგთან“ 0:1 დამარცხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფიურტელებმა მე-11 საშინაო შეხვედრაში მე-8 მარცხი იწვნიეს. ერთადერთი გოლი „მგლების“ გოლეადორმა **ბას დოსტმა** შეაგდო – ეს მისი მე-8 გოლია მიმდინარე სეზონში.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### ბორუსია (დ)-ჰამბურგი 1:4

**გოლები:** 1:0 ლევანდოვსკი (17), 1:1 რუდნევსი (18), 1:2 სონი (26), 1:3 რუდნევსი (62), 1:4 სონი (89)

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი (66. გიუნდოგანი), ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, ს. ბენდერი - კელი (65. შიბერი), ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი, გიოტცე, როისი - ლევანდოვსკი.

**ჰამბურგი (4-1-2-1-2):** ადლერი - დიკმაიერი, ბრუმა, ვესტერმანი, იანსენი - რინკონი - სკიელბრედი (74. არსლანი), აოგო - ვან დერ ვაარტი (63. რაიკოვიჩი) - რუდნევსი, სონი (90. კაჩარი).

**გაფრთხილება:** გიოტცე - აოგო, ვან დერ ვაარტი

**გაძევება:** ლევანდოვსკი (31. ბორუსია /დ/), ბრუმა (59. ჰამბურგი)

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 21(7)-13(5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 80 645

### ბორუსია (მ)-ლევერკუზენი 3:3

**გოლები:** 1:0 შტრანცლი (44), 1:1 სემი (52), 2:1 ლ. დე იონგი (58), 2:2 კისლინგი (60), 2:3 შიურლე (64), 3:3 ჰერმანი (86)

**ბორუსია /მ/ (4-2-2-2):** ტერ შტეგენი - შტრანცლი, ბრუვერსი, ალვარო დომინგესი, ვენდტი - ნორდტვეიტი (77. ჰრგოტა), რინგი (60. ჯაკა) - ჩიგერჩი (84. ჰანკე), არანგო - ჰერმანი, ლ. დე იონგი.

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო - კარვახალი, ვოლშაიდი, შვააბი, ბიონიში - როლფესი - ლ. ბენდერი, კასტრო (80. ჰოსოგაი) - სემი (70. ჰეგელერი), შიურლე - კისლინგი.

**გაფრთხილება:** სემი

**კუთხური:** 5-11; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 10(5)-23(10); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 46 010

### შტუტგარტი-ვერდერი 1:4

**გოლები:** 0:1 ექიჩი (34), 1:1 ტრაორე (50), 1:2 ჰანტი (60), 1:3 ექიჩი (74), 1:4 დე ბრუინი (92)

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - გ. საკაი, ტასკი, ნიდერმაიერი, ბოკა - კვისტი (68. დიდავი), გენტნერი - ჰარნიკი (68. მაკედა), თორუნი (78. ოკაზაკი), ტრაორე - იბიშევიჩი.

**ვერდერი (4-1-2-2-1):** მილიტცი - იგნიოვსკი, ლუკიმია, სოკრატისი, შმიტცი - იუნუზოვიჩი (89. ფრიტცი) - ჰანტი (90. გებრე სელასიე), დე ბრუინი - ელია, ექიჩი (85. პრიოდლი) - პეტერსენი.

**გაფრთხილება:** ტრაორე, გენტნერი, იბიშევიჩი - პეტერსენი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 21-19; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 9(3)-18(7); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 41 200

### ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი 1:0

**გოლი:** 1:0 მ. დიუფი (8)

**ჰანოვერი (4-2-3-1):** ცილერი - ჩაჰედი, ჯურუ, კ. შულცი, პანდერი - შმიდებახი, და სილვა პინტუ - ია კონანი (76. ჰოფმანი), შლაუდრაფი, ჰუშტი - მ. დიუფი (91. აბდელაუ).

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** გომეში - ბეკი, აბრაამი, დელპიერი, ჯონსონი - ვაისი (78. გრიფო), პოლანსკი (78. ვილიამსი) - რობერტო ფირმინიო, ვოლანდი, უსამი (62. ხოსელუ) - დე კამარგო.

**გაფრთხილება:** პანდერი, მ. დიუფი - რობერტო ფირმინიო, პოლანსკი

**კუთხური:** 5-10; **ჯარიმა:** 21-20; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 7(3)-16(9); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 35 200

### ფიურტი-ვოლფსბურგი 0:1

**გოლი:** 0:1 დოსტი (23)

**ფიურტი (4-2-2-2):** ჰესლი - მ. ციმერმანი, სობიხი, მავრაი, ბაბა - ვარგა, პეკოვიჩი - კლაუსი (46. პრიბი), სარარერი (67. პარკი) - ასამოა (80. აზემი), ჯურჯიჩი.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ფაგნერი (67. ჰასებე), ნალდო, მადლუნგი, მ. შეფერი - ტრეში, პოლაკი (78. ჟოსუე) - ვიეირინია, დიეგო, პერიშიჩი (46. ოლიჩი) - დოსტი.

**გაფრთხილება:** კლაუსი, სობიხი, პეკოვიჩი - ნალდო, ფაგნერი, ტრეში

**კუთხური:** 10-5; **ჯარიმა:** 22-23; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 16(3)-10(2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 15 045

### აინტრახტი-ნიურნბერგი 0:0

**აინტრახტი (4-2-3-1):** ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, ანდერსონი, ოჩიპკა - შვეგლერი, როდე - აიგნერი (89. კიტელი), მაიერი, ინუი (72. მატმური) - ლაკიჩი.

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** რ. შეფერი - ჩენდლერი, ნილსონი, კლოზე, პინოლა - სიმონსი - კიოტაკე, ფოილნერი, ბალიჩი (86. ილდიზი), ფრანტცი (75. მაკი) - პეკჰარტი (78. პოლტერი).

**გაფრთხილება:** ლაკიჩი, ანდერსონი - ნილსონი, პეკჰარტი, ბალიჩი

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 17-20; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 9(2)-11(6); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 45 400

### ბაიერნი-შალკე 4:0

**გოლები:** 1:0 ალაბა (19-პენ), 2:0 შვაინშტაიგერი (32), 3:0 ალაბა (51), 4:0 გომესი (63)

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი (73. რაფინია), ბოატენგი, დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი (73. ლუის გუსტავო) - რობენი, კროოსი, რიბერი (73. კონტენტო) - გომესი.

**შალკე (4-1-4-1):** ჰილდებრანდი - ჰიოვედესი, მატიპი, მეტცელდერი, კოლასინაცი - ნოიშტედტერი - ბარნეტა, ჰიოგერი (64. რაფაელი), ჯონსი, მიშელ ბასტოსი (72. ფარფანი) - პუკი (78. ედუ).

**გაფრთხილება:** ჰიოგერი

**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 15(6)-4(0); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 71 000

### აუგსბურგი-მაინცი 1:1

**გოლები:** 0:1 სალაი (43), 1:1 მიოლდერსი (57)

**აუგსბურგი (4-1-4-1):** მანინგერი – ფიპლი (43. პარკჰურსტი), კალსენ-ბრაკერი, კლავანი, დე იონგი – ბაიერი – კოო, მორავეკი (73. ფოგტი), ჟი, ვერნერი (80. ს. ჰაინი) – მიოლდერსი.

**მაინცი (4-1-2-1-2):** ვეტკლო – პოსპეხი, სვენსონი, ნოვესკი, ჟუნიორ დიასი (46. ზაბავნიკი) – კირხჰოფი – ბაუმგარტლინგერი, სოტო (61. რისსე) – ივანშიტცი (69. მ. კალიჯური) – სალაი, შ. პარკერი.

**გაფრთხილება:** ს. ჰაინი, პარკჰურსტი – ივანშიტცი, ჟუნიორ დიასი

**გაძევება:** [illegible] (45+1. მაინცი)

**კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 17-11; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 19(7)-9(3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 25 541

### ფრაიბურგი-ფორტუნა 1:0

**გოლი:** 1:0 კრმასი (87)

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი – ჰედენსტადი (46. გენტნერი), დიანიე, კრმასი, ზორგი – მაკიადი, შუსტერი – შმიდი (66. დ. კალიჯური), მ. კრუსე – როზენტალი, ფლუმი (77. გინტერი).

**ფორტუნა (4-2-2-1-1):** გიფერი – ბალოგუნი, ლატკა, მალეზასი (89. დ. შაჰინი), ვან დერ ბერგი – ბოძეკი, ტეშე – კრუსი (83. ბელინგჰაუზენი), ლამბერტცი – ილსიო (65. ო. ფინკი) – რაიზინგერი.

**გაფრთხილება:** შუსტერი – ბალოგუნი, ლამბერტცი, ბოძეკი

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 15(3)-11(4); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 21 200

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 21 | 17 | 3 | 1 | 55-7 | 54 |
| 2. ბორუსია (დ) | 21 | 11 | 6 | 4 | 47-26 | 39 |
| 3. ლევერკუზენი | 21 | 11 | 5 | 5 | 41-29 | 38 |
| 4. აინტრახტი | 21 | 11 | 4 | 6 | 38-31 | 37 |
| 5. ფრაიბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 26-20 | 31 |
| 6. მაინცი | 21 | 9 | 4 | 8 | 28-25 | 31 |
| 7. ჰამბურგი | 21 | 9 | 4 | 8 | 26-27 | 31 |
| 8. ბორუსია (მ) | 21 | 7 | 9 | 5 | 31-32 | 30 |
| 9. ჰანოვერი | 21 | 9 | 2 | 10 | 39-39 | 29 |
| 10. შალკე | 21 | 8 | 5 | 8 | 33-35 | 29 |
| 11. ვერდერი | 21 | 8 | 4 | 9 | 36-38 | 28 |
| 12. ვოლფსბურგი | 21 | 7 | 5 | 9 | 22-30 | 26 |
| 13. ნიურნბერგი | 21 | 6 | 7 | 8 | 20-27 | 25 |
| 14. შტუტგარტი | 21 | 7 | 4 | 10 | 23-39 | 25 |
| 15. ფორტუნა | 21 | 6 | 6 | 9 | 26-29 | 24 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 21 | 4 | 4 | 13 | 26-45 | 16 |
| 17. აუგსბურგი | 21 | 2 | 9 | 10 | 17-33 | 15 |
| 18. ფიურტი | 21 | 2 | 6 | 13 | 13-35 | 12 |

**ბომბარდირები:** 14 – კისლინგი (ლევერკუზენი), ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), მანჯუკიჩი (ბაიერნი); 12 – მაიერი (აინტრახტი), სალაი (მაინცი); 11 – თ. მიულერი (ბაიერნი); 10 – იბიშევიჩი (შტუტგარტი), რუდნევსი (ჰამბურგი).

### II ბუნდესლიგა. XXI ტური

**ბრაუნშვაიგი-აალენი 1:1**
გოლები: 0:1 ვალენტინი (45+1-პენ), 1:1 მერკელი (86)

**აუე-ფრანკფურტი 0:2**
გოლები: 0:1 ვერჰუკი (62), 0:2 შტარკი (77)

**კაიზერსლაუტერნი-დინამო 3:0**
გოლები: 1:0 კარლი (24), 2:0 იდრისუ (40), 3:0 ჰოფერი (81)

**დუისბურგი-მიუნხენ 1860 1:3**
გოლები: 1:0 იოვანოვიჩი (9), 1:1 ვუდი (15), 1:2 ბიულოვი (45+2), 1:3 შტოპელკამპი (81)

**კოტბუსი-კიოლნი 0:0**

**ბოხუმი-რეგენსბურგი 0:2**
გოლები: 0:1 ჯურიჩინი (47), 0:2 ჯურჩინი (87)

**ინგოლშტადტი-პადერბორნი 1:3**
გოლები: 0:1 კაჩუნგა (27), 1:1 მიჩანსკი (68), 1:2 ბარტელსი (84), 1:3 მეჰა (87)

**ზანდჰაუზენი-ზანკტ პაული 4:1**
გოლები: 1:0 ლიონინგი (3), 2:0 ულმი (29-პენ), 3:0 ლიონინგი (39), 4:0 მეკელე (49), 4:1 კრინგე (74-პენ)

**11 თებერვალი**

**ჰერტა-უნიონი 23:15**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაუნშვაიგი | 21 | 14 | 6 | 1 | 38-17 | 48 |
| 2. ჰერტა | 20 | 13 | 6 | 1 | 41-16 | 45 |
| 3. კაიზერსლაუტ. | 21 | 10 | 8 | 3 | 33-21 | 38 |
| 4. კოტბუსი | 21 | 8 | 7 | 6 | 26-23 | 31 |
| 5. უნიონი | 20 | 8 | 6 | 6 | 33-28 | 30 |
| 6. მიუნხენ 1860 | 21 | 7 | 9 | 5 | 24-19 | 30 |
| 7. აალენი | 21 | 8 | 6 | 7 | 23-19 | 30 |
| 8. ფრანკფურტი | 21 | 9 | 3 | 9 | 29-26 | 30 |
| 9. კიოლნი | 21 | 7 | 9 | 5 | 24-22 | 30 |
| 10. ინგოლშტადტი | 21 | 7 | 8 | 6 | 25-24 | 29 |
| 11. პადერბორნი | 21 | 7 | 5 | 9 | 27-27 | 26 |
| 12. აუე | 21 | 6 | 5 | 10 | 28-32 | 23 |
| 13. ზანკტ პაული | 21 | 5 | 8 | 8 | 19-26 | 23 |
| 14. დუისბურგი | 21 | 6 | 4 | 11 | 21-35 | 22 |
| 15. ბოხუმი | 21 | 5 | 6 | 10 | 26-37 | 21 |
| 16. ზანდჰაუზენი | 21 | 4 | 6 | 11 | 25-43 | 18 |
| 17. დინამო | 21 | 3 | 8 | 10 | 19-32 | 17 |
| 18. რეგენსბურგი | 21 | 4 | 4 | 13 | 25-39 | 16 |

**ბომბარდირები:** 12 – კუმბელა (ბრაუნშვაიგი); 11 – რონი (ჰერტა); 10 – იდრისუ (კაიზერსლაუტერნი), სანოგო (კოტბუსი); 9 – ლიონინგი (ზანდჰაუზენი).

### III ბუნდესლიგა

ვეენი-ხემნიტცი 0:0, შტუტგარტი II-უნტერჰახინგი (გადაიდო), ალემანია-კარლსრუე 0:4, ჰალეშერი-ბაბელსბერგი 1:0, არმინია-ერფურტი 2:0, ბურგჰაუზენი-ზაარბრიუკენი 2:1, ჰანზა-დარმშტადტი (გადაიდო), ჰაიდენჰაიმი-პროისენ მიუნსტერი 3:1, ოსნაბრიუკი-შტუტ. კიკერსი 3:1, ბორუსია (დ) II-ოფენბახი (გადაიდო).

### მომდევნო ტური

**15 თებერვალი.** ვოლფსბურგი-ბაიერნი.

**16 თებერვალი.** ლევერკუზენი-აუგსბურგი, ვერდერი-ფრაიბურგი, მაინცი-შალკე, ჰამბურგი-ბორუსია (მ), ფორტუნა-ფიურტი, ბორუსია (დ)-აინტრახტი.

**17 თებერვალი.** ნიურნბერგი-ჰანოვერი, ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი

### თურქეთი

**სუპერლიგა. XXI ტური**

**ბუიუქშეჰირი-ახისარი 0:2**
გოლები: 0:1 გეკასი (31), 0:2 გეკასი (46)

**გენჩლერბირლიგი-ესქიშეჰირი 0:2**
გოლები: დიეგო ანჯელო (12), 0:2 ათესი (89)

**ელაზიგი-ბეშიქთაში 1:3**
გოლები: 1:0 გიორკი (5), 1:1 ჰოლოშკო (45), 1:2 თორამანი (56), 1:3 მანუელ ფერნანდესი (82)

**ქარაბიუქი-ბურსა 0:3**
გოლები: 0:1 თუნჯაი (54), 0:2 შრეტიენი (61), 0:3 ბატალია (80)

**სივასი-ტრაბზონი 2:0**
გოლები: 1:0 არსლანი (21), 2:0 ჩაეჩუე (57)

**ქაისერი-ორდუ 0:0**

**მერშინი-ფენერბაჰჩე 0:1**
გოლი: 0:1 ვებო (45)

**გალათასარაი-ანთალია 2:0**
გოლი: 1:0 ილმაზი (8), 1:0 ილმაზი (62)

**11 თებერვალი**

**გაზიანთეფი-ქასიმფაშა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 21 | 11 | 7 | 3 | 40-24 | 40 |
| 2. ბეშიქთაში | 21 | 9 | 8 | 4 | 46-32 | 35 |
| 3. ფენერბაჰჩე | 21 | 9 | 7 | 5 | 31-24 | 34 |
| 4. ანთალია | 21 | 10 | 3 | 8 | 32-31 | 33 |
| 5. ესქიშეჰირი | 21 | 8 | 8 | 5 | 36-24 | 32 |
| 6. ბურსა | 21 | 7 | 10 | 4 | 33-26 | 31 |
| 7. ქასიმფაშა | 20 | 8 | 6 | 6 | 29-21 | 30 |
| 8. სივასი | 21 | 8 | 5 | 8 | 25-28 | 29 |
| 9. ქარაბიუქი | 21 | 8 | 4 | 9 | 28-35 | 28 |
| 10. ტრაბზონი | 21 | 7 | 6 | 8 | 25-24 | 27 |
| 11. გენჩლერბირ. | 21 | 6 | 9 | 6 | 32-33 | 27 |
| 12. ქაისერი | 21 | 7 | 5 | 9 | 27-32 | 26 |
| 13. ორდუ | 21 | 5 | 10 | 6 | 22-22 | 25 |
| 14. ბუიუქშეჰირი | 21 | 7 | 4 | 10 | 25-26 | 25 |
| 15. გაზიანთეფი | 20 | 5 | 6 | 9 | 18-30 | 21 |
| 16. ელაზიგი | 21 | 4 | 9 | 8 | 17-33 | 21 |
| 17. მერშინი | 21 | 4 | 8 | 9 | 22-29 | 20 |
| 18. ახისარი | 21 | 4 | 7 | 10 | 16-30 | 19 |

**ბომბარდირები:** 12 – უმუთ ბულუთი (გალათასარაი); 11 – ათესი (ესქიშეჰირი), ბობო (ქაისერი), ვებო (ფენერბაჰჩე); 10 – უჩე (ქასიმფაშა).

ესპანეთი. ლა ლიგა. XXIII ტური

# მოკითხვა მშობლიურ მანჩესტერს

## ჯადოქარი ფორთოხლისფერი ბუცებით და 8-ნომრიანი მაისურით

**კრიშტიანო რონალდომ** ჰეთთრიკი გაიტანა და „რეალის" ისტორიაში კიდევ ერთი ბომბარდირი ჩამოიტოვა - ხენტო, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი ის „მესიჯია", რაც მან ყოფილ კლუბს გაუგზავნა. შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს „რეალი" ჩემპიონთა ლიგაზე „მანჩესტერ იუნაიტედს" უმასპინძლებს.

**ლეო მესიმ** კი პრიმერას რეკორდი ერთით უფრო მაღალ თამასაზე აწია - არგენტინელ ფორვარდს ზედიზედ მე-13 ტურია, რაც გოლი გააქვს, თუმცა „კამპ ნოუს" მატჩის მთავარი გმირი ის არ იყო - გმირს ფორთოხლისფერი ბუცები და 8-ნომრიანი მაისურა ეცვა.

### დუდუს საგოლე პასი

**გრეგორიო მანსანოს** მესამე მიბრუნება „მალიორკაში" კინაღამ მარცხიანი გამოდგა - მწვრთნელი და გუნდი 91-ე წუთზე ბრაზილიელმა მცველმა **პედრო ჟერომელმა** შედეგიანი თავურით გადაარჩინა. აღსანიშნავია, რომ გოლის ავტორს შორეული პასი... მეკარე **დუდუ ავატესგან** მიუვიდა. „ოსასუნამ" მე-16 წუთზე გაიტანა (მცველი **რუბენი**), მაგრამ მსაჯმა **პერეს მონტერომ** შეცდომით დააფიქსირა მეკარე ავატეზე თავდასხმა. პირველ ტაიმშივე **ჟოვანი დოს სანტოსი** მეკარე **ანდრეს ფერნანდესთან** პირისპირ გავიდა და დუელი წააგო.

სტუმრები **ლოლომ** თავურით დააწინაურა და ნავარელები ლამის მატჩის ბოლომდე იგებდნენ. სხვათა შორის, ჟერომელის გოლის შემდეგ ჟოვანი დოს სანტოსმა სტუმართა კარში გაიტანა, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობიდან.

### ვალვერდემ პელეგრინოს უკვე აჯობა

„ესტადიო ბალაიდოსზე" მატჩის 93-ე წუთი მიმდინარეობდა, პორტუგალიელმა **ჟოაო პერეირამ** ბრწყინვალედ ითამაშა მარჯვენა ფლანგზე და ბურთი თავზე „დაასვა" პარაგვაელ **ნელსონ ვალდესს** და... „ვალენსია" ჩემპიონთა ლიგის უმნიშვნელოვანეს ბატალიას „პარი სენ-ჟერმენთან" მაღალ განწყობაზე ხვდება. „ვალენსიამ" გარკვეული ხნით ფრანგი მარცხენა მცველი **ალი სისოკო** დაკარგა, რომელმაც კოჭი იტკინა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. კარგად ითამაშა „ლამურების" მეკარე **ვისენტე გუაიტამ**, რომელმაც **იაგო ასპასს** გოლის გატანა არ დაანება. ცუდად იმსაჯა **ვიტიენეს ტეიშეირამ**, რომელმაც **რობერტო სოლდადოს** ოფსაიდი მოუგონა და ნაღდი გოლი არ ჩაუთვალა.

**ერნესტო ვალვერდემ** 9 მატჩში 19 ქულა მოიპოვა, მაშინ როცა მისმა წინამორბედმა **მაურისიო პელეგრინომ** - 18 ქულას 14 მატჩში მოუყარა თავი.

### ლევანტე სალიგო არ არის

„ვალენსია" ორიოდ საათით იყო ჩემპიონთა ლიგის საგზურის მომტან მე-4 ადგილზე - ვალენსიაში „ლევანტეს" **ისკოს** დუბლის წყალობით დამარცხების შემდეგ **მანუელ პელეგრინის** „მალაგა" სასურველ საფეხურს დაუბრუნდა.

პირველ ტაიმში გუნდებმა პენალტებით გაცვალეს გოლები. ჯერ **ობაფემი მარტინსის** ნაქცევისთვის, **ხოსე ბარკერომ** დააწინაურა „ლევანტე", შემდეგ **ჟულიო ბაპტიშტას** ნაქცევისთვის დანიშნული თერთმეტრიანი ისკომ გამოიყენა. ესპანეთის ნაკრების 20 წლის ახალწვეული მე-2 ტაიმში მატჩის გმირი გახდა - **ტულალანის** ჩაწოდებულ ბურთს მასპინძელთა კარში მიუჩინა ადგილი.

### გაფრთხილება ყოფილ კლუბს

გაფრთხილება ყოფილ კლუბს - „მანჩესტერ იუნაიტედთან" თამაშის წინ 28 წლის **კრიშტიანო რონალდომ** ჰეთთრიკი შეასრულა. პორტუგალიელის ანგარიშზე ერთი საგოლე პასიცაა. არგენტინელ მცველ **ფედერიკო ფასიოს** კოშმარული საღამო ჰქონდა, ჯერ ბენზემას გაატანინა სულელური რიკოშეტის „წყალობით", მერე ბურთი თავზე გადაახტა და რონალდოს დუბლი შეასრულებინა. ამ ორ გოლს შორის კრიშტიანომ ცაციით, საჯარიმოს გარედან აიღო **ბეტოს** კარი. პორტუგალიელმა ჰეთთრიკი უსწრაფეს კონტრშეტევაზე შეასრულა, რომელიც თავადვე წამოიწყო. გუნდებმა 10-10 ფეხბურთელით დაასრულეს თამაში, მსაჯმა ჯერ **იგუაინი**, შემდეგ კი **მადურო** გააძევა. **მანუ დელ მორალმა** ლამაზი, მაგრამ მაინც მხოლოდ პრესტიჟის გოლი გაიტანა - 4:1.

**აიტორ კარანკა** (რეალი): *„ქარიმ ბენზემა და გონსალო იგუაინი ერთად, არ უნდა იყოს ურიგო ვარიანტი. კრიშტიანომ იცის, რა მნიშვნელოვანი მატჩი გველის წინ".*

**უნაი ემერი** (სევილია): *„ხანდახან უბრალოდ ვერ ვცნობდი ჩემს გუნდს".*

### უიმედო რიასორი

„რიასორმა" „დეპორტივოს" გადარჩენის იმედი დაკარგა, ხოლო „გრანადას" თავკაც **ლუკას ალკარასს** შესანიშნავი სტარტი გამოუვიდა - 2 მატჩში 6 ქულა მოიპოვა, შინ „რეალთან" და სტუმრად „დეპორტივოსთან". შემდეგ ტურში „ბარსელონა" ელის და იქაც თუ გამოიჩინა თავი...



კრიშტიანო რონალდომ სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩის წინ 3 გოლი გაიტანა

გადამწყვეტი მომენტი ტაიმის მიწურულს დადგა, როცა მსოფლიოს ჩემპიონმა **კარლოს მარჩენამ** უნებურად საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. მეორე ტაიმში ნიგერიელმა **ოდიონ იგჰალომ გილერმო სიკეირას** პასით გაიტანა, ბოლოს კი იგჰალოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი სიკეირამ მესამე გოლად აქცია. ამ ეპიზოდში ვეტერანი **მანუელ პაბლო** გააძევეს.

**დომინგუშ პასიენსია** (დეპორტივო): *„არა აქვს მნიშვნელობა, როგორ გადაწყდება ჩემი საკითხი, მთავარია, გუნდს ეშველოს რამე".*

**ლუკას ალკარასი** (გრანადა): *„ანგარიში თვალს ატყუებს, ამხელა უპირატესობა ნამდვილად არ გვქონია".*

### ჯადოქარი და უფსკრული

„ბარსელონას" 6 გოლიდან მხოლოდ 2-ში (**პიკეს** და **ტელიოს** გოლები) არ მიუღია მონაწილეობა **ანდრეს ინიესტას**, რომელმაც ფანტასტიკური მატჩი ითამაშა. განსაკუთრებით კი მისი საგოლე პასია აღსანიშნავი მე-6 წუთზე, როცა მოედნის ცენტრიდან მეკარესთან პირისპირ **ალექსის სანჩესი** გაიყვანა. „ბარსას" ექვსივე გოლი სხვადასხვა ფეხბურთელმა გაიტანა, მათ შორის **ლეო მესიცაა**, რომლისთვისაც ეს ზედიზედ მე-13 ტურში გატანილი ბურთი - ლა ლიგის ახალი რეკორდი.

**ანდონი სუბისარეტა (ბარსელონა):** *„დღეს ჩვენ მოედანზე გვყავდა ნამდვილი ჯადოქარი, ფორთოხლისფერი ბუცებით და 8-ნომრიანი მაისურით. ახლა ნიუ იორკში მივფრინავ, ტიტოს მოსანახულებლად და ფეხბურთზე სალაპარაკოდ".*

**ლუის გარსია** (ხეტაფე): *„ჩვენ ორ კლუბს შორის სხვაობა კი არა უფსკრულია".*

### ბასკური გამარჯვება და სირცხვილი

კვირის სხვა მატჩებში „რეალ სოსიედადმა" სტუმრად 2:1 დაამარცხა „სარაგოსა". სამაგიეროდ, მეორე ბასკური კლუბი საშვილიშვილოდ შერცხვა - „ბილბაომ" ფეხბურთის კათედრალ „სან მამესზე" 0:4 წააგო **ხავიერ აგირეს** „ესპანიოლთან", რომლის მეტსახელიც ტყუილად არ არის „ელ ვასკო" (ბასკი) მექსიკელი წარმოშობით მართლაც ბასკია. „ატლეტიკომ" კი მადრიდული დერბი წააგო და უკვე 12 ქულით ჩამორჩება „ბარსელონას".

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## პორტუგალია

### ლიგა საგრეში. XVIII ტური

**ეშტორილი-გიმარაეში 2:0**

**გოლები:** 1:0 ლეალი (33), 2:0 კარლიტოსი (64)
**გაძევება:** ვიტორია (83. ეშტორილი)

**აკადემიკა-რიუ ავე 1:2**

**გოლები:** 0:1 ჰასანი (30), 1:1 ს. სისე (51), 1:2 ბებე (55)
**გაძევება:** ჰალიჩე (90. აკადემიკა)

**სეტუბალი-ჟილ ვისენტე 1:0**

**გოლი:** 1:0 პ. სანტოსი (24)

**სპორტინგი-მარიტიმუ 0:1**

**გოლი:** 0:1 სუკი (18)

**მორეირენშე-ბეირა მარი 3:0**

**გოლები:** 1:0 ანიბალ კაპელა (45), 2:0 ღილასი (67), 3:0 ღილასი (67)

**ნასიონალი-ბენფიკა 2:2**

**გოლები:** 1:0 ბარსელოსი (6), 1:1 მეშერი (16 ს.კ.), 1:2 ურეტა (37), 2:2 მატეუში (53)
**გაძევება:** კარდოსო (89. ბენფიკა), მარსელი (90. ნასიონალი), მატიჩი (96)

**პორტუ-ოლანენშე 1:1**

**გოლები:** 0:1 ტარგინო (6), 1:1 ჯ. მარტინესი (55)

**11 თებერვალი**

**ბრაგა-ფერეირა 00:00**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 18 | 14 | 4 | 0 | 45-9 | 46 |
| 2. ბენფიკა | 18 | 14 | 4 | 0 | 46-14 | 46 |
| 3. ფერეირა | 17 | 8 | 7 | 2 | 23-12 | 31 |
| 4. ბრაგა | 17 | 9 | 3 | 5 | 38-24 | 30 |
| 5. რიუ ავე | 18 | 8 | 4 | 6 | 23-23 | 28 |
| 6. ეშტორილი | 18 | 6 | 4 | 8 | 26-26 | 22 |
| 7. მარიტიმუ | 18 | 5 | 7 | 6 | 17-27 | 22 |
| 8. გიმარაეში | 18 | 5 | 6 | 7 | 18-29 | 21 |
| 9. აკადემიკა | 18 | 4 | 8 | 6 | 25-27 | 20 |
| 10. სპორტინგი | 18 | 4 | 7 | 7 | 16-20 | 19 |
| 11. ნასიონალი | 18 | 5 | 4 | 9 | 25-32 | 19 |
| 12. ჟილ ვისენტე | 18 | 4 | 6 | 8 | 18-28 | 18 |
| 13. ოლანენშე | 18 | 3 | 8 | 7 | 20-27 | 17 |
| 14. სეტუბალი | 18 | 4 | 5 | 9 | 20-36 | 17 |
| 15. ბეირა მარი | 18 | 3 | 6 | 9 | 23-35 | 15 |
| 16. მორეირენშე | 18 | 3 | 5 | 10 | 19-33 | 14 |

**ბომბარდირები:** 16 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ); 13 - ოსკარ კარდოსო (ბენფიკა), ალბერტ მეიონგი (სეტუბალი).

**მალიორკა-ოსასუნა 1:1**

**გოლები:** 0:1 ლოლო (76), 1:1 ჟერომელი (91)
**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - ჰატონი (46. პემედი), ნუნიეში, ჟერომელი, ლუნა - პინა, მარკესი (81. ტისონე) - ნსუე, ჟოვანი დოს სანტოსი, მ. პერეირა - ვიქტორი (77. ალფარო).
**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, რუბენი, ფლანიო, დამია - ლოლო (88. არიბასი), ფ. სილვა - არმენტეროსი (85. ლო), ოიერი, დე ლას კუევასი (69. სეხუდო) - ნინო.
**გაფრთხილება:** პინა, ჟერომელი, ტისონე - რუბენი, სილვა, დამია
**კუთხური:** 12-2; **ჯარიმა:** 10-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 12-10 (2-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.
**მაყურებელი:** 13 816

**სელტა-ვალენსია 0:1**

**გოლი:** 0:1 ვალდესი (93)
**სელტა (4-2-3-1):** ვარასი - ხონი, დემიდოვი, ტუნიესი, ბელვისი - ა. ლოპესი (81. პრანიჩი), ოუბინია - ა. ფერნანდესი (50. ბერმეხო), კრონ-დელი, ორელიანა - ასპასი (84. პარკი).
**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ბარაგანი, რამი, რ. კოშტა, სისოკო (37. ჟ. პერეირა) - ალბელდა (60. პარეხო), ტინო კოსტა - ფეგული, ბანეგა, ჟონასი (88. ვალდესი) - სოლდადო.
**გაფრთხილება:** ოუბინია, ასპასი - კოშტა, ალბელდა, ბარაგანი, ფეგული
**კუთხური:** 10-5; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 0-10; **კარში დარტყმა:** 6-15 (2-4); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.
**მაყურებელი:** 20 900

**ლევანტე-მალაგა 1:2**

**გოლები:** 1:0 ბარკერო (27-პენ), 1:1 ისკო (36-პენ), 1:2 ისკო (47)
**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ლელი, ვინტრა, დ. ნავარო, ხუანფრანი - იბორა, ბარკერო - რიოსი (79. ელ-ჟარი), მიჩელი (68. ვალდო), რუბენ გარსია (66. ხუანლუ) - მარტინსი.
**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, ს. სანჩესი, დემიკელისი, ანტუნეში - ტულალანი, იტურა - ხოაკინი (66. პიაზონი), ბაპტიშტა (79. სება ფერნანდესი), ისკო - სავიოლა (74. სანტა კრუსი).
**გაფრთხილება:** ვინტრა, ხუანფრანი, ბარკერო, ნავარო - ბაპტიშტა
**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 12-8 (4-4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 20 100

**დეპორტივო-გრანადა 0:3**

**გოლები:** 0:1 მარჩენა (45 ს.კ.), 0:2 იგჰალო (51), 0:3 სიკეირა (95-პენ)
**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - მ. პაბლო, მარჩენა, ზე კაშტრო, ევალდო - ბერგანტინიოსი (78. ხ. დომინგესი), ასუნსაო - გამა (46. ოლივეირა), პიცი, სალომაო (63. ვალერონი) - რიკი.
**გრანადა (4-2-3-1):** ტონიო - ნიომი (52. ორტისი), ი. ლოპესი, მაინსი, სიკეირა - რესიო, მ. რიკო - ტორჟე, არანდა, ნოლიტო (81. ირინეი) - იგჰალო (69. ბუონანოტე).
**გაფრთხილება:** ზე კაშტრო, ოლივეირა, მარჩენა - მაინსი, რიკო, სიკეირა
**გაძევება:** მ. პაბლო (94)
**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 9-13; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 15-14 (1-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.
**მაყურებელი:** 27 300

**რეალი-სევილია 4:1**

**გოლები:** 1:0 ბენზემა (17), 2:0 რონალდო (26), 3:0 რონალდო (46), 4:0 რონალდო (58), 4:1 დელ მორალი (87)
**რეალი (4-2-3-1):** დ. ლოპესი - არბელოა, ალბიოლი, ს. რამოსი, ფ. კოენტრაო - ესიენი, მოდრიჩი - ბენზემა (67. კალეხონი), კაკა (67. პეპე), რონალდო (62. მორატა) - იგუაინი.
**სევილია (4-3-3):** ბეტო - კოკე, ფასიო, სპაჰიჩი, ფ. ნავარო - მედელი (71. მორენო), მადურო, კონდობია (77. ერვასი) - ხესუს ნავასი, ნეგრედო, რეიესი (70. დელ მორალი).
**გაფრთხილება:** იგუაინი, კაკა, არბელოა, მოდრიჩი, მორატა - ნავასი, მადურო
**გაძევება:** იგუაინი (66), მადურო (64)
**კუთხური:** 5-9; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 18-12 (10-6); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.
**მაყურებელი:** 65 000

**ბარსელონა-ხეტაფე 6:1**

**გოლები:** 1:0 სანჩესი (6), 2:0 მესი (13), 3:0 ვილია (58), 4:0 ტელიო (78), 4:1 ა. ვასკესი (83), 5:1 ინიესტა (90), 6:1 პიკე (92)
**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - ადრიანო (46. დანი ალვეში), პიკე, პუიოლი (75. მასკერანო), ალბა - ტ. ალკანტარა, სონგი, ინიესტა - სანჩესი (72. ტელიო), მესი, ვილია.
**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - მ. ტორესი, ლოპო, ალექსისი, ესკუდერო - ბარადა (69. სარაბია), დ. კასტრო, გავილანი (64. პედრო ლეონი) - კოლუნგა (72. ა. ვასკესი).
**გაფრთხილება:** სონგი - ლოპო, კასტრო
**კუთხური:** 4-0; **ჯარიმა:** 13-9; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 17-6 (9-1); **ბურთის ფლობა:** 73%-27%.
**მაყურებელი:** 85 610

**სარაგოსა-სოსიედადი 1:2**

**გოლები:** 0:1 გრიზმანი (11), 0:2 აგირეჩე (32), 1:2 აპონიო (91-პენ)
**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - სეპუნარუ, ალვარო, პარედესი, ექტორი - მოვილია (27. ხ. ფერნანდესი), რომარიკი - ვ. როდრიგესი (46. ბიენვენუ), აპონიო, მონტანიესი (71. როჩინა) - პოშტიგა.
**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი (88. ესტრადა), მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ბერგარა, ილარამენდი (77. პარდო) - ველა (72. გ. კასტრო), ჩაბი პრიეტო, გრიზმანი - აგირეჩე.
**გაფრთხილება:** ექტორი, ალვარო, სეპუნარუ, პოშტიგა
**გაძევება:** ექტორი (22)
**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 11-5; **თამაშგარე:** 5-6; **კარში დარტყმა:** 10-14 (3-7); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.
**მაყურებელი:** 25 840

**ბილბაო-ესპანიოლი 0:4**

**გოლები:** 0:1 მორენო (28), 0:2 ვ. სანჩესი (57), 0:3 სტუანი (58), 0:4 ვერდიუ (75-პენ)
**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ლაპორტე, სან ხოსე, აურტენეჩე (58. ტოკერო) - იტურასპე, ანდერი - სუსაეტა, დე მარკოსი, მუნიაინი (23. ი. გომესი) - ადურისი.
**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხ. ლოპესი (67. მატიონი), კოლოტო, მორენო, კაპდევილა - ვ. სანჩესი, ფორლინი - სტუანი, ვერდიუ (81. ალფონსო), სიმაო (52. ვ. ალვარესი) - ს. გარსია.
**გაფრთხილება:** სან ხოსე, ლაპორტე - სიმაო, სტუანი, ს. გარსია, კასილია, კაპდევილა, ფორლინი, სანჩესი
**კუთხური:** 12-3; **ჯარიმა:** 11-16; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 16-9 (5-5); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.
**მაყურებელი:** 29 200

**ვალეკანო-ატლეტიკო 2:1**

**გოლები:** 1:0 ლ. ბანგურა (3), 2:0 ლეო კარილიო (32), 2:1 ფალკაო (94)
**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - არბილია, გალვესი, ამატი, კასადო - ტრაშორასი, ფუეგო - ლ. ბანგურა (67. ხუან კარლოსი), ა. დომინგესი (85. ადრიანი), პიტი - ლეო კარილიო (74. დელიბაშიჩი).
**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, კატა დიასი, ფილიპე ლუიში - გაბი, სუარესი (71. კ. როდრიგესი) - კოკე (81. ოლივერი), რაულ გარსია, ადრიან ლოპესი (46. არდა თურანი) - ფალკაო.
**გაფრთხილება:** ფუეგო, ტრაშორასი - დიასი, გაბი
**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 10-20 (3-7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.
**მაყურებელი:** 12 800

**11 თებერვალი**

**ბეტისი-ვალიადოლიდი 00:30**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 23 | 20 | 2 | 1 | 78-26 | 62 |
| 2. ატლეტიკო | 23 | 16 | 2 | 5 | 44-23 | 50 |
| 3. რეალი | 23 | 14 | 4 | 5 | 58-22 | 46 |
| 4. მალაგა | 23 | 11 | 6 | 6 | 36-21 | 39 |
| 5. ვალენსია | 23 | 11 | 4 | 8 | 32-35 | 37 |
| 6. ვალეკანო | 23 | 12 | 1 | 10 | 33-39 | 37 |
| 7. სოსიედადი | 23 | 10 | 6 | 7 | 37-29 | 36 |
| 8. ბეტისი | 22 | 11 | 2 | 9 | 31-34 | 35 |
| 9. ლევანტე | 23 | 10 | 3 | 10 | 29-35 | 33 |
| 10. ვალიადოლიდი | 22 | 8 | 5 | 9 | 32-29 | 29 |
| 11. სევილია | 23 | 8 | 5 | 10 | 30-34 | 29 |
| 12. ხეტაფე | 23 | 8 | 5 | 10 | 29-42 | 29 |
| 13. ესპანიოლი | 23 | 7 | 7 | 9 | 30-34 | 28 |
| 14. გრანადა | 23 | 7 | 5 | 11 | 22-32 | 26 |
| 15. ბილბაო | 23 | 7 | 5 | 11 | 29-46 | 26 |
| 16. სარაგოსა | 23 | 7 | 3 | 13 | 23-33 | 24 |
| 17. ოსასუნა | 23 | 5 | 7 | 11 | 19-27 | 22 |
| 18. სელტა | 23 | 5 | 5 | 13 | 21-28 | 20 |
| 19. მალიორკა | 23 | 4 | 6 | 13 | 23-43 | 18 |
| 20. დეპორტივო | 23 | 3 | 7 | 13 | 27-51 | 16 |

**ბომბარდირები:** 35 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 19 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 12 - არიც ადურისი (ბილბაო), რუბენ კასტრო (ბეტისი).

### სეგუნდა დივიზიონი. XXV ტური

**ალმერია-საბადელი 5:1**

**გოლები:** 1:0 ო. რამირესი (5 ს.კ.), 2:0 კორონა (31), 3:0 მ. სილვა (53), 4:0 სორიანო (72-პენ), 4:1 კ. ფერნანდესი (82 ს.კ.), 5:1 შარლესი (89)
**გაძევება:** ო. რამირესი (71. საბადელი)

**ბარსელონა II-გვადალახარა 0:1**

**გოლი:** 0:1 კეპა (78)

**ლუგო-სპორტინგი 1:2**

**გოლები:** 0:1 გერერო (4)1:1 ო. დიასი (67), 1:2 ტრეხო (75)
**გაძევება:** სეოანე (40. ლუგო)

**ხერესი-რეალი II 0:1**

**გოლი:** 0:1 ლუკასი (88)
**გაძევება:** რ. გარსია (34. ხერესი)

**ვილიარეალი-პონფერადინა 3:0**

**გოლები:** 1:0 ხ. პერეირა (33), 2:0 ხ. პერეირა (39), 3:0 ხ. პერეირა (58)

**რასინგი-უესკა 1:0**

**გოლი:** 1:0 დორკა (15)

**მურსია-უელვა 1:2**

**გოლები:** 1:0 ალბიოლი (46), 1:1 ალექსანდერი (59), 1:2 ჩული (73)

**ჟირონა-ერკულესი 1:1**

**გოლები:** 1:0 ბენხა (4), 1:1 ბედია (53)

**ელჩე-კორდობა 0:0**

**ნუმანსია-მირანდესი 0:0**

**ალკორკონი-ლას პალმასი 3:1**

**გოლები:** 1:0 სერდა (26), 2:0 რიერა (41), 3:0 სალესი (58), 3:1 ქრისანტუსი (87)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 25 | 16 | 7 | 2 | 34-12 | 55 |
| 2. ალმერია | 25 | 13 | 6 | 6 | 42-27 | 45 |
| 3. ალკორკონი | 25 | 14 | 2 | 9 | 37-34 | 44 |
| 4. ჟირონა | 25 | 12 | 6 | 7 | 41-28 | 42 |
| 5. კორდობა | 25 | 11 | 7 | 7 | 31-24 | 40 |
| 6. ბარსელონა II | 25 | 11 | 6 | 8 | 54-41 | 39 |
| 7. ვილიარეალი | 25 | 10 | 9 | 6 | 31-24 | 39 |
| 8. ლას პალმასი | 25 | 10 | 7 | 8 | 34-35 | 37 |
| 9. უელვა | 25 | 11 | 4 | 10 | 33-37 | 37 |
| 10. საბადელი | 25 | 10 | 6 | 9 | 37-34 | 36 |
| 11. პონფერადინა | 25 | 11 | 2 | 12 | 32-33 | 35 |
| 12. ლუგო | 25 | 9 | 6 | 10 | 25-31 | 33 |
| 13. რეალი II | 25 | 9 | 4 | 12 | 44-42 | 31 |
| 14. სპორტინგი | 25 | 7 | 10 | 8 | 32-33 | 31 |
| 15. ნუმანსია | 25 | 7 | 9 | 9 | 28-32 | 30 |
| 16. გვადალახარა | 25 | 7 | 8 | 10 | 27-31 | 29 |
| 17. მირანდესი | 25 | 6 | 10 | 9 | 21-26 | 28 |
| 18. მურსია | 25 | 7 | 6 | 12 | 27-35 | 27 |
| 19. უესკა | 25 | 6 | 8 | 11 | 25-33 | 26 |
| 20. ერკულესი | 25 | 6 | 6 | 13 | 26-37 | 24 |
| 21. რასინგი | 25 | 6 | 6 | 13 | 20-35 | 24 |
| 22. ხერესი | 25 | 5 | 7 | 13 | 22-39 | 22 |

**ბომბარდირები:** 14 - შარლესი (ალმერია); 13 - ჟერარდ დეულოფეუ (ბარსელონა II), ხესე როდრიგესი (რეალი), ჩული (უელვა), ორიოლ რიერა (ალკორკონი).

**მომდევნო ტური**

15 თებერვალი: სევილია-დეპორტივო.
16 თებერვალი: **ხეტაფე-სელტა, მალაგა-ბილბაო, გრანადა-ბარსელონა, ოსასუნა-სარაგოსა.**
17 თებერვალი: **რეალ სოსიედადი-ლევანტე, ვალენსია-მალიორკა, ვალიადოლიდი-ატლეტიკო, ესპანიოლი-ბეტისი, რეალი-რაიო ვალეკანო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

აფრიკის თასი. სამხრეთ აფრიკა 2013

# სუპერ კვირა არნივებისთვის

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

**მალი–განა 3:1**

**გოლები:** 1:0 სამასა (21), 2:0 ს. კეიტა (48), 2:1 კ. ასამოა (82), 3:1 ს. დიარა (90).

**მალი** (4-4-1-1): სუმბეილა დიაკიტე – ფ. დიავარა, ა. კულიბალი, ს. კულიბალი, ტამბურა – ო. კულიბალი, მ. ტრაორე, კ. ტრაორე, ს. კეიტა – სამასა (78. ს. დიარა), დიაბატე.

**განა** (4-4-2): დაუდა – კისი ბოატენგი, ვორსა, ბოიე (46. მენსა), აფული – ავალი, ასანტე, კ. ასამოა, ვაკასო – ატსუ (70. ადომა), ასამოა გიანი (75. კლოტი).

**გამოუყენებელი პენალტი:** ვაკასო (58. განა).

**გაფრთხილება:** ტამბურა – ვაკასო, ვორსა, ასანტე.

**ბურთის ფლობა:** 50-50; **კუთხური:** 2-6; **კარში დარტყმა:** 8 (5) – 13 (4); **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 1-1;

აფრიკის თასზე მესამე ადგილი მალიმ დაიკავა, რომელმაც განას 3:1 მოუგო. ორივე გუნდმა გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა და როგორც გამოჩნდა, მეტი მოტივაცია მალელ ფეხბურთელებს ჰქონდათ. პირველ ტაიმში, „პორტ ელიზაბეტზე" შეკრებილმა 6 000-მა მაყურებელმა მხოლოდ ერთი გოლი იხილა – თავი **მამადუ სამასამ** გამოიჩინა. მეორე ნახევარში კი მალელთა მხრიდან გოლები კაპიტანმა **სეიდუ კეიტამ** და ცვლილებაზე გამოსულმა **სიგიმარი დიარამ** გაიტანეს. კეიტას და დიარას გოლებს შორის **კვადვო ასამოას** გასროლა იყო – „იუვენტუსის" ნახევარმცველმა 82-ე წუთზე სხვაობა შეამცირა, მაგრამ **კვასი აპიას** შეგირდებმა ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხეს.

განელებს სხვაობის შემცირება ადრეც შეეძლოთ, კერძოდ 58-ე წუთზე **ვაკასომ** 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა, არადა რომ გაეტანა, **ემანუელ ემენიკეს** გაასწრებდა და ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნულად გალიდერდებოდა. საინტერესოა, რომ ტურნირზე გატანილი 4 გოლიდან სამი, ვაკასო მუბარაქმა პენალტით გაიტანა.

**ფინალი**

**ნიგერია–ბურკინა ფასო 1:0**

**გოლი:** 1:0 მბა (40).

**ნიგერია** (4-3-3): ენიეამა – ემბროუსი, ობოაბონა, ომერუო, ეჩიეჯილე (67. ოშანივა) – ობი მიკელი, მბა (89. მბა), ონაზი – ბ. იდეიე, მოზესი, ი. უჩე (53. მუსა).

**ბურკინა ფასო** (4-3-2-1): დ. დიაკიტე – კოფი, ბ. კონე, პოლ კულიბალი (84. დაგანო), პანანდეტიგუირი – რუამბა (65. აბდუ რაზაკ ტრაორე), დ. კონე (89. ა. ტრაორე), კაბორე – ნაკულმა, პიტროიპა – ბანსე.

**გაფრთხილება:** ონაზი, ომერუო, ობი მიკელი, ოშანივა, ბ. იდეიე – რუამბა.

**ბურთის ფლობა:** 48-52; **კუთხური:** 3-6; **კარში დარტყმა:** 10 (3) – 8 (1); **ჯარიმა:** 17-11; **თამაშგარე:** 2-5;

ვაკასოს გაუმართლა, რადგან ემანუელ ემენიკემ ფინალში თამაში ვერ მოახერხა – მოსკოვის „სპარტაკის" ფორვარდმა მატჩის წინ ტრავმა მიიღო. მატჩის წინ ბურკინა ფასოს ნაკრებს დაუბრუნდა **ალან ტრაორე**, რომელიც ბოლომდე მომჯობინებული არ იყო, მაგრამ უკანასკნელ წამებზე მოედანზე მაინც გამოჩნდა. ასევე, დისკვალიფიკაცია მოუხსნეს გუნდის ერთ-ერთი ლიდერს, **ჯონათან პიტროიპას**, რომელიც განასთან 1/2-ფინალურ შეხვედრაში გააძევეს.

ბურკინა ფასოს ნაკრები აფრიკის ერთა თასის ფინალში პირველად გავიდა. ამასაც, რომ თავი დავანებოთ, **პოლ პუტის** გუნდმა ჯგუფურ ეტაპზე ეთიოპიასთან მიღწეული გამარჯვებით, საკუთარი ნაკრების 15-წლიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა – აფრიკის თასის ფინალურ ეტაპზე, ბოლო გამარჯვება ბურკინა ფასოს 1998 წელს ჰქონდა მოპოვებული. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მათი ფინალში გასვლა, რა თქმა უნდა, დიდი სენსაცია იყო, თანაც გუნდმა პლეი ოფის ეტაპზე ალან ტრაორეს გარეშე ითამაშა.

მატჩის ფავორიტი, მიუხედავად ემენიკეს გამოკლებისა, ნიგერიის ნაკრები იყო. საბოლოოდ, **მოზესმა** და კომპანიამ სტატუსი გაამართლეს და 1994 წლის შემდეგ, აფრიკის ჩემპიონობა პირველად მოიპოვეს. სხვათა შორის, ნიგერიელთა დამრიგებელი **სტივენ კეში**, 1994 წელს აფრიკის თასის გამარჯვებული ფეხბურთელის რანგში გახდა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი, 1/4-ფინალური მატჩის (კოტ დივუართან) გმირმა, **სანდეი მბამ** მე-40 წუთზე გაიტანა – 24 წლის ფეხბურთელმა ბურთი საჯარიმოს გარეთ მიიღო, **ბაკარი კონეს** თავზე გადაუგდო და ორი მეტოქის წინააღმდეგობის მიუხედავად, ისე, რომ მიწაზე არ დაუშვია, შორეული კუთხისაკენ გაგზავნა.

მეორე ტაიმში ბურთს უმეტესად ბურკინა ფასოს ნაკრები ფლობდა, ნიგერია კი კონტრშეტევაზე თამაშობდა და რამდენიმე რეალური შანსიც გაანიავა. საბოლოოდ, მატჩი ლოგიკურად, უფრო ძლიერი გუნდის გამარჯვებით დასრულდა. ნიგერიამ, გარდა იმისა, რომ ისტორიაში აფრიკის თასი მესამედ მოიგო, ზაფხულში ბრაზილიაში გასამართი კონფედერაციის თასის საგზური მოიპოვა.

2013 წლის აფრიკის ერთა თასის საუკეთესო ფეხბურთელად ვიქტორ მოზესი დაასახელეს, საუკეთესო ბომბარდირის ტიტული კი, როგორც მოგახსენეთ, ვაკასო მუბარაქმა და ემანუელ ემენიკემ გაიყვეს.

**ტატო ბაციკაძე**







ეროვნული ბიბლიოთეკა



იტალია. სერია A. XXIV ტური

# რომა ფეხშიშველსაც გაგაქცევს

## ბალოტელიმ მილანი ისევ იხსნა

**XXIV ტურის** ორი ყველაზე გამორჩეული შეხვედრა შაბათს გაიმართა - ტურინში „იუვენტუსმა" „ფიორენტინა" დაამარცხა, რომში კი „ლაციომ" და „ნაპოლიმ" ქულები გაიყვეს. შედეგად, „ვეკია სენიორამ" გაზარდა სხვაობა უახლოეს მდევართან, თუმცა ამ ყველაფერს ნეაპოლში მშვიდად შეხვდნენ.

### ქალბატონს 3 ქულა, იებს პოტენციალი

„იუვენტუსმა" სრული უპირატესობით წარმართა „ფიორენტინასთან" შეხვედრა და დამაჯერებლად გაიმარჯვა, 2:0. ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა და ამით საქმეც მოთავდა. მე-20 წუთზე **მირკო ვუჩინიჩმა** ჩაიგდო ბურთი და საჯარიმოს გარედან უძლიერესი დარტყმით ფლორენციელთა მეკარე უშანსოდ დატოვა. მეორე გოლი ტაიმის მიწურულს გავიდა, როდესაც **არტურო ვიდალმა** ბრძოლაში მოპოვებული ბურთი მეტოქის საჯარიმომდე მიათრია, **ალესანდრო მატრი** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა და ამ უკანასკნელსაც მიზანმა არ უმტყუნა. აღსანიშნავია, რომ დარტყმამდე მატრის მცველმა ბუცი გააძრო და ფორვარდმა გოლი გეტრით გაიტანა.



ალესანდრო მატრის ბუცი გოლის აღნიშვნისას მიუტანეს

მეორე ნახევარში „იუვენტუსი" თითქოს ძალებს ზოგავდა და მიუხედავად ამისა, თამაშის გამარჯვებამდე მიყვანა აღარ გასჭირვებია. რაც შეეხება „ფიორენტინას", გუნდი ნელ-ნელა თმობს პოზიციებს და ჩემპიონთა ლიგის ზონასაც უიმედოდ შორდება. ველარც **სტევან იოვეტიჩია** ძველებურად ყოჩაღი და ველარც ნახევარმცველებს უჭირავთ ბურთი დამაჯერებლად. თუმცა „ვიოლას" აქვს პოტენციალი და სწორედ ამის იმედზეა **ვინჩენცო მონტელა**, რომელმაც ნამატჩევს შემდეგი განაცხადა:

*„გოლი მალევე გავუშვით, შემდეგ კი „იუვემ" დიდოსტატურად ითამაშა და სადავეები ხელიდან აღარც გაუშვია. ჩვენი გუნდი შენების პროცესშია და ამ გზაზე ასეთი მატჩებისგან, რაც შეიძლება მეტი უნდა ვისწავლოთ. „ფიორენტინას" დიდი პოტენციალი აქვს, რომელსაც სწორი მიმართულება უნდა მივცეთ".*

### მაცარიმ გარისკა და ქულა იხსნა

„ლაციოსა" და „ნაპოლის" მატჩები ხშირად გამოდის დაძაბული, დრამატული, სანახაობრივი და გამონაკლისი არც ბოლო პაექრობა ყოფილა. სატურნირო ცხრილში მეორე და მესამე ადგილზე მყოფმა გუნდებმა თავი არ დაზოგეს, ბოლომდე იბრძოლეს და საბოლოოდ, ქულები გაიყვეს.

ანგარიში შეხვედრის სტარტზევე რომაელებმა გახსნეს – მე-11 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ნეაპოლელებმა საჯარიმოში **სერჯო ფლოკარი** უმეთვალყურეოდ დატოვეს, ამ უკანასკნელმა ზუსტი პასი კარგად დაამუშავა და უზუსტესი დარტყმით ბადეში გაახვია. პირველი ტაიმი რომაელთა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, ნეაპოლელები კი კონტრშეტევებზე ცდილობდნენ ხეირის ნახვას, თუმცა ეს საქმე მთლად კარგად არ გამოსდიოდათ. სამხრეთელებს რალაც უნდა შეეცვალათ და **ვალტერ მაცარიმ** ქმედითი ნაბიჯები მეორე ტაიმის სტარტიდანვე გადადგა. შუახაზელ **ვალონ ბერამის** ნაცვლად თამაშში **ლორენცო ინსინიე** ჩაერთო, რომელმაც მარცხენა გარემარბის როლი იტვირთა, სულ მალე კი კიდევ ერთი შემტევი, **ომარ ელ ქადურიც** ჩაერთო ბრძოლაში.

ელ ქადურის რა გითხრათ და ინსინიემ კი მართლაც გამოაცოცხლა თამაში. თავის ფლანგზე გააწამა რომაელი მცველები და სახიფათო მომენტებიც ბლომად შექმნა. მოკლედ, უპირატესობას ნეაპოლელები დაეუფლნენ, მაგრამ გოლი არ ჩანდა. ამასთან, რომაელები მწარედ იჩხვლიტებოდნენ კონტრშეტევებზე და ანგარიშის გაორებაც არაერთხელ შეეძლოთ. მატჩის დასრულებამდე ათიოდე წუთი იყო დარჩენილი, როდესაც მაცარი სრულ ვა ბანკზე წავიდა – კიდევ ერთი შუახაზელი მოხსნა თამაშიდან და თავდამსხმელი **ემანუელე კალაიო** შეუშვა მინდორზე. შედეგად, შეხვედრის დასკვნითი ნაწილი „ნაპოლიმ" ექვსი გამოკვეთილი შემტევით ჩაატარა (!) – თავად განსაჯეთ, მოედანზე ერთად იყვნენ: **მარეკ ჰამშიკი, გორან პანდევი**, ლორენცო ინსინიე, ომარ ელ ქადური, ემანუელე კალაიო და რა თქმა უნდა, **ედინსონ კავანი**.

მოკლედ, მაცარიმ თავზე ხელი აიღო, რამაც გაუმართლა კიდეც. მატჩის 87-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ნეაპოლელებმა ფანტასტიკური, გოლი გაიტანეს და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ეს საგმირო საქმე არა ერთ-ერთმა შემტევმა იმ ექვსთაგან, არამედ მცველმა **უგო კამპანიარომ** გააკეთა. 32 წლის მცველმა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ნახტომში, უძლიერესად დაარტყა და ცხრიანში ჩაჭედა, რამაც ნეაპოლელები ლამის ჭკუიდან შეშალა. დარჩენილ წუთებში გუნდებმა თითო სახიფათო მომენტი გაცვალეს და საბოლოოდ ფრეზე გაიყარნენ, 1:1.

**ვლადიმირ პეტკოვიჩი (ლაციო):** *„მინდა კომპლიმენტები ვუძღვნა როგორც ჩემს შეგირდებს, ისე მეტოქე გუნდს, რადგან ფანტასტიკური მატჩი ვიხილეთ. მაინც მგონია, რომ გამარჯვებას ჩვენ უფრო ვიმსახურებდით, რადგან შეხვედრის დიდი ნაწილი უპირატესობით წარვმართეთ. სწორი გზით მივდივართ და მართალია, დღეს არ გაგვიმართლა, ხვალ ყველაფერი კარგად იქნება".*

**ვალტერ მაცარი (ნაპოლი):** *„ხასიათი გამოვავლინეთ და ამ ურთულეს შეხვედრაში ანგარიში გავათანაბრეთ. მართალია, „იუვენტუსმა" კიდევ უფრო გაგვისწრო, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. „ლაციოსთან" გასვლაზე გვიწევდა თამაში და ამისთვის სადღაც მზადაც ვიყავით. არ იფიქროთ, რომში ფრეზე სათამაშოთ ჩამოვედით, მაგრამ ძლიერ მეტოქეს ყოველთვის უნდა გაუწიო ანგარიში. ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ დიდი დროა, ლიდერთან ჩამორჩენა კი არც ისე დიდი".*

### ისევ ბალოტელი, ისევ პენალტი

კვირის მატჩებიდან „რომას" კიდევ ერთი მარცხი და „მილანის" წაფორხილება უნდა გამოვარჩიოთ. „ჯალოროსი" „სამპდორიას" ესტუმრა და მართალია, გაიბრძოლა, მაინც უშანსოდ წააგო. „ჯალოროსის" ახალმა მწვრთნელმა **აურელიო ანდრეაცოლიმ ზდენეკ ზემანის** ტაქტიკაზე უარი თქვა, გუნდი 3-4-1-2-ზე გადააწყო და ძირითად შემადგენლობაში დააბრუნა **დანიელე დე როსი** და **მაარტენ სტეკელენბურგი**. მოკლედ, სენიორ აურელიომ ყველაფერი იღონა, მაგრამ ვერაფერს გახდა. გოლების აღწერას აღარ მოვყვებით და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ რომაელებმა მატჩის მსვლელობისას თერთმეტმეტრიანი გააცუდეს – ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ პენალტი **პაბლო ოსვალდომ** მაშინ დაარტყა, როდესაც მოედანზე **ფრანჩესკო ტოტიც** იყო.

„მილანი" „კალიარის" ნეიტრალურ მოედანზე უნდა შეხვედროდა, მაგრამ ფედერკალჩომ ბოლო მომენტში სარდინიელთა აპელაცია დააკმაყოფილა და ლომბარდიელები კუნძულზე გაგზავნა. **მასიმილიანო ალეგრის** გუნდმა ვერაფერი ფეხბურთი აჩვენა და სახლში ქულასაც ვერ წაიღებდა, რომ არა **დავიდე ასტორის** უხეში შეცდომა - სარდინიელთა დაცვის ბურჯმა თერთმეტმეტრიანი აიკიდა, თავი გაიგდო და **მარიო ბალოტელის** ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. სუპერმარიომ უმაღლესი საფეხბურთო სასჯელი გოლად აქცია, „მილანმა" კი ქულა აიღო.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

**მომდევნო ტური**

**15 თებერვალი:** მილანი-პარმა;
**16 თებერვალი:** კიევო-პალერმო, რომა-იუვენტუსი;
**17 თებერვალი:** ტორინო-ატალანტა, კატანია-ბოლონია, პესკარა-კალიარი, ნაპოლი-სამპდორია, ჯენოა-უდინეზე, ფიორენტინა-ინტერი;
**18 თებერვალი:** სიენა-ლაციო.

**იუვენტუსი-ფიორენტინა 2:0**

**გოლები:** 1:0 ვუჩინიჩი (20), 2:0 მატრი (41).
**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – მარონე, ბარცალი, პელუზო – ლიხტშტაინერი, პირლო, ვიდალი, მარკიზიო, დე ჩელიე (60. კასერესი) – ვუჩინიჩი (61. ჯოვინკო), მატრი (76. პოგბა).
**ფიორენტინა (3-5-2):** ვივიანო – რონკალია, გონსალო, სავიჩი (46. ტომოვიჩი) – კუადრადო, პისარო, რომულო, ბორხა ვალერო, პასკუალი – იოვეტიჩი (74. ლიაიჩი), ტონი (57. ელ ჰამდაუი).
**გაფრთხილება:** პელუზო, მარკიზიო – ვივიანო, კუადრადო, პისარო.
**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 8-0; **კარში დარტყმა:** 14-9(7-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.
**მაყურებელი:** 40 000

**ლაციო-ნაპოლი 1:1**

**გოლები:** 1:0 ფლოკარი (11), 1:1 კამპანიარო (87).
**ლაციო (4-5-1):** მარკეტი – კონკო, ბიავა, დიასი, რადუ – გონსალესი (90. საა), ლედესმა, კანდრევა, ერნანესი (72. ცანა), მაური (18. ლულიჩი) - ფლოკარი.
**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, გამბერინი – მესტო (55. ელ ქადური), ინლერი, ბერამი (47. ინსინიე), ცუნიგა (80. კალაიო) – ჰამშიკი – პანდევი, კავანი.
**გაფრთხილება:** დიასი, რადუ, ლედესმა, ერნანესი, ცანა – კამპანიარო, მესტო, ინსინიე.
**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 18-10(6-7); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.
**მაყურებელი:** 40 000

**პარმა-ჯენოა 0:0**

**პარმა (3-5-3):** პავარინი – ბენალოუანე (61. კოდა), ლუკარელი, პალეტა – გობი (78. მესბა), მარიგა (5. ნინისი), ვალდესი, პაროლო, ბიაბიანი - ამაური, ბელფოდილი.
**ჯენოა (3-5-1-1):** ფრეი – გრანკვისტი, მანფრედინი, პორტანოვა – პიზანო, კუჩკა, მათუზალემი, მ. რიგონი (67. ვარგასი), ანტონელი – ბერტოლაჩი (89. ოლივერა) – ბორიელო (85. იმობილე).
**გაფრთხილება:** ბენალოუანე, ვალდესი - ანტონელი.
**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 13-24; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 12-10(4-3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.
**მაყურებელი:** 14 000

**ატალანტა-კატანია 0:0**

**ატალანტა (4-3-1-2):** კონსილი – სკალონი, სტენდარდო, კანინი, დელ გროსო – ჯორჯი, ბიონდინი (74. რადოვანოვიჩი), კარმონა (62. კაცოლა) – ბონავენტურა, ბრიენცა – დენისი (81. ლივაია).
**კატანია (4-2-3-1):** ანდუხარი – ბელუში, ალვარესი, სპოლი, კაპუანო (22. მარკეზე) - ისკო, ლოდი – ბარიენტოსი, კასტრო, გომესი (80. ბიაჯანტი) - ბერგესიო.
**გაფრთხილება:** სკალონი, დელ გროსო, ბიონდინი, ბონავენტურა – ალვარესი, კასტრო, ბერგესიო.
**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 21-14; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 7-7(1-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.
**მაყურებელი:** 20 000

**ბოლონია-სიენა 1:1**

**გოლები:** 0:1 ემეგარა (33), 1:1 კონე (41).
**ბოლონია (3-4-2-1):** კურჩი – კერუბინი, სორენსენი, ანტონსონი – მორტა (46. გაბიადინი), პერესი, ტაიდერი, მორლეო – დიამანტი (88. მოსკარდელი), კონე (81. გარიჩი) – ჯილარდინო.
**სიენა (3-4-2-1):** პეგოლო – ტეიშეირა, ტერლიცი, ფელიპე – ანჯელო (62. ბელმონტე), დელა როკა, რუბინი, ვერგასოლა – სესტუ (73. აგრა), როზინა (88. ბოგდანი) – ემეგარა.
**გაფრთხილება:** სორენსენი, გაბიადინი – დელა როკა, ემეგარა.
**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 22-13; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 13-5(3-1); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.
**მაყურებელი:** 20 000

**კალიარი-მილანი 1:1**

**გოლები:** 1:0 იბარბო (45), 1:1 ბალოტელი (82-პენ.).
**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, როსეტინი, ასტორი, მურუ (70. არიაუდო) – ეკდალი, კონტი, დესენა – რიბეირო (56. კოსუ) - იბარბო, საუ (76. პინილია).
**მილანი (4-3-3):** აბიატი – აბატე, საპატა, მექსე, დე შილიო - მუნტარი, ფლამინი, ამბროზინი (65. ბოიანი) - ელ შაარავი (61. ბოატენგი), ნიანგი (80. რობინიო), ბალოტელი.
**გაფრთხილება:** მურუ, დესენა, კონტი – მექსე, ამბროზინი, ნიანგი.
**გაძევება:** ასტორი (81. კალიარი).
**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 8-11(2-7); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.
**მაყურებელი:** 10 000

**პალერმო-პესკარა 1:1**

**გოლები:** 0:1 ბარნასონი (73), 1:1 ფაბრინი (80).
**პალერმო (3-5-2):** სორენტინო – ფონ ბერგენი, მუნიოსი, არონიკა – ნელსონი (82. ფორმიკა), ბარეტო, დონატი (77. კურტიჩი), დოსენა, რიოსი - ფაბრინი, დიბალა (57. ბოზელი).
**პესკარა (4-3-3):** პერინი – ძანონი, კოსიჩი (46. ძაური), არსე, ბოკეტი – რიცო, დაგოსტინო, ბლაზი (78. კაშონე) – კაპრარი (65. ბარნასონი), სელიკი, კარალიო.
**გაფრთხილება:** ბარეტო – ბლაზი, რიცო.
**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 14-8; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 11-9(3-4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.
**მაყურებელი:** 18 000

**სამპდორია-რომა 3:1**

**გოლები:** 1:0 ესტიგარიბია (56), 2:0 სანსონე (73), 2:1 ლამელა (75), 3:1 იკარდი (77).
**სამპდორია (3-5-1-1):** რომერო – როსინი, გასტალდელო, კოსტა - დე სილვესტრი, კრსტიჩიჩი, ობიანგი, პოლი, ესტიგარიბია (86. პოულსენი) – სორიანო (46. სანსონე) - იკარდი.
**რომა (3-4-1-2):** სტეკელენბურგი – მარკინიოსი, ბურდისო, კასტანი (76. დოდო) – ბრედლი (67. ფლორენცი), პიანიჩი, დე როსი, მარკინიო – ლამელა (87. ლოპესი) - ოსვალდო, ტოტი.
**გაფრთხილება:** გასტალდელო – ბურდისო, დე როსი.
**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 9-5; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 8-12(6-5); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.
**მაყურებელი:** 26 000

**უდინეზე-ტორინო 1:0**

**გოლი:** 1:0 პერეირა (7).
**უდინეზე (3-5-1-1):** პადელი – ბენეტია, ანჯელა, დომიცი – ბასტა, პინცი, ალანი, პერეირა, პასკუალე (76. სილვა მოისესი) – მაიკოსუელი (61. კამპოს ტორო) - დი ნატალე (84. რანიჯი).
**ტორინო (4-4-2):** ჯილე – დამბროზიო, გლიკი, როდრიგესი, მაზიელო – ბრიგი, გაცი, სანტანა, მეჯორინი (87. [illegible]) – ჩერჩი, [illegible] (76. დიოპი).
**გაფრთხილება:** დამბროზიო, როდრიგესი, სანტანა (ტორინო).
**კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 11-5(5-1); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.
**მაყურებელი:** 16 000

**ინტერი-კიევო 3:1**

**გოლები:** 1:0 კასანო (2), 1:1 ლ. რიგონი (21), 2:1 რანოკია (26), 3:1 მილიტო (50).
**ინტერი (4-3-3):** ჰანდანოვიჩი – ძანეტი, რანოკია, ჟუან ჟესუსი, ნაგატომო – კამბიასო (76. სტანკოვიჩი), კუზმანოვიჩი (84. სკელოტო), გარგანო – პალასიო, კასანო, მილიტო (65. ალვარესი).
**კიევო (4-3-1-2):** პუჯონი – აჩერბი, დაინელი, ანდრეოლი, იოკიჩი – კოფიე (64. სპუროპულოსი), ლ. რიგონი, სეიმური (70. ლუსიანო) - ჰეტემაი – თერეუ, პალოსკი (76. პელისიერი).
**გაფრთხილება:** რანოკია, სტანკოვიჩი – ლ. რიგონი.
**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 9-11; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 13-6(9-1); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.
**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 24 | 17 | 4 | 3 | 50-16 | 55 |
| 2. ნაპოლი | 24 | 15 | 5 | 4 | 46-21 | 50 |
| 3. ლაციო | 24 | 13 | 5 | 6 | 34-25 | 44 |
| 4. ინტერი | 24 | 13 | 4 | 7 | 39-29 | 43 |
| 5. მილანი | 24 | 12 | 5 | 7 | 42-30 | 41 |
| 6. ფიორენტინა | 24 | 11 | 6 | 7 | 41-29 | 39 |
| 7. უდინეზე | 24 | 9 | 9 | 6 | 35-33 | 36 |
| 8. კატანია | 24 | 10 | 6 | 8 | 31-30 | 36 |
| 9. რომა | 24 | 10 | 4 | 10 | 49-45 | 34 |
| 10. პარმა | 24 | 8 | 8 | 8 | 30-31 | 32 |
| 11. სამპდორია | 24 | 8 | 5 | 11 | 31-30 | 28 |
| 12. ტორინო | 24 | 6 | 11 | 7 | 27-27 | 28 |
| 13. კიევო | 24 | 8 | 4 | 12 | 25-39 | 28 |
| 14. ატალანტა | 24 | 8 | 5 | 11 | 21-33 | 27 |
| 15. ბოლონია | 24 | 7 | 5 | 12 | 33-34 | 26 |
| 16. კალიარი | 24 | 6 | 7 | 11 | 26-41 | 25 |
| 17. ჯენოა | 24 | 5 | 7 | 12 | 25-36 | 22 |
| 18. პესკარა | 24 | 6 | 3 | 15 | 20-49 | 21 |
| 19. სიენა | 24 | 6 | 6 | 12 | 24-34 | 18 |
| 20. პალერმო | 24 | 3 | 9 | 12 | 21-38 | 18 |

*შენიშვნა:* სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.

**ბომბარდირები:** 18 - კავანი (ნაპოლი); 15 – ელ შაარავი (მილანი); 14 - დი ნატალე (უდინეზე); 11 - ოსვალდო (რომა), ლამელა (რომა); 10 - კლოზე (ლაციო), პაცინი (მილანი), ჯილარდინო (ბოლონია); 9 - ჰამშიკი (ნაპოლი), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

**სერია B. XXV ტური**

**ჩეზენა-ტერნანა 1:0**
**გოლი:** 1:0 სუჩი (88).

**ბარი-ვარეზე 0:1**
**გოლი:** 0:1 პუჩინო (12).

**კროტონე-გროსეტო 1:0**
**გოლი:** 1:0 ერამო (32).

**იუვე სტაბია-ნოვარა 2:4**
**გოლები:** 0:1 ლეპილერი (38), 0:2 გონსალესი (50-პენ.), 1:2 კაზერტა (57), 1:3 ფილომენი (70-საკ. კარში), 1:4 სეფეროვიჩი (72), 2:4 ბრუნო (84).

**მოდენა-რეჯინა 1:1**
**გოლები:** 1:0 არდემანი (34), 1:1 ჯერარდი (90).

**პადოვა-ბრეშა 0:0**

**პრო ვერჩელი-სასუოლო 1:3**
**გოლები:** 1:0 კრისტიანო (1), 1:1 ტერანოვა (12-პენ.), 1:2 ტროიანელო (44), 1:3 ბერარდი (90).

**სპეცია-ასკოლი 4:3**
**გოლები:** 0:1 ძაძა (14), 0:2 ფეშეზინი (34), 0:3 ფოსარი (48), 1:3 ანტენუჩი (55), 2:3 სანსოვინი (76), 3:3 სანსოვინი (83), 4:3 სანსოვინი (90).

**ვერონა-ვიჩენცა 0:1**
**გოლი:** 0:1 სემიოლი (75).

**ლანჩანო-ჩიტადელა 3:2**
**გოლები:** 1:0 ვასტოლა (7), 1:1 მინესო (8), 2:1 ვოლპე (14), 3:1 პიკოლო (38), 3:2 ალმიჩი (51-საკ. კარში).

**ემპოლი-ლივორნო დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 25 | 17 | 4 | 4 | 51-19 | 55 |
| 2. ლივორნო | 24 | 15 | 6 | 3 | 47-29 | 51 |
| 3. ვერონა | 25 | 13 | 8 | 4 | 37-20 | 47 |
| 4. ვარეზე | 25 | 12 | 7 | 6 | 34-27 | 42 |
| 5. პადოვა | 25 | 8 | 11 | 6 | 29-28 | 35 |
| 6. იუვე სტაბია | 25 | 9 | 7 | 9 | 38-37 | 34 |
| 7. ემპოლი | 24 | 9 | 8 | 7 | 39-38 | 34 |
| 8. ბრეშა | 25 | 7 | 13 | 5 | 33-26 | 34 |
| 9 მოდენა | 25 | 9 | 8 | 8 | 32-29 | 33 |
| 10. ასკოლი | 25 | 9 | 6 | 10 | 34-35 | 32 |
| 11. სპეცია | 25 | 8 | 8 | 9 | 34-35 | 32 |
| 12. ჩიტადელა | 25 | 8 | 7 | 10 | 31-37 | 31 |
| 13. ჩეზენა | 25 | 7 | 9 | 9 | 28-41 | 30 |
| 14. ტერნანა | 25 | 7 | 8 | 10 | 25-28 | 29 |
| 15. ლანჩანო | 25 | 6 | 11 | 8 | 25-34 | 29 |
| 16. კროტონე | 25 | 8 | 7 | 10 | 25-33 | 29 |
| 17. ნოვარა | 25 | 9 | 5 | 11 | 34-29 | 28 |
| 18. რეჯინა | 25 | 6 | 10 | 9 | 22-29 | 26 |
| 19. ბარი | 25 | 8 | 8 | 9 | 32-29 | 25 |
| 20. ვიჩენცა | 25 | 4 | 10 | 11 | 28-37 | 22 |
| 21. პრო ვერჩელი | 25 | 4 | 4 | 17 | 20-45 | 16 |
| 22. გროსეტო | 25 | 4 | 9 | 12 | 26-39 | 15 |

*შენიშვნა* : ბარი – 7 ქულა, გროსეტო – 6, ნოვარა – 4, რეჯინა – 2, მოდენა – 2, კროტონე —2, ემპოლი – 1, ასკოლი – 1, ვარეზე – 1 ქულა.

**ბომბარდირები:** 17 — სანსოვინი (სპეცია); 15 — კაჩა (ვერონა); 14 - სილიგარდი (ლივორნო), არდემანი (მოდენა), ძაძა (ასკოლი);

**სერია C1/A**

კარპი-სუდტიროლი 0:2, კომო-რეჯანა 2:0, კუნეო-ტრაპანი 0:1, ენტელა-პავია 2:1, ლუმეცანე-კრემონეზე 2:1, სან მარინო-პორტოგრუარო 2:0, ტრევიზო-ალბინოლეფე 2:1, ტრიტიუმი-ლეჩე 0:3.

**სერია C1/B**

ბარლეტა-აველინო 2:3, ანდრია-კატანძარო 0:0, ბენევენტო-კარარეზე 1:0, გუბიო-პაგანეზე 1:0, ლატინა-ვიარეჯო 1:0, ნოჩერინა-ფროზინონე 1:0, პრატო-სორენტო 1:2, პიზა-პერუჯა დღეს.

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### კონფერენცი

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| რექსჰემი-სტოკპორტი | 3:1 |
| ალფრეტონი-უოკინგი | 0:3 |
| ბრეინტრი-ჰერეფორდი | 0:2 |
| ებსფლიტი-გეიტსჰედი | 3:1 |
| გრიმსბი-ტელფორდი | 1:0 |
| ჰაიდი-მაკლსფილდი | 1:1 |
| კიდერმინსტერი-კემბრიჯი | 3:2 |
| ლინკოლნი-დარტფორდი | 2:1 |
| ლუტონი-ფორესტ გრინი | 1:1 |
| მენსფილდი-ბაროუ | 8:1 |
| ნიუპორტი-ტამუორტი | 2:2 |
| ნანიტონი-საუთპორტი | 0:1 |

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXI ტური

| | |
|---|---|
| ვერდერი II-ვიქტორია | 5:0 |

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)

XVI ტური

| | |
|---|---|
| რაზენოვი-პლაუენი | 2:1 |
| აუერბახი-მაგდებურგი | 0:2 |

### რეგიონალლიგა (დას)

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი II-გლადბახი II | 0:1 |
| ჰულსი-ბოხუმი II | 2:1 |

### რეგიონალლიგა (ს-დ)

XXI ტური

| | |
|---|---|
| კაიზერი II-ფრანკფურტი II | 0:0 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ოსერი-ტური | 3:2 |
| შატორუ-გინგამი | 3:1 |
| გფკო აიაჩო-დიჟონი | 0:2 |
| მონაკო-ჰავრი | 2:1 |
| ნიორი-ისტრი | 0:0 |
| კაენი-სედანი | 2:0 |
| კლერმონი-ლე მანი | 1:1 |
| ნიმი-ლავალი | 3:0 |
| ნანტი-არლი | 1:1 |
| ანჟერსი-ლანსი | დღეს |

### ნასიონალი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ორლეანი-ფრეჟუსი | 4:1 |
| პარიზი-კარკეფუ | 0:0 |
| ვანი-კრეტეი | 2:2 |
| მეცი-კევილი | 2:0 |
| კა ბასტია-ამიენი | 1:0 |
| ლე პუარი-ლუზენაკი | 1:1 |
| ბულონი-პონ დუ გარი | 2:2 |
| შერბური-ეპინალი | 2:2 |
| რედ სტარი-კოლმარი | 3:0 |
| რუანი-ბურჟი | 1:0 |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ალმერე-სპარტა | 0:3 |
| დორდრეხტი-ჰელმონდი | 2:4 |
| გრააფსხაპი-ეინდჰოვენი | 2:2 |
| ექსელსიორი-მაასტრიხტი | 1:2 |
| იგლზი-ფორტუნა | 4:1 |
| ემენი-დენ ბოში | 1:2 |
| ვოლენდამი-ტელსტარი | 6:2 |

## ბელგია

XXV ტური

| | |
|---|---|
| ბეერსხოტი-გენკი | 0:2 |
| შარლერუა-ლიერსი | 1:0 |
| ბრიუგე-ჰევერლე | 3:1 |
| კორტრიიკი-გენტი | 1:0 |
| მეხელენი-სერკლი | 2:0 |
| ლოკერენი-ვარეგემი | 1:1 |
| სტანდარდი-მონსი | 0:1 |
| ვაასლანდი-ანდერლეხტი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 25 | 18 | 5 | 2 | 63-23 | 59 |
| 2. ვარეგემი | 25 | 15 | 6 | 4 | 41-25 | 51 |
| 3. ლოკერენი | 26 | 13 | 6 | 7 | 49-36 | 45 |
| 4. გენკი | 26 | 12 | 9 | 5 | 53-37 | 45 |
| 5. სტანდარდი | 26 | 13 | 4 | 9 | 49-31 | 43 |
| 6. ბრიუგე | 25 | 12 | 7 | 6 | 55-39 | 43 |
| 7. კორტრიიკი | 26 | 11 | 5 | 10 | 31-26 | 38 |
| 8. მეხელენი | 26 | 11 | 5 | 10 | 39-36 | 38 |
| 9. მონსი | 26 | 11 | 5 | 10 | 43-45 | 38 |
| 10. ჰევერლე | 26 | 7 | 10 | 9 | 43-45 | 31 |
| 11. შარლერუა | 25 | 8 | 3 | 14 | 24-44 | 27 |
| 12. გენტი | 26 | 6 | 9 | 11 | 26-36 | 27 |
| 13. ვაასლანდი | 26 | 6 | 8 | 12 | 25-42 | 26 |
| 14. ლიერსი | 26 | 3 | 11 | 12 | 24-47 | 20 |
| 15. ბეერსხოტი | 26 | 5 | 4 | 17 | 24-53 | 19 |
| 16. სერკლი | 24 | 3 | 5 | 16 | 27-51 | 14 |

### II დივიზიონი

XXIV ტური

აალსტი-ვოლუვე 0:0; დესელი-უდენაარდე 3:0; ბრიუსელი-ანტვერპენი 0:0; ჰაისტი-სტ. ტრუიდენი 3:3; ლომელი-ოსტენდე 1:4; ტუბეკე-სტ. ნიკლაასი გადაიდო; ვიზე-რუზელარე 1:1; მუსკრონი-ვესტერლო 1:0; ბორინაჟი-ეუპენი 0:0.

## აფრიკის თასი

მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| მალი-განა | 3:1 |

ფინალი

| | |
|---|---|
| ნიგერია-ბურკინა ფასო | 1:0 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ბელენენსეში-პორტუ B | 2:1 |
| ტონდელა-ბენფიკა B | 1:0 |
| ავეში-ფეირენსე | 3:3 |
| ლეიქსოეში-სტ. კლარა | 1:0 |
| ოლივეირენსე-ატლეტიკო | 4:2 |
| კოვილია-მარიტიმუ B | 0:1 |
| სპორტინგი B-აროუკა | 1:1 |
| გიმარაეში B-ტროფენსე | 0:0 |
| პენაფიელი-ფრეამუნდე | 1:0 |
| პორტიმონენსე-ბრაგა B | 1:0 |
| უნიაო-ნავალი | 2:2 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ეირდრი-მორტონი | 0:4 |
| კოუდენბითი-ფალკირკი | 4:1 |
| ჰემილტონი-დანფერმლაინი | 1:2 |
| ლივინგსტონი-დამბარტონი | 2:3 |

### II დივიზიონი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ალბიონი-არბროა | 0:1 |
| ალოა-ეირი | 2:2 |
| ისტ ფაიფი-ფორფარი | 1:2 |
| ქუინი-სტენჰაუსმუირი | 2:1 |

### III დივიზიონი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ბერუიკი-კლაიდი | 3:3 |
| ისტ სტირლინგი-პიტერჰედი | 2:4 |
| ელჯინი-ანანი | 3:1 |
| რეინჯერსი-ქუინზ პარკი | 4:0 |
| სტირლინგი-მონროუზი | 3:1 |

## კვიპროსი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-ენოსისი | 2:3 |
| აპოლონი-ალკი | 2:1 |
| ეთნიკოსი-აელ | 1:3 |
| ნეა სალამისი-ანორთოსისი | 2:1 |
| ომონია-დოქსა | 3:0 |

## საბერძნეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-ვერია | 0:0 |
| პაოკ-ოფი | 3:1 |
| ასტერასი-ოლიმპიაკოსი | 0:1 |
| პანიონიოსი-იანინა | 0:1 |
| კერკირა-აეკ | 0:1 |
| პანთრაკიკოსი-ლევადია | 3:0 |
| პანათინაიკოსი-ქსანთი | 0:1 |
| პლატანიასი-არისი | დღეს |

### II დივიზიონი

XXI ტური

ანაგენისი (ე)-ვიცასი 0:0; ანაგენისი (ი)-კავალა 0:2; აპოლონი-პანახაიკი 2:1; ერგოტელისი-ნიკი ვოლუ 0:0; ირაკლისი (ფ)-ტრასივულოსი 2:0; კალითეა-ლარისა 0:1; ოლიმპიაკოსი (ვ)-კალონი 1:1; პანსერაიკოსი-ფოკიკოსი 2:1; პიერიკოსი-ეთნიკოსი 1:0; პანაიტოლიკოსი-ირაკლისი (ს) დღეს.

## ჩრ. ირლანდია

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| დუნგანონი-ლინფილდი | 1:4 |

## შვეიცარია

XIX ტური

| | |
|---|---|
| სერვეტი-გრასჰოპერსი | 0:1 |
| იანგ ბოიზი-ლუცერნი | 3:2 |
| ციურიხი-ლოზანა | 2:0 |
| ბაზელი-სიონი | 3:0 |
| სტ. გალენი-თუნი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გრასჰოპერსი | 19 | 12 | 4 | 3 | 24-17 | 40 |
| 2. ბაზელი | 19 | 10 | 6 | 3 | 35-18 | 36 |
| 3. სტ. გალენი | 18 | 9 | 6 | 3 | 22-13 | 33 |
| 4. სიონი | 19 | 9 | 5 | 5 | 27-23 | 32 |
| 5. იანგ ბოიზი | 19 | 7 | 6 | 6 | 31-23 | 27 |
| 6. ლოზანა | 19 | 5 | 6 | 8 | 16-22 | 21 |
| 7. ციურიხი | 19 | 5 | 5 | 9 | 21-25 | 20 |
| 8. ლუცერნი | 19 | 4 | 6 | 9 | 20-27 | 18 |
| 9. თუნი | 18 | 5 | 3 | 10 | 19-28 | 18 |
| 10. სერვეტი | 19 | 2 | 5 | 12 | 13-32 | 11 |

### ჩელენჯლიგა

XIX ტური

ბილი-ვილი 1:2; არაუ-ვადუცი 1:0; ვინტერტური-ვოლენი გადაიდო; კიასო-ბელინცონა დღეს.

## თურქეთი

### II დივიზიონი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ეირჩიესი-ბბ გაზიანთეფი | 1:1 |
| ქარსიაქა-ბუკა | 1:0 |
| ბოლუ-სამსუნი | 2:1 |
| ქართალი-შანლიურფა | 1:1 |
| ქონია-ადანა დემირი | 3:3 |
| რიზე-გიოზთეფე | 5:1 |
| ადანა-1461 ტრაბზონი | 3:2 |
| დენიზლი-თავშანლი | 0:1 |
| მანისა-ანკარაგიუჯუ | დღეს |

## უელსი

I ტური

| | |
|---|---|
| ბალა-ნიუთაუნი | 3:1 |
| ბანგორი-პრესტატინი | 3:3 |
| ლანელი-აფან ლიდო | 0:2 |
| ტნს-პორტ ტელბოტი | 5:0 |

## ხორვატია

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ოსიეკი-დინამო | 2:1 |

## უნგრეთის თასი

### 1/8 ფინალი. II მატჩი

| | |
|---|---|
| ზალაეგერსეგი-ვიდეოტონი | 3:6 (0:4) |

## ისრაელი

XXII ტური

| | |
|---|---|
| მაკაბი (ნ)-ბნეი იეჰუდა | 3:5 |
| აშდოდი-ჰაპოელი (ა) | 1:1 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ჰაპოელი (ა) | 0:0 |
| ირონი (ქ-შ)-ჰაპოელი (რ-გ) | 3:1 |
| მაკაბი (ჰ)-ირონი (რ-ჰ) | 4:0 |
| ბეითარი-ბნეი სახნინი | 2:2 |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (თ-ა) | დღეს |

## არგენტინა

I ტური

| | |
|---|---|
| სანტა ფე-არსენალი | 1:1 |
| არგ. ხუნიორსი-ველესი | 0:1 |
| ოლ ბოისი-გოდოი | 1:1 |
| ესტუდიანტესი-ტიგრე | 1:3 |
| ბოკა ხუნიორსი-კილმესი | 3:2 |
| სან მარტინი-სან ლორენსო | 0:0 |

## ბრაზილია

### პაულისტა

VII ტური

| | |
|---|---|
| კორინთიანსი-სან კაეტანო | 2:2 |
| გუარანი-სან პაულუ | 1:2 |
| ბრაგანტინო-სან ბერნარდო | 3:2 |
| იტუანო-პონტე პრეტა | 3:3 |
| ოესტე-მირასოლი | 2:1 |
| ბარბარენსე-ბოტაფოგო | 1:1 |
| პენაპოლენსე-ატ. სოროკაბა | 1:1 |
| სანტოსი-პაულისტა | 1:3 |

## ჩილე

III ტური

| | |
|---|---|
| აუდაქსი-სან მარკოსი | 1:1 |
| უაჩიპატო-ო'ჰიგინსი | 0:2 |
| დეპ. იკიკე-კოლო კოლო | 2:1 |
| უნ. ჩილე-უნ. ესპანიოლა | 0:3 |
| ს. უონდერერსი-ლა კალერა | 3:4 |
| კობრესალი-ევერტონი | 0:1 |
| ანტოფაგასტა-კობრელოა | 0:0 |
| პალესტინო-ნუბლენსე | 0:1 |

## კოლუმბია

II ტური

| | |
|---|---|
| ლა ეკვიდადი-ა. პეტროლერა | 0:1 |
| დეპ. პასტო-პატრიოტასი | 3:2 |
| ატ. უილა-იტაგუი | 1:1 |
| ჩიკო-დეპ. კალი | 1:2 |
| სანტა ფე-ატ. ნასიონალი | 2:2 |
| ონსე კალდასი-ხუნიორი | 2:1 |
| ენვიგადო-დეპ. ტოლიმა | 2:2 |

## ეკვადორი

III ტური

| | |
|---|---|
| ლდუ ლოხა-ბარსელონა | 2:1 |
| ემელეკი-დეპ. კუენკა | 3:1 |
| ინდეპენდიენტე-დეპ. კიტო | 0:0 |
| ელ ნასიონალი-ლდუ კიტო | 0:1 |
| მანტა-დეპ. მაკარა | 1:1 |
| დეპ. კევედო-უნ. კატოლიკა | 1:3 |

## პარაგვაი

I ტური

| | |
|---|---|
| სოლ დე ამერიკა-სერო პორტენიო | 4:1 |
| ნასიონალი-დეპ. კარაპეგუა | 4:3 |
| გუარანი-ლიბერტადი | 1:1 |
| რუბიო ნუ-პრეზიდენტე | 1:0 |

## პერუ

I ტური

| | |
|---|---|
| რეალი-სპორტი | 4:0 |
| ინტი გასი-ლეონი | 2:0 |
| ს. კრისტალი-სან მარტინი | 1:0 |
| უნივერსიტარიო-სესარ ვალიეხო | 1:0 |
| პასიფიკო-ხუან აურიჩი | 1:0 |
| კომერსიო-ხოსე გალვესი | 2:2 |
| კახამარკა-ალიანსა ლიმა | 1:2 |

## მექსიკა

VI ტური

| | |
|---|---|
| მორელია-ლეონი | 1:0 |
| კრუს ასული-პუმასი | 1:1 |
| კერეტარო-ხაგუარესი | 1:1 |
| მონტერეი-გვადალახარა | 0:1 |
| ტიხუანა-ამერიკა | 1:2 |
| სან ლუისი-პუებლა | 1:3 |
| ატლასი-ატლანტე | 2:1 |
| ტოლუკა-ტიგრესი | 1:4 |

## ავსტრალია

XX ტური

| | |
|---|---|
| მელბურნ ჰ-პერტი | 2:0 |
| ვესტერნ სიდნეი-ნიუკასლი | 2:1 |
| სიდნეი-ბრისბენი | 2:1 |

## აზერბაიჯანი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ქიაფაზი-ნეფთჩი | 0:3 |
| რავანი-თურანი | 2:0 |
| აზალ-სიმურქი | 1:1 |
| ბაქუ-სუმგაიტი | 1:1 |
| ქაბალა-ყარაბაღი | 1:1 |
| ხაზარი-ინტერი | დღეს |

# ქართული სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭადრაკი



ნანი უნაფქოშვილი



ნიკოლოზ ქუმსიაშვილი

## საგზურები განაწილდა

**ნანი უნაფქოშვილი** და **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** 18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე გაემგზავრებიან, ხოლო **ანა კუჭავა** და **ალექსანდრე ებრალიძე** ევროპელ თანატოლებს გაეჯიბრებიან. ეს ცნობილი გახდა გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში 18 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობის დამთავრების შემდეგ. უნაფქოშვილმა ბოლო ტურში შავი ფიგურებით **ლიკა კობეშავიძეს** სძლია და 7,5 ქულით ჩემპიონობა შეინარჩუნა. **ნატო იმნაძე,** რომელიც 6,5 ქულით მე-9 ტურის წინ პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებდა, თეთრი ფიგურებით **ადა ქაჭუთიას** დანებდა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. მეორე ადგილი **დეა გოგიშვილის** მძლეველმა ანა კუჭავამ მოიპოვა.

ვაჟებში 6,5 ქულით **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** ლიდერობდა. გუშინ მან **ირაკლი კელეპტრიშვილი** დაამარცხა და 7,5 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. **ალექსანდრე ებრალიძემ, ირაკლი ბერაძემ და შალვა ნადირაშვილმა გაბრიელ ბეჟვაია, გიორგი სიბაშვილი** და **გიგლა ბენიძე** დაჯაბნეს, მოაგროვეს 7-7 ქულა და უკეთესი კოეფიციენტით, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები გაიყვეს.

**ვაჟა დანელია**

## შორს ძლიერებისგან

**პლოვდივში დამთავრდა მოჭადრაკეთა ბულგარეთის 35-ე ღია ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს სამი წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

დიდოსტატი **ლუკა პაიჭაძე** ბოლო ტურში მაკედონიელ ტრაიკო ნედევს დაუზავდა და 9 შესაძლებლიდან 7 ქულით III-XIII ადგილები გაიყო. უარესი კოეფიციენტით მას XIII ადგილი ხვდა. ასპარეზობის ბოლო დღეს წარმატებით ითამაშა საერთაშორისო ოსტატმა **შოთა აზალაძემაც,** რომელმაც შავი ფიგურებით ბულგარელ მლადენ გოჩევს სძლია და 6,5 ქულით 23-ე იყო. მე-9 ტურში დამარცხდა **სალომე ხაყომია,** რომელიც საბოლოოდ 4,5 ქულასა და 136-ე ადგილს დასჯერდა (სულ ტურნირში 275 მოჭადრაკე მონაწილეობდა). 8,5 ქულით მთავარი პრიზი ალექსანდრ ფიერმა (ბრაზილია) მოიპოვა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ბართლომეი ჰებერლია (პოლონეთი), რომელსაც მე-2 ადგილი ერგო. 7 ქულით, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტით მესამე ადგილზე ნიკოლა ჯუკიჩი (ჩერნოგორია) გავიდა.

**ვაჟა დანელია**

## კარი გაიჯახუნეს

**დიდოსტატი ნინო ბაციაშვილი და საერთაშორისო ოსტატი ანა გავაშელი მოსკოვის ღია საერთაშორისო ტურნირში 6-6 ქულით, შესაბამისად, 22-ე და 31-ე ადგილებზე გავიდნენ.**

მართალია, ბოლო ტურში ბაციაშვილმა სვეტლანა ვიფლემსკაია (რუსეთი) დაამარცხა და გავაშელმა ანასტასია ბიკოვას (რუსეთი) სძლია, მაგრამ ჩვენებურთა ორივე მოგება უფრო კარის გაჯახუნებას ჰგავდა, რადგან ბოლო ტურში ალებული თითო ქულით ისინი მეწინავეებს ვერც მიუახლოვდებოდნენ.

ცხრა შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი მასპინძელმა მარია რომანკომ დაიკავა. ამდენივე ქულას მოუყარა თავი მისმა თანამემამულე ტატიანა ხლიჩკოვამ, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილზე გავიდა. ექვსმა მოჭადრაკემ 7-7 ქულა მოაგროვა. დამატებითი უკეთესი მაჩვენებლებით მესამე ადგილი ლიდია ტომნიკოვას (რუსეთი) ხვდა. ტურნირის რეიტინგფავორიტი ანასტასია ბოდნარუკი მე-4 ადგილით დაკმაყოფილდა.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

## ქალები – მეორე ზონაში



სოფიო შაფათავა

საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრებმა შარშან ფედერაციის თასზე პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა, მაგრამ წლეულს იქ პოზიციების შენარჩუნება ვერ შეძლო. ეილათში (ისრაელი) 16-მა გუნდმა მოიყარა თავი. ჩვენებურები (**სოფიო შაფათავა, სოფიო ქვაცაბაია, ეკა გორგოძე, მაკა ჩახნაშვილი** - მოთამაშე კაპიტანი) A ჯგუფში ბელარუსებთან, ავსტრიელებთან და ხორვატებთან ერთად მოხვდნენ. წრიულ ტურნირში, სამწუხაროდ, სამივე შეხვედრა მშრალი ანგარიშით წააგეს. პირველ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბოლო იმედი რჩებოდა - თურქული ბარიერი უნდა გადაელახათ. ჩვენმა სამხრეთელმა მეზობლებმა C ჯგუფში ერთი შეხვედრა კი მოიგეს (რუმინეთთან), მაგრამ ბოლო ადგილს მაინც ვერ ასცდნენ. ჩვენებთან დაპირისპირებისას ბასაკ ერეიდინმა (რეიტინგით 309-ე) სოფიო ქვაცაბაიას (459) აჯობა - 6:0, 6:3, სოფიო შაფათავამ (300) კაგლა ბაიაკჩაისთან (163) პაექრობისას წონასწორობა აღადგინა - 7:5, 6:3, მაგრამ შაფათავა-ჩახნაშვილის დუეტი - ბაიაკჩაი-პემრა ოზგენის ტანდემს დანებდა - 5:7, 2:6. ამ წაგებით საქართველოს ქალთა ნაკრები ლუქსემბურგის გუნდთან დამარცხებულ (0:2) ბოსნიელებთან ერთად ევროაფრიკულ მეორე ზონას დაუბრუნდა. მსოფლიოს მე-2 ჯგუფში ასაზევებლად ნახევარფინალში პოლონელებმა ხორვატები დაამარცხეს 2:1 (პოლონელებს წარმატება დებმა - აგნეშკა და ურსულა რადვანსკებმა მოუტანეს), ხოლო ბრიტანელებმა ბულგარელებს 2:0 აჯობეს.

ხორვატიამ, ბულგარეთმა, ბელარუსმა, ისრაელმა, უნგრეთმა, ჰოლანდიამ, ავსტრიამ, პორტუგალიამ, რუმინეთმა, სლოვენიამ, თურქეთმა და ლუქსემბურგმა პირველ ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს.

**ვაჟა დანელია**

## ოქსანამ დაასრულა, ანა იწყებს

კოლუმბია ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირს (Copa Bionaire) მასპინძლობს, რომლის საპრიზო ფონდია 125.000 დოლარი. თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა** შეჯიბრებაში საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაება. სტარტზე მე-2 ნომრად განთესილ ამერიკელ **ელისონ რისკესთან** ორ სეტში დამარცხდა - 2:6, 3:6.

დღეს დოჰაში დაიწყება დიდი საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 2.369.000 დოლარი), რომელშიც მთავარი პრიზისთვის იბრძოლებენ საუკეთესო ჩოგბურთელები - ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი), სერენა უილიამსი (აშშ), მარია შარაპოვა (რუსეთი), აგნეშკა რადვანსკა (ეილათში ფედერაციის თასზე დასთან ერთად პოლონეთის ნაკრების ღირსება დაიცვა), სამანტა სტოსური (ავსტრალია), ანგელიკ კერბერი (გერმანია), მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი), პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი), სარა ერანი (იტალია) და სხვები. ძირითად ბადეშია თბილისელი **ანა ტატიშვილი** (მსოფლიო რეიტინგით 59-ე). იგი მე-16 ნომრად განთესილ 19 წლის სლოან სტეფენსს (აშშ, მე-17) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

## ქართული სპორტი

ძიუდო. პარიზის ტურნირი

# ნაკრების პროგრესი
# მთავარია, ასე გაგრძელდეს!


ვალერი ლიპარტელიანის ფინალური ორთაბრძოლა

ნავსი გატყდა და **ვალერი ლიპარტელიანი** (90) საქვეყნოდ ცნობილი პარიზული ტურნირის ჩემპიონია! ნავსი გატყდა პირადად ფალავანისთვისაც და საქართველოსთვისაც - რაღაც დაუწერელი კანონით, ჩვენებურებს ხომ ყოველთვის უჭირდათ პარიზში მოგება, ლიპარტელიანმა კი ამ წარმატებით დაამტკიცა, რომ კრიზისი დაძლია და მეტოქეთათვის ძველებურად შეუჩერებელი გახდება. **შენგელი ფიცხელაურის, ამირან ტოტიკაშვილის, გიორგი რევაზიშვილის, გიორგი გუგავასა** და **დავით ასუმბანის** შემდეგ ის მეექვსე ქართველია, ვინც ეს პრესტიჟული შეჯიბრება მოიგო.

სამივე სინჯის თითო მედალი ანუ ჯამში სამი ჯილდო - ასეთი შედეგით დაასრულა ჩვენმა ნაკრებმა პარიზის „დიდ მუზარადზე" გამოსვლა. ვერცხლის მედალი **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81) მოიპოვა, ბრინჯაო - **ამირან პაპინაშვილმა** (60). თამამად შეიძლება ითქვას, რომ გამოცდა ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემაც** წარმატებით ჩააბარა, რომელმაც პირველად გაიყვანა გუნდი უცხოეთში. ცხადია, ერთი ტურნირი ბევრს არ ნიშნავს, მაგრამ პარიზში ნაკრების მრავალმხრივი პროგრესი დავინახეთ. განსაკუთრებით ასე ყბადაღებული ფიზიკური მომზადების, გამძლეობა-სუნთქვის მხრივ. ბიჭებიც ბევრად უფრო გახსნილად, თავისუფლად და თამამად ჭიდაობდნენ. ცხადია, ყველა ერთ დონეზე არაა, მაგრამ წინსვლა თითქმის ყველას ეტყობოდა. მართალია, გუნდის ნაწილმა ფიზმომზადების შეკრება საკუთარი ხარჯით გაიარა ბაკურიანში, მაგრამ უზნაძის გაზრდილი დატვირთვები და გონივრულად გადანაწილებული ძალებიც, რაც სპორტსმენებს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა, დიდ როლს ითამაშებდა. ამასთან, უზნაძე უშუალოდ ჭიდაობის დროსაც, მწვრთნელის სკამიდანაც უნარიანად დირიჟორობდა შეგირდებს და გონივრული რჩევებით ამარაგებდა. იქნებ „წიწილების დათვლა" ჯერ ადრეა - ამის დრო ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე დადგება, მაგრამ ოლიმპიადიდან სულ რაღაც 6 თვეში იმ დემორალიზებული გუნდიდან ასეთი ბრძოლისუნარიანი კოლექტივის შეკრებას ბევრი ვერ იფიქრებდა, ახლა კი მომავალს იმედიანად შევყურებთ. აქვე გეტყვით, რომ იმ სამი მედლის გარდა ჩვენი რამდენიმე ძიუდოისტი მეშვიდე ადგილზე გავიდა ანუ მედალს ისინიც მიუახლოვდნენ, ეს კი გუნდის სტაბილურობის მაჩვენებელია.

### ფინალისტები

ფინალში წაგების მიუხედავად, გავბედავთ და ვიტყვით, რომ პარიზში ყველაზე მეტად ჭრიკიშვილის პროგრესი დავინახეთ. მართალია, ამჯერად არ გვინახავს ის ჭრიკიშვილი, როგორიც 2010 წელს მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე ვიხილეთ, მაგრამ უფროსებში გადმოსვლის შემდეგ ჯერ არც ასეთი ტურნირი ჩაუტარებია. ის არც ილლებოდა, თავის ტექნიკურ არსენალსაც კარგად იყენებდა და ბევრად უფრო გახსნილად, თამამად ჭიდაობდა. ლიპარტელიანმაც ბევრად უკეთ იასპარეზა, მაგრამ ჭრიკიშვილთან შედარებით ის თითქოს ცოტა უფრო მძიმედ მოძრაობდა, ვერ იყო იმდენად გახსნილი. სამაგიეროდ, ძალზე დამაჯერებლად და მშვიდად იდგა ტატამზე. არც ზედმეტ მოძრაობას აკეთებდა და ადრინდელი ბევრი ტურნირივით უმწეო კი არ ჩანდა, იგრძნობოდა, რომ დაკვირვებით, აზრიანად, აკადემიურად ირჯებოდა, არ რისკავდა. ეტყობოდა, რომ მყარად იდგა, მოგება შეეძლო და შენც მშვიდად იყავი, რისი საშუალებაც ადრე ხშირად არ გვქონდა. მან იპონებით დაამარცხა ჩვენი ტურნირის წლევანდელი აზერბაიჯანელი ფინალისტი **შაჰინ გაჰრამანოვი** და ფრანგი **ლუდოვიკ გობერტი**, გაფრთხილებებით - რუსი **ვიქტორ სემენოვი** და უზბეკი **დილშოდ ჩორიევი**, ფინალში კი იუკოთი სძლია მისთვის ბოლო წლებში უხერხულად ქცეულ მეტოქეს, კუბელ მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **ეშლი გონსალესს**. აქ კარგად გამოჩნდა მისი ტაქტიკური მომზადება - დასაწყისში იუკო აართვა, მერე კი ჭკვიანურად შეინარჩუნა ანგარიში. მართალია, სამი გაფრთხილება მიიღო, მაგრამ მის სტილს პასიურსაც ვერ დავარქმევთ. ეს უფრო გაფრთხილებების გონივრულ გადანაწილებას ჰგავდა, თორემ ინიციატივა რომ არ დაუთმია, ამას კუბელის უმწეობაც მოწმობს - პრაქტიკულად, შანსი არ მისცა მას. ჩავლებებით, ხელის „გათიშვით" თუ დაკვირვებული მოძრაობებით გონსალესი ბოლომდე გაანეიტრალა. აქ აღსანიშნავია უზნაძის ჭკვიანური დარიგებებიც, თუმცა მისი ღვაწლი განსაკუთრებით სემენოვთან გამოჩნდა შეხვედრის ბოლოს - ჭიდაობა ჩოქბჯენში გადავიდა და ლიპარტელიანი წამოდგომას აპირებდა, როცა მწვრთნელმა შებოჭვისკენ მოუწოდა. საბოლოოდ ვერ შებოჭა და კაცმა რომ თქვას, საამისოდ დიდად ნოყიერი საფუძველი არც თავიდან ჩანდა, მაგრამ დროის გასაყვანად მშვენიერი შანსი იყო. მართლაც, იმ კოტრიალსა და უშედეგო მცდელობაში 30-ოდე წამი მაინც გავიდა, შეხვედრის დასასრულს კი ამხელა დროის მოგება, როცა ანგარიშია შესანარჩუნებელი, გამარჯვებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია. საბედნიეროდ, უზნაძე შეგირდებს ჩოქბჯენში ჭიდაობისკენ ხშირად მოუწოდებდა და გაგვიჩნდა იმედი, რომ ეს მორიგი „აქილევსის ქუსლიც" დაიძლევა.

უზნაძე ჭრიკიშვილსაც ისეთ დროულ მითითებებს აძლევდა, რაც მის ჭიდაობას ეფექტურობას და აქტიურ სტილს სძენდა. სამწუხაროდ, ფინალში ჩვენებურს „გახსნა" გაუჭირდა და ვერც მწვრთნელს აჰყვა დარიგებებში. თუმცა აქამდე არაფრით გამორჩეულ 28 წლის უზბეკ **იაკიო იმამოვთან** იყო საკამათო მომენტი - იპონისას მეტოქემ გდება თითქოს გარედან დაიწყო. ბოლოს ჭრიკიშვილი ამაზე მსაჯსაც მიანიშნებდა და მწვრთნელსაც, მაგრამ ფინალში მისი გამოსვლა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ადრინდელებისგან, მან ვერ იპოვა თავისი ჭიდაობა - ვერც ჩავლებას ულებდა მყარად, ვერც ხელს უთიშავდა, ვერც ინიციატივას დაეუფლა. არადა, ამ ყველაფრისკენ მოუწოდებდა უზნაძე. შენი ჭიდაობა იჭიდავეო, კი ეძახდა მწვრთნელი, მაგრამ ჭრიკიშვილი ვერ „აფეთქდა". სამწუხაროა, რადგან წინა შეხვედრები ის შეუჩერებელი იყო - სერბ **ალექსეი ნეფედოვს** ვაზარ-იპონით აჯობა და შეხვედრის მიმდინარეობას ანგარიშიც ასახავს, ბელგიელ **იოახიმ ბოტიესა** და ბრაზილიელ **ვიქტორ პენალბერს** ვაზარებით აჯობა, ნახევარფინალში კი ბრწყინვალედ დააიპონა იაპონელი **კეიტა ნაგაშიმა**. საინტერესოა, რომ ბრინჯაოს მედლები პენალბერმა და ნაგაშიმამ მოიპოვეს, რაც იმაზე მიუთითებს, რამდენად ძნელი გზა გაიარა ჩვენებურმა ფინალამდე.

### უმედლო წინსვლა

ამ ორი ფალავანის გარდა, გარკვეული წინსვლა უმედლოდ დარჩენილთა გამოსვლაშიც იგრძნობოდა. მაგალითად - **ზებედა რეხვიაშვილის** (73) და **დავით ლორიაშვილის** (100). უბრალოდ, მათ შედეგის მისაღწევად გვარიანად უნდა მოუმატონ. ოღონდ რეხვიაშვილს თუ უფრო გამძლეობაზე აქვს სამუშაო, ლორიაშვილმა ამასთან ერთად ტაქტიკა-ტექნიკასაც უნდა მიხედოს, ასპარეზობის დროსაც მეტი წინდახედულება, მეტი ფიქრი მართებს. მას უთუოდ აქტივში ჩაეთვლება ებრაელ **ორ სასონთან** მოგება, ვისთანაც წინა კვირას თბილისში ნახევარფინალში დამარცხდა. აღსანიშნავია ფრანგ **ტიერი ფაბრისთან** ვაზარით მოგებაც, თუმცა სამი გაფრთხილებაც მიიღო. ამათგან ბოლო ორი - 15 წამში. თან მეორეზე აშკარად ჩავარდა მუხლებზე, რაც იმ მომენტში, როცა მსაჯმა ჯიუტად დაიჩემა „შიდო" მისი მისამართით, ყოვლად დაუშვებელი იყო. არბიტრმა დარჩენილ 5 წამში მეოთხე გაფრთხილება პრაქტიკულად ვერ მოასწრო, თორემ ნამდვილად არ დაინდობდა. ლორიაშვილი შვედ **მარტინ პაცეკთან** დამარცხდა, როცა ბოლო წამებზე ვერ გაძლო, თორემ მანამ შეხვედრა მისი უპირატესობით მიმდინარეობდა. რეხვიაშვილმა ორი შეხვედრა მოიგო, თუმცა რუს **მურატ კოძოკოვთან** პაექრობაში მსაჯს კურიოზული შეცდომა მოუვიდა - გაფრთხილებები აერია (არადა, თანაბარი იყო) და გამარჯვება ჩვენებურს მისცა, თუმცა მისი შეცდომა მალევე გამოასწორეს და ფალავნები თავიდან გაიყვანეს საჭიდაოდ დამატებით დროში, სადაც ოქროს ქულა იუკოთი რეხვიაშვილმა მოიპოვა. ამის შემდეგ ის ჯერ მომავალ გამარჯვებულთან, მსოფლიოს ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორთან, მონღოლ **ხაშბაატარ ცაგანბაატართან** დამარცხდა, სანუგეშოში - ბელგიელ **დიკ ვან ტიხელტთან**.

### 60 კილოგრამი და ხელმოცარულნი

აღსანიშნავია 60 კილოგრამის ვითარებაც - პაპინაშვილის წარმატებას ველოდით კიდეც, თუმცა ურიგოდ არც **ბეთქილ შუკვანი** გამოსულა, რომელიც საბოლოოდ მეშვიდეზე დარჩა. არადა, ოლიმპიადის შემდეგ მას ბოლო დღეებამდე არც უვარჯიშია და არც - უჭიდავია სადმე. თუ ის წვრთნას სათანადოდ მოეკიდება, წონაში ერთ-ერთ ლიდერად იქცევა. ჩვენები მეოთხედფინალში დამარცხდნენ - პაპინაშვილმა მეოთხედ წააგო რუსთა ევროპის ჩემპიონ **ბესლან მუდრანოვთან**, შუკვანმა - კორეელ ფინალისტ **ინ-მინ იანთან**. სანუგეშოში მან ფრანგ ევროპის ჩემპიონ **სოფიან მილოსთან** დათმო ბრძოლა, პაპინაშვილმა კი კორეელ **ვონ ჯინ კიმთან** ერთად ბრაზილიელი ოლიმპიური პრიზიორი **ფელიპე კიტადაიც** დააიპონა.

ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან დებიუტანტმა **თორნიკე თათარაშვილმა** (66) და **ნუგზარ ტატალაშვილმა** (73) თითო ბრძოლა მოიგეს, **ტრისტან ფეიქრიშვილი** (66), **ლაშა გურული** (100), **გიორგი ზაქარიაძე** და **ადამ ოქრუაშვილი** (ორივე - +100) კი პირველივე შეხვედრაში დამარცხდნენ. ამათგან ყველაზე მოულოდნელი ოქრუაშვილის წაგებაა.

ჩვენი ნაკრები პარიზში დარჩება ერთობლივ ვარჯიშებზე, სამშობლოში კი პარასკევს დაბრუნდება. უზნაძეც მერე დაასახელებს 23-24 თებერვალს დიუსელდორფში „დიდ პრიზზე" წასაყვან შემადგენლობას.

#### კვარცხლბეკი

##### ვაჟები

**60 კგ.** 1). ნაოჰისა ტაკატო (იაპონია); 2). ინ-მინ იანგი (კორეა); **3). ამირან პაპინაშვილი (საქართველო)**, ბესლან მუდრანოვი (რუსეთი). **7). ბეთქილ შუკვანი (საქართველო).**

**66 კგ.** 1). დავიდ ლაროსე (საფრანგეთი); 2). ტუმურკულეგ დავაადორჯი (მონღოლეთი); 3). იუნ-ჰო ჩო (კორეა), ტომოფუმი ტაკაჯო (იაპონია).

**73 კგ.** 1). ცაგანბაატარ ხაშბაატარი (მონღოლეთი); 2). ბრუნო მენდონსა (ბრაზილია); 3). დექს ელმონტი (ჰოლანდია), შოჰეი ონო (იაპონია). **7). ზებედა რეხვიაშვილი (საქართველო).**

**81 კგ.** 1). იაკიო იმამოვი (უზბეკეთი); **2). ავთანდილ ჭრიკიშვილი (საქართველო)**; 3). კეიტა ნაგაშიმა (იაპონია), ვიკტორ პენალბერი (ბრაზილია).

**90 კგ. 1). ვალერი ლიპარტელიანი (საქართველო)**; 2). ეშლი გონსალესი (კუბა); 3). დილშოდ ჩორიევი (უზბეკეთი), ჰიროტაკა კატო იაპონია).

**100 კგ.** 1). ლუკაშ კრპალეკი (ჩეხეთი); 2). ტემუულენ ბატულგა (მონღოლეთი); 3). ჰენკ ხროლი (ჰოლანდია), სირილ მარეტი (საფრანგეთი). **7. დავით ლორიაშვილი (საქართველო).**

**+100 კგ.** 1). ტედი რინერი (საფრანგეთი); 2). სუნგ-მინ კიმი; 3). გუჰამ ჩო (ორივე - კორეა), რიუ სიჩინოჰე (იაპონია).

##### ქალები

**48 კგ.** 1). ჰარუნა ასამი (იაპონია); 2). ლაეტიტა პაიეტი (საფრანგეთი); 3). მარია ცელია ლაბორდე (კუბა), ურანცეცეგ მუნკბატი (მონღოლეთი).

**52 კგ.** 1). იუკი ჰაშიმოტო (იაპონია); 2). მაილინდა კელმენდი (კოსოვო); 3). ანდრეა ჩიტუ (რუმინეთი), ტაკუმი მიიაკავა (იაპონია).

**57 კგ.** 1). აუტომნე პავია (საფრანგეთი); 2). ანზუ იამამოტო (იაპონია); 3). ლორედანა ოჰაი (რუმინეთი), ნაე უდაკა (იაპონია).

**63 კგ.** 1). კლარის აგბეგნენო (საფრანგეთი); 2). ანიცკა ვან ემდენი (ჰოლანდია); 3). კანა აბე, მიკი ტანაკა (ორივე - იაპონია).

**70 კგ.** 1). კიმ პოლინგი (ჰოლანდია); 2). კალიტა ზურანჩიჩი (კანადა); 3). ლუსი დეკოსე (საფრანგეთი), ლაურა ვარგას კოჩი (გერმანია).

**78 კგ.** 1). ლუსი ლოუტე (საფრანგეთი); 2). აკარი ოგატა; 3). რიუკა სატო (ორივე - იაპონია), კატრინ რობერგე (კანადა).

**+78 კგ.** 1). მეგუმი ტაჩიმოტო (იაპონია); 2). იდალის ორტისი (კუბა); 3). ეუნ გიეონგ კიმი, ჯიიუნ კიმი (ორივე - კორეა).

**ირაკლი თავაძე**

## კალათბურთი

სუპერლიგა 2012-13. XIII ტური

# გადამწყვეტი ჯარიმა

ქუთაისში საქართველოს მოქმედი ჩემპიონის „არმიას" სტუმრობამ ადგილობრივ გულშემატკივრებში დიდი ინტერესი გამოიწვია. მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლეში სრული ანშლაგი იყო. გულშემატკივართა გამაყრუებელი ყიჟინის ფონზე შეხვედრაც ძალიან დაძაბულად წარიმართა. ასეთი დრამატული და ემოციებით დატვირთული თამაში ჩვენს ჩემპიონატში ხშირი არ არის და შესანიშნავი სანახაობისთვის ორივე გუნდს ქება ეკუთვნის. განსაკუთრებით დრამატული მატჩის ბოლო წამები გამოდგა, როცა შეხვედრის ძირითადი დროის დამთავრებამდე 40 წამით ადრე „არმია" მხოლოდ 1 ქულით იგებდა და ქუთათურები მატჩის შემობრუნებას ცდილობდნენ, მაგრამ თბილისელებმა ტაიმის ბოლო მეოთხედში მოპოვებული მცირედი უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვეს და უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

ამ შეხვედრამდე „არმია" და „ქუთაისი" სატურნირო ცხრილში თანაბარი ქულებით (18-18) მეხუთე-მეექვსე ადგილებს ინაწილებდნენ და გუშინდელი დაპირისპირება ორივე მათგანისთვის მნიშვნელოვანი იყო. შეხვედრა **დავით უსტიაშვილის** გუნდის აქტიურობით დაიწყო, სამწამიან ზონაში შესანიშნავად თამაშობდა **რიჩარდ მათიაშვილი**, რომლის განეიტრალებაც ფარქვეშ თბილისელებს ძალიან უჭირდათ. მათიაშვილი პირველ ორ მეოთხედში ორივე გუნდიდან საუკეთესო იყო. იგი ამ პერიოდში საკუთარ გუნდს 14 ქულით შეეწია. პირველ ტაიმში არანაკლებ ეფექტურად გამოიყურებოდა მისი თანაგუნდელი **გიგი ბარბაქაძე**, რომელმაც 4 დან 2 სამქულიანი გამოიყენა, რასაც 3 ორქულიანიც მიუმატა და 10 ქულა დააგროვა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ შესვენების შემდეგ გიგი ბარბაქაძე ჩრდილში მოექცა და მონაგარს ქულაც ველარ შემატა.

პირველი პერიოდი უსტიაშვილის გუნდმა 21:19 მოიგო. ქუთაისელები წინ **ვიქტორ კოლუაშვილის** აქიურობის წყალობით გავიდნენ. მეორე მეოთხედში მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და დიდ შესვენებაზე 6-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ (40:34).

შესვენების შემდეგაც მასპინძელთაგან კვლავ მათიაშვილი გამოირჩეოდა, რომელმაც 27 ქულითა და 10 მოხსნით ორმაგი დუბლი მიითვალა. თუმცა, ალბათ, ბედის ირონია იყო ის, რომ მატჩის საუკეთესო მოთამაშემ შეხვედრის მიწურულს გადამწყვეტ მომენტში შეცდომა დაუშვა, ტექნიკური ჯარიმა მიიღო და ამან ქუთაისელთა წაგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, თუმცა ამას ქვემოთ დავუბრუნდებით.

მესამე პერიოდში **თემურ ბაბუნაშვილის** ორი ზუსტი სამქულიანის შემდეგ მასპინძლები 10 ქულითაც დაწინაურდნენ, თუმცა მეოთხედის მიწურულიდან დაიწყო მასპინძლებისთვის ექვსწუთიანი უსიამოვნო მონაკვეთი: უსტიაშვილის შეგირდებს ზედიზედ რამდენიმე შეტევა გაუცუდდათ, რითაც არმიელებმა კარგად ისარგებლეს და 14:0 გაქცევა მოაწყვეს. სტუმართაგან **ლაშა ფარლალავასა** და **ბექა წივწივაძის** თამაშია აღსანიშნავი. საბოლოოდ ფარლალავამ თბილისელთაგან ყველაზე მეტი 20 ქულა დააგროვა, წივწივაძემ კი 13, თანაც არმიელთა გამთამაშებელი საკუთარი გუნდის შეტევების სულისჩამდგმელი იყო. მათ თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი და მეოთხე პერიოდში არმიელები წინ გავიდნენ 59:61. ქუთაისელებმა ძალები მოიკრიბეს და **ბუბა კვიმსაძის** კარგი თამაშის წყალობით კვლავ შეძლეს დაწინაურება, შეხვედრა ქულა-ქულაში გაგრძელდა, რომლის დასრულებამდე 22 წამით ადრე მათიაშვილი დაცვაში დაჯარიმდა, მას ნერვებმა უმტყუნა და ტექნიკური ჯარიმა მიიღო. ამან ფაქტობრივად მატჩის ბედიც გადაწყვიტა. ქუთათურებმა ბოლოს კიდევ გაიბრძოლეს, მაგრამ თამაშის შემობრუნება ველარ მოახერხეს.

**კოტე ტულუში** („არმიას" მწვრთნელი):

- დარბაზში არაჩვეულებრივი ატმოსფერო იყო შექმნილი. დიდი მადლობა ჩვენი გუნდის ყველა მოთამაშეს, რომლებიც ბოლომდე დაიხარჯნენ და გამარჯვებისთვის მაქსიმუმი გაიღეს. დღეს სწორედ ერთიანობისა და გუნდურობის ხარჯზე მოვიგეთ. მატჩის ბოლო წამებზე მეტოქესთან შედარებით ნაკლები შეცდომა დავუშვით და მოგება ამანაც განაპირობა.

**დავით უსტიაშვილი** („ქუთაისის" მწვრთნელი):

- თამაში კარგად დავიწყეთ და თითქმის მთელი შეხვედრის მანძილზე წინ ვიყავით, თუმცა გადამწყვეტ მომენტში არ გაგვიმართლა და საბოლოოდ შეხვედრა 3 ქულის სხვაობით დავთმეთ. ვფიქრობ, ბოლო წამებზე რიჩარდ მათიაშვილის ტექნიკურმა ჯარიმამ თამაშის შედეგზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. მთლიანობაში ბიჭების თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. ვეცდებით, ხარვეზები გამოვასწოროთ და მომდევნო მატჩებში უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

*სუპერლიგის მე-13 ტურის ოთხ მატჩზე მე-13 გვერდზე წაიკითხავთ*

10 თებერვალი, ქუთაისი

**ქუთაისი 72 : 75 არმია**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 21 | 19 | 17 | 15 |
| არმია | 19 | 15 | 18 | 23 |

| ქუთაისი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 28 | 4 | 3 | 1 | 2 | 1 | 3 |
| ბაბუნაშვილი | 33 | 1 | 3 | 2 | 0 | 0 | 10 |
| დიდია | 19 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| კვიმსაძე | 29 | 4 | 5 | 2 | 0 | 0 | 10 |
| დ. ბარბაქაძე | 20 | 3 | 1 | 2 | 1 | 0 | 8 |
| ლომინაშვილი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გ. ბარბაქაძე | 29 | 1 | 1 | 3 | 0 | 0 | 10 |
| კოლუაშვილი | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| მათიაშვილი | 34 | 10 | 2 | 1 | 1 | 4 | 27 |

| არმია | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 28 | 3 | 5 | 2 | 1 | 0 | 5 |
| ბაგიაშვილი | 13 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| გოისა | 15 | 4 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| უგრეხელიძე | 16 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 4 |
| წივწივაძე | 19 | 1 | 2 | 2 | 1 | 0 | 13 |
| ლეჟავა | 16 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 9 |
| საყვარელიძე | 36 | 8 | 2 | 2 | 1 | 0 | 8 |
| შარაბიძე | 12 | 5 | 0 | 2 | 0 | 0 | 4 |
| ჯღერენაია | 14 | 5 | 0 | 0 | 1 | 0 | 8 |
| ფარლალავა | 28 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 20 |

**მსაჯები:** *მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი*

ქართველი უკრაინაში

# პოპლა გოვერლასთან



უკრაინის პირველობაზე თამაშს თამაშზე იგებს კიევის „ბუდიველნიკი", რომლის ღირსებასაც ქართველი გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** იცავს. გუშინ „მშენებლებმა" „გოვერლა" მიიღეს და 92:79 დაამარცხეს.

როგორც ჩანს, მასპინძლები კარგ ფორმაში არიან. მათ პირველივე მეოთხედში მოიპოვეს 19-ქულიანი უპირატესობა და დარჩენილ სამ პერიოდს, ფაქტობრივად, სიმბოლური სახე მისცეს.

ცინცაძე სასტარტო ხუთეულში იყო და 20 წუთი ითამაშა. მის ანგარიშზე 8 ქულა (6-დან 4 ორქულიანი), 2 პასი, 4 ჩაჭრა და 1 მოხსნაა. „ბუდიველნიკის" გამარჯვებაში 28 ქულიანი წვლილი **ლეო ლაიონსმა** შეიტანა.

კიევურ გუნდს 22 მოგება აქვს და რეგულარულ ჩემპიონატში პირველობას არავის უთმობს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● სუპერლიგა 2012-13. XIII ტური

# ოქროს გასაღები

## მოხსნილი რეკორდები

სუპერლიგის მე-13 ტურში 13 ვერა, მაგრამ არაერთი რეკორდი ვიხილეთ.

დავიწყოთ გუნდურიდან: „რუსთავმა" „სამედიცინოსთან" მატჩში 126 ქულა ჩააგდო, რაც მიმდინარე სეზონის რეკორდია. მანამდე ყველაზე მეტი, 112 ქულა იმავე „რუსთავს" ჰქონდა ჩაგდებული. საერთოდ კი საქართველოს ჩემპიონატების რეკორდსმენი თსუ არის, რომელმაც 2009 წელს „ბათუმთან" ერთბაშად 162 ქულა ჩააგდო.

„სამედიცინო"-"რუსთავის" შეხვედრაში სამქულიანების წვიმა თავიდანვე დაიწყო, მეოთხე პერიოდში კი კოკისპირულად განვიმდა. საბოლოოდ რუსთაველებმა 38-დან 20 სამქულიანი ჩააგდეს. ორივე ეს მაჩვენებელი მიმდინარე სეზონის რეკორდია.

აქამდე, ერთ მატჩში 20 მოხსნით სუპერლიგაში სოხუმელი **ვახტანგ ქადარია** იყო გამორჩეული, რომლის რეკორდი მე-13 ტურში თსუ-ელმა **სერჟ ასელაინმა** მოხსნა - 21 მოხსნა.

ციფრებზე კიდევ ბევრის ლაპარაკი შეიძლება, მაგრამ დროა თამაშებსაც მივხედოთ.

| | დინამო | ბათუმი |
|---|---|---|
| | 72 | 48 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 17 | 15 | 24 |
| ბათუმი-რსუ | 17 | 8 | 7 | 16 |

| დინამო | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კარიმი | 33 | 10 | 4 | 1 | 0 | 0 | 11 |
| ლეჟავა | 22 | 6 | 0 | 5 | 0 | 0 | 3 |
| ჩიკვილაძე | 30 | 5 | 6 | 4 | 0 | 0 | 15 |
| ლილუაშვილი | 11 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 |
| კობაიძე | 11 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ორმოცაძე | 15 | 3 | 2 | 2 | 1 | 0 | 2 |
| ბელაზონია | 14 | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 4 |
| ოლუიჩი | 23 | 10 | 0 | 3 | 0 | 0 | 16 |
| კლიმენი | 30 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 19 |
| ლუდუშაური | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |

| ბათუმი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაისურაძე | 20 | 1 | 1 | 2 | 3 | 0 | 4 |
| რამიშვილი | 28 | 3 | 3 | 0 | 2 | 0 | 9 |
| ნანიტაშვილი | 28 | 6 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 |
| ელიაშვილი | 29 | 4 | 0 | 2 | 0 | 0 | 9 |
| სიგუა | 27 | 7 | 3 | 1 | 1 | 0 | 2 |
| ყველაშვილი | 11 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 4 |
| კეშელავა | 39 | 9 | 1 | 3 | 2 | 0 | 19 |
| ნინუა | 11 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კოკობინაძე | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

*მსაჯები:* ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე, მიხეილ ვართანოვი

| | სოხუმი | შსს აკადემია |
|---|---|---|
| | 56 | 59 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| სოხუმი | 14 | 17 | 16 | 9 |
| შსს აკადემია | 16 | 20 | 13 | 10 |

| სოხუმი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩლაიძე | 40 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 13 |
| კოპალიანი | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| შვანგირაძე | 16 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| დეკანოიძე | 15 | 4 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ბაკაშვილი | 17 | 2 | 0 | 2 | 1 | 0 | 2 |
| ქადარია | 32 | 10 | 2 | 5 | 1 | 1 | 4 |
| ათუაშვილი | 40 | 14 | 1 | 1 | 0 | 3 | 20 |
| სტოიაკოვიჩი | 30 | 6 | 5 | 6 | 1 | 0 | 13 |

| შსს აკადემია | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიტაშვილი | 8 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 |
| ვონი | 34 | 4 | 5 | 2 | 0 | 0 | 10 |
| როგავა | 17 | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ბოქოლიშვილი | 30 | 4 | 1 | 0 | 2 | 0 | 12 |
| ლონდარიძე | 27 | 5 | 1 | 3 | 1 | 1 | 10 |
| ლომოური | 12 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 10 |
| ანთაძე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბექაური | 8 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| არჩიბექი | 40 | 10 | 1 | 2 | 3 | 1 | 13 |
| რეიმონდი | 18 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 |

*მსაჯები:* მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, გურამ მიქელაძე

| | სამედიცინო | რუსთავი |
|---|---|---|
| | 56 | 59 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| სამედიცინო | 12 | 18 | 16 | 28 |
| რუსთავი | 31 | 21 | 38 | 36 |

| სამედიცინო | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯიქია | 15 | 0 | 1 | 3 | 0 | 0 | 4 |
| ბიბილური | 18 | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 4 |
| არწივიძე | 21 | 2 | 5 | 3 | 1 | 0 | 12 |
| შიოლაშვილი | 9 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 4 |
| ტუკვაძე | 22 | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 8 |
| გაბისონია | 18 | 3 | 6 | 1 | 3 | 0 | 4 |
| ლ. რევაზაშვილი | 27 | 4 | 0 | 2 | 0 | 0 | 6 |
| გაფრინდაშვილი | 24 | 1 | 6 | 4 | 1 | 0 | 9 |
| მაისურაძე | 26 | 6 | 0 | 4 | 0 | 0 | 17 |
| ფერიაშვილი | 14 | 3 | 0 | 1 | 1 | 1 | 6 |

| რუსთავი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოუი | 17 | 6 | 8 | 1 | 3 | 0 | 26 |
| ცეკვავა | 17 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 6 |
| ვატადი | 18 | 2 | 3 | 2 | 4 | 0 | 20 |
| აბაიშვილი | 20 | 0 | 5 | 0 | 3 | 0 | 10 |
| ჩაჩანიძე | 17 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 8 |
| გუგავა | 21 | 10 | 0 | 3 | 2 | 0 | 14 |
| ნელსონი | 23 | 10 | 4 | 0 | 2 | 0 | 25 |
| ათანელიშვილი | 11 | 7 | 1 | 0 | 1 | 0 | 4 |
| მაჭავარიანი | 15 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 |
| არაბული | 12 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 |
| ხმელიძე | 23 | 3 | 3 | 3 | 0 | 0 | 9 |

*მსაჯები:* დავით ბერეკაშვილი, გურამ მიქელაძე, მალხაზ ანდღულაძე

| | სტუ | თსუ |
|---|---|---|
| | 74 | 88 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| სტუ | 20 | 13 | 21 | 20 |
| თსუ | 10 | 31 | 26 | 21 |

| სტუ | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თევზაძე | 23 | 6 | 0 | 1 | 1 | 1 | 12 |
| კვეტენაძე | 30 | 4 | 0 | 4 | 1 | 0 | 17 |
| კორკოტაძე | 29 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 9 |
| მინაშვილი | 21 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 8 |
| მაჩალაძე | 17 | 6 | 1 | 0 | 0 | 0 | 10 |
| პირველაშვილი | 32 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 9 |
| დვალიშვილი | 6 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| კუჭავა | 13 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ჯანაშია | 19 | 7 | 0 | 2 | 0 | 0 | 9 |
| ქორიძე | 6 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |

| თსუ | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქრაძე | 34 | 7 | 10 | 1 | 2 | 0 | 6 |
| ასელაინი | 34 | 21 | 0 | 7 | 2 | 2 | 32 |
| თავამაიშვილი | 7 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ტეტელაშვილი | 15 | 4 | 3 | 0 | 1 | 0 | 9 |
| ხანიაშვილი | 26 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 18 |
| კობიძე | 15 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| თვაური | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბერუაშვილი | 20 | 4 | 2 | 1 | 1 | 1 | 6 |
| ჩქარეული | 25 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 5 |
| ხიზანიშვილი | 16 | 1 | 2 | 3 | 1 | 0 | 10 |

*მსაჯები:* მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი, მიხეილ ვართანოვი

### დინამო-ბათუმი

დინამოელებმა სტუმრებს მტკიცე დაცვა დაახვედრეს და თამაში ლოგიკური შედეგით დასრულდა - გაიმარჯვა ფავორიტმა.

პირველი წრის ბოლოს იყო დაპირება, რომ „ბათუმი" უცხოელი კალათბურთელით (ან კალათბურთელებით) გაძლიერდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ზღვისპირელთა თავკაცმა **მიხეილ კობეშავიძემ** თქვა - არსებული რესურსით ვეცდებით პლეი ოფის საგზურისთვის ბრძოლასო.

### სოხუმი-შსს

ნამატჩევს „შსს აკადემიას" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგიოს კეცელიდისმა** აღნიშნა: როგორც ჩანს, „სოხუმმა" ჩვენ წინააღმდეგ კარგად თამაშის გასაღები იპოვა და იმედი მაქვს, შემდეგში, როცა საქართველოდან წასვლას გადავწყვეტ, სოხუმელთა მწვრთნელი გასაღებს გამატანსო.

„სოხუმის" თავკაცმა **ვაჟა კვარაცხელიამ** განმარტა: ორი წელია პლეი ოფში „შსს აკადემიას" ვჯობნით და ეს კალათბურთელთა ფსიქოლოგიაზეც ისახება. განსაკუთრებულ თამაშს სწორედ შსს-სთან ვუჩვენებთ.

მართლაც, ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს სოხუმელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და გამარჯვების კარგი შანსიც ჰქონდათ. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით გუნდის ახალწვეულებს - ცენტრ **სერგო ათუაშვილს** (7-დან 7 ორქულიანი ჩააგდო) და სერბ **ბოშკო სტოიაკოვიჩს**. სერგოსა და ვახტანგ ქადარიას მონდომებით შსს-ის მთავარმა მეფარემ **კირკ არჩიბეკმა** ჩვეულად ვერ გაილაღა, ხოლო **ირაკლი ჩლაიძის** წინამძღოლობით სოხუმელმა უკანახაზელებმა ძალოვნებს პერიმეტრიდან ქულების უხვად მოგროვების საშუალება არ მისცეს. შსს-მ სულ 2 სამქულიანი გამოიყენა.

მეოთხე პერიოდი მეტად დაძაბული და ჩაკეტილი გამოდგა, გუნდებს ქულების მოგროვება უჭირდათ. გადამწყვეტი გამოდგა ერთი წუთით ადრე **მერაბ ბოქოლიშვილის** ურთულესი პოზიციიდან ჩაგდებული ორქულიანი, რომლის შემდეგ ანგარიშში უპირატესობა შსს-ის მხარეს გადავიდა და ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვია.

### სამედიცინო-რუსთავი

შესავალში ამ მატჩში დაფიქსირებულ რეკორდებზე უკვე მოგითხრეთ და აქ აღარ განვმეორდებით. დანარჩენზე სტატისტიკა მოგითხრობთ.

### სტუ-თსუ

სტუდენტური დერბის საწყის წუთებზე სტუ იმდენად კარგად გამოიყურებოდა, რომ შეიძლება ბევრს ეგონა - სუპერლიგის ამ სეზონში პირველ გამარჯვებას მოიპოვებდა. თუმცა 10:20 ჩამორჩენის შემდეგ თსუ-მ მეორე პერიოდი 31:13 მოიგო და მას შემდეგ ინიციატივა აღარ დაუთმია.

გამარჯვებაში ლომის წილი თსუ-ის აფრიკელ ფორვარდ **სერჟ ასელაინს** მიუძღვის, რომელმაც 32 ქულას (21-დან 12 ორქულიანი, 12-დან 8 საჯარიმო) 21 მოხსნა შეუფარდა.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 12 | 10 | 2 | 978/772 | 22 |
| 2. რუსთავი | 12 | 10 | 2 | 1028/840 | 22 |
| 3. არმია | 11 | 9 | 2 | 969/723 | 20 |
| 4. ოლიმპი | 11 | 9 | 2 | 947/795 | 20 |
| 5. დინამო | 12 | 8 | 4 | 922/856 | 20 |
| 6. ქუთაისი | 12 | 7 | 5 | 945/877 | 19 |
| 7. თსუ | 12 | 5 | 7 | 841/925 | 17 |
| 8. სოხუმი | 12 | 3 | 9 | 904/999 | 15 |
| 9. ბათუმი-რსუ | 12 | 3 | 9 | 808/971 | 15 |
| 10. სამედიცინო | 12 | 1 | 11 | 748/1084 | 13 |
| 11. სტუ | 12 | 0 | 12 | 784/1032 | 12 |

● ქართველი თურქეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 9 ქულა და დაკარგული შანსი

თურქეთში გადასვლიდან ორიოდე კვირის თავზე **მანუჩარ მარკოიშვილს** პირველი ტიტულის მოგების შანსი ჰქონდა. მისი „გალათასარაი" თასის ფინალში გავიდა და „ფენერბაჰჩეს" დაუპირისპირდა. მანუჩარს ამ სეზონში „ფენერთან" იტალიური „კანტუს" მაისურით ერთი მატჩი დიდი სხვაობით ჰქონდა მოგებული, თუმცა ამჯერად მისი „გალა" ბოლო წამებზე 57:63 დამარცხდა.

პირველი პერიოდი მანუს გუნდმა 15:21 წააგო. მეორეში მოედანზე მანუჩარი გამოჩნდა, 5 ქულა მიითვალა და დიდი შესვენების წინ „გალათასარაი" დაწინაურდა - 32:28.

მეოთხე პერიოდში მარკოიშვილმა კიდევ 4 ქულა ჩააგდო, თუმცა ეს თასის დაუფლებისთვის არასაკმარისი აღმოჩნდა.

მანუჩარის სრული მონაგარი ასეთი იყო: 14 წუთი, 9 ქულა (სარეკორდო მაჩვენებელი „გალას" მაისურით), 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა. მან ორქულიანები ასპროცენტიანი სიზუსტით სტყორცნა - 4-დან 4, ორი სამქულიანი ააცილა და ერთადერთი საჯარიმო მიზანში მოარტყა.

„გალათასარაიში" ყველაზე მეტი, 12 ქულა ექსბარსელონელმა ცენტრმა **ბონიფაც ნდონგმა** ჩააგდო. შეხვედრის ბომბარდირი კი „ფენერის" ავსტრალიელი მეფარე **დევიდ ანდერსენი** გახდა - 21 ქულა.

● ქართველი NBA-ში



# ზაზა დაბრუნდა

**ზაზა ფაჩულია** ოთხმატჩიანი შესვენების შემდეგ მოედანს დაუბრუნდა. მას აქილევსის მყესის ტრავმა ჰქონდა და სწორედ ამიტომ ისვენებდა. გამოჯანმრთელებულმა ზაზამ „ნიუ ოლეანთან" საშინაო შეხვედრაში მოედანზე 17 წუთი გაატარა და **რუბენ ლოპესის** მეურვეობა უწევდა.

საბოლოოდ ვერც ფაჩულიას და ვერც დანარჩენი ატლანტელების მონდომებამ შედეგი ვერ გამოიღო - მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე **ანდერსონის** მიერ ჩაგდებული სამქულიანის შემდეგ „ორლეანი" 101:94 დაწინაურდა და საბოლოოდ შინ გამარჯვებული გაბრუნდა (111:100). სამმაგი დუბლი შეასრულა „ნიუ ორლეანის" უკანახაზელმა **ვასკესმა** - 21 ქულა, 12 პასი, 11 მოხსნა.

ზაზამ 4 ორქულიანი და 2 საჯარიმო სტყორცნა, რომელთაგან 2-2 გამოიყენა და 4 ქულას 3 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი-დაფარება შემატა. მასპინძელთაგან ყველაზე მეტი, 23 ქულა **ჯოშ სმიტის** ანგარიშზეა.

სადღეისოდ „ატლანტა ჰოქსი" აღმოსავლეთის კონფერენციაში მეექვსე ადგილზეა. მის ანგარიშზე 27 მოგებაა (22 მარცხი). ჯორჯიელებს დროულად მართებთ თამაშის გამოსწორება, თორემ მდევრები კვალში უდგანან („ბოსტონი" და „მილუოკი") და შესაძლოა „ჰოქსის" პლეი ოფში გასვლის საკითხს კითხვის ნიშანი დაესვას.

რაც შეეხება „ბრუკლინის" ქართველ ფორვარდ თორნიკე შენგელიას, ტვინის შერყევის შემდეგ იგი უკვე შეუერთდა გუნდს და უახლოეს მატჩებში „ნეთსის" განაცხადშიც ვიხილავთ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

ერთა თასი

# ბევრი შრომა გვჭირდება, გუნდი ნელ-ნელა იზრდება

*„საწყის ათ წუთში ზუსტად ის თამაში ვაჩვენეთ, რაზეც გამუდმებით ვმუშაობთ. ყველაფერი გამოგვდიოდა და ლელოც გავიტანეთ. ამის გამო, შეიძლება ითქვას, ზედმეტად თავდაჯერებულები გავხდით, მორაგბეებმა ინდივიდუალურად დაიწყეს თამაში. შედეგად, პირველი ტაიმის ბოლო 20 წუთი საშინელება იყო" - თქვა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა.*



შეტევაშია მამუკა გორგოძე და გიორგი ბეგაძე

საწყისი ათი წუთი მართლაც ფანტასტიკური იყო. „ბორჯღალოსნები" ისე გაისარჯნენ, ისე იოლად გამოსდიოდათ ფაზების აკინძვა, როგორც ამას ერთ ჩვეულებრივ ვარჯიშზე აკეთებენ. მერე კი კარგა ხნის განმავლობაში ყველაფერი აირია. მართალია, მეტოქეს 22-მეტრიან ზონაში შესვლის საშუალება პირველად 30-ე წუთზე მისცეს, მაგრამ ფაქტია - რაიმე ღირებულის შექმნას ვერც ჩვენი გუნდი ახერხებდა. ამის მიზეზი კი უწინარესად ტექნიკური წუნი იყო.

იმ სტილს, რომლის დანერგვასაც მილტონ ჰეიგი ჩვენი ნაკრების თამაშში ცდილობს, მაღალტექნიკური და კარგი ფიზიკური გამძლეობის მორაგბეები სჭირდება. ეს ის თამაშის სტილია, რომლითაც, ბოლოს და ბოლოს, ელიტის კარი უნდა შევაღოთ. ჯერ ყველაფერი არ გამოდის, ტექნიკას დახვეწა უნდა, ფიზიკურ კონდიციებს გაუმჯობესება. სხვაგვარად ბობოლებთან ტოლ-სწორად პაექრობაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

*„ვფიქრობ, ძალიან ბევრი გვაქვს სამუშაო. ახალზელანდიელი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი აზრიან რაგბის თამაშს გვთავაზობს, მაგრამ მის ასათვისებლად დრო და ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო"* - ეს სიტყვები ერთა თასის გათამაშების დაწყებამდე ორი კვირით ადრე, პორტუგალიის ნაკრებთან მატჩის გმირმა, ორი ლელოს ავტორმა **თედო ზიბზიბაძემ** თქვა.

ძნელია არ დაეთანხმო „ბორჯღალოსანთა" ერთ-ერთ გამორჩეულ და გამოცდილ მოთამაშეს. სამუშაო მართლაც ბევრია, რადგან სწორედ არსებული ხარვეზები უშლის ხელს ჩვენს გუნდს ყველა მეტოქეს დამაჯერებლად გაუსწორდეს. ამასთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს, ესე იგი, ახალი გუნდი შენდება.

## პირველად

პორტუგალიასთან მატჩში ბევრი რამ მოხდა პირველად. „ბორჯღალოსნებს" პირველად უკაპიტნა გარემარბმა **ირაკლი მაჩხანელმა,** ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა მისი კაპიტნობით პირველად გაიმარჯვა, პირველად წარსდგა ეროვნული ნაკრების კვართით ქართველი ქომაგების წინაშე 20 წლის **თამაზ მჭედლიძე,** მასზე ორი წლით უმცროსია ცხრა ნომრის პოზიციაზე მოთამაშე **ვაჟა ხუციშვილი,** რომელიც სათადარიგოთა შორის იყო, თუმცა თამაშის საშუალება არ მიეცა.

და კიდევ, ერთა თასის გათამაშების მატჩს პირველად მოემსახურა ქართველ მსაჯთა ბრიგადა. თამაში, წესით, ფრანგებს უნდა ემსაჯათ, თუმცა უამინდობის გამო თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხეს და მატჩის კომისარმა ქართველ არბიტრებს გამოუცხადა ნდობა. მთავარი მსაჯი **გიორგი ამირხანაშვილი** იყო, ასისტენტები კი **პაატა ნარიმანიძე** და **ნოდარ რობიტაშვილი.** ნანახიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მათ ასეთ მაღალ დონეზე მომავალშიც უნდა იმსაჯონ.

## პირველი ტაიმი

ბელგიასთან რთული მოგების შემდეგ, ცხადია, გუნდი მაქსიმალურად მობილიზებული იყო და თამაშის დაწყებისთანავე „ბორჯღალოსნებმა" მეტოქეს გაათკეცებული ენერგიით შეუტიეს. პირველი სამი წუთი, კი სულაც უმაღლესი დონის რაგბის ნიმუში იყო. ჩვენმა მორაგბეებმა რამდენიმეფაზიანი შეტევა განახორციელეს, რომლის მიმართულებაც რამდენჯერმე შეიცვალა. მეტოქის დაცვის ხაზი გუნდის კაპიტანმა ირაკლი მაჩხანელმა გაჭრა და 22-მეტრიან ზონაში შეაღწია, მას მეორეხაზელი **გიორგი ჩხაიძე** წამოეშველა და კიდევ რამდენიმე მეტრით წინ წაიწია, მერე შეტევა მარცხნივ, გრძელ ფრთაზე შუამარბმა **მერაბ შარიქაძემ** გაჭრა, იქ წარმოქმნილი რაკიდან ცხრა ნომერმა **გიორგი ბეგაძემ** იერიში კიდევ უფრო მარცხნივ განაგრძო და ბურთი მგეზავ **ლაშა ხმალაძეს** გადააწოდა, რომელმაც ცრუ მანევრით ორი პორტუგალიელი უსაქმოდ დატოვა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. ფულბეკმა **მერაბ კვირიკაშვილმა** გარდასახა - 7:0

ამის მერე, როგორც ჩანს, ჩვენმა მორაგბეებმა ნელ-ნელა კონცენტრაცია დაკარგეს. რასაც ზედიზედ ორჯერ ნაგებული საკუთარი დერეფანი მოჰყვა. „ლობუშებმა" მე-8 წუთზე ისე გაგვიტანეს ცენტრიდან საჯარიმო , რომ ჩვენი მოედნის ნახევარზე გადმოსულნიც არ იყვნენ. თავი ლუზიტანელების მგეზავმა **პედრო ლეალმა** გამოიჩინა - 3:7.

საქართველოს ნაკრები შეტევების ახალ სტილში ორგანიზებას განაგრძობდა. ერთ-ერთ ეპიზოდში, ჩათვლის მოედანს ისევ სახიფათოდ მივუახლოვდით, თუმცა მაქსიმუმ ჯარიმას გამოვრჩით. გუნდის კაპიტანმა კარში დარტყმის გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა იქვე შერკინების მოთხოვნა და რეტდასხმული მოწინააღმდეგის საბოლოოდ დაჩაგვრაც შეიძლებოდა. კვირიკაშვილმა საჯარიმო მოედნის კიდედან დაარტყა და ვერ გაიტანა. მანვე რამდენიმე წუთში კარის პირდაპირ 25 მეტრში დანიშნული საჯარიმოც ვერ გამოიყენა.

ამის შემდეგ დადგა ის საშინელი 20 წუთი, რომელიც მილტონ ჰეიგმა პრესკონფერენციაზე ახსენა. მიუხედავად ამისა, „ბორჯღალოსნებმა" დაცვაში შეძლეს მეტოქის განეიტრალება და ანგარიშის შეცვლის საშუალება არ მისცეს. 7:3 ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

## მეორე ტაიმი

შესვენების შემდეგ, თამაშის დალაგება ისევ ვერ შევძელით. დაახლოებით 25 წუთის განმავლობაში მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. დროის ამ მონაკვეთში კვირიკაშვილმა ერთი საჯარიმო გაიტანა, რაზეც მეტოქემ ორით უპასუხა და ანგარიშში სხვაობა 64-ე წუთისთვის მინიმუმამდე შემცირდა - 10:9.

პორტუგალიელებს ორ წუთში დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ პედრო ლეალმა ბურთი ხელსაყრელი პოზიციიდან კარის ძელს მოარტყა. ჩვენი გუნდის კონტრიერიში კი ლელოთი დასრულდა. მეტოქის ჩათვლის მოედნიდან 15 მეტრში, დერეფანში ბურთი **დიმიტრი ბასილაიამ** სუფთად მოიგო. ჩვენმა მორაგბეებმა მოლი შეკრეს და ათიოდ მეტრი გაიარეს, მერე თამაში რაკში გადავიდა, იქიდან ბურთი ჯერ მესამეხაზელმა **შალვა სუთიაშვილმა** აიტაცა და ოდნავ წინ წაიწია, მერე მას შეცვლაზე შესული პირველხაზელი **დავით ხინჩაგიშვილი** მიეხმარა, რომელსაც ლელომდე სანტიმეტრები დააკლდა. წარმოქმნილი რაკიდან ბურთი მესამეხაზელმა **მამუკა გორგოძემ** აიტაცა და ყველასთვის მოულოდნელად მარჯვნივ შეუტია, მისი შეჩერება პორტუგალიელებმა შეძლეს, მაგრამ გორგოძემ იქვე, ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი **თედო ზიბზიბაძე** შენიშნა, რომელმაც რამდენიმე წუთით ადრე შუამარბის პოზიციიდან გარემარბად გადაინაცვლა. თედოს ხელს ალარავინ უშლიდა. კვირიკაშვილმა ვერ გარდასახა - 15:9.



მერაბ კვირიკაშვილი მეტოქეს ხელიდან დაუსხლტა

პორტუგალიელებმა 76-ე წუთზე საჯარიმოთი კიდევ ერთხელ შეძლეს ანგარიშის შემცირება - 12:15. რაზეც ორ წუთში კვირიკაშვილმა საჯარიმოთივე უპასუხა. მატჩის ბოლო წუთზე კი „ბორჯღალოსნებმა" კიდევ ერთი ლელო მიითვალეს. დერეფანი, ამჯერად, პორტუგალიელთა ჩათვლის მოედნიდან 40 მეტრში მოვიგეთ, მოლის აგორება ვცადეთ, მაგრამ იქვე შეგვიჩერეს, მერე კვირიკაშვილმა ბურთი მარცხნივ, შუამარბ მერაბ შარიქაძეს გაუტანა, რომელმაც რამდენიმე მეტრი მოიგო, წარმოქმნილი რაკიდან ბეგაძემ შეტევის მიმართულება შეცვალა და მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე შეცვლაზე შესული მესამეხაზელი **ბექა ბიწაძე** მოძებნა, რომელმაც კიდევ უფრო მარჯვნივ ბურთი თედო ზიბზიბაძეს გაატანა. თედომ 20 მეტრი ირბინა, გზად ორი მეტოქე ჩამოიცილა, მესამეს „თავზე გადაუარა" და ლელოში შეაღწია. კვირიკაშვილმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა და თამაშიც დასრულდა - 25:12.

### საქართველო-პორტუგალია 25:12

**საქართველო (15-9)**: ხმალაძე (ყიასაშვილი 79), მჭედლიძე (კაჭარავა 63), ზიბზიბაძე, შარიქაძე, მაჩხანელი, კვირიკაშვილი, ბეგაძე.

**(1-8)**: ნარიაშვილი (ხინჩაგიშვილი 57), შალვა მამუკაშვილი (ბელქანია 57), ზირაქაშვილი (მირცხულავა 63), ჩხაიძე (მაისურაძე 48), მიქაუტაძე (ბიწაძე 63), სუთიაშვილი, გორგოძე, ბასილაია.

**3ლ**: ხმალაძე, ზიბზიბაძე (2). **2ს,2გ**: კვირიკაშვილი.

**პორტუგალია (15-9)**: კოშტა, ეშტევეში, ოლივეირა, მარი, ფორჲუ, ლეალი, მაგალიაეში (ლიმა 71).

**(1-8)**: ალვეში (სეგურადო 48), კორეია, მურე (მარტინში 48), რეისი (ჟირაუ 63), გ. უვა, ვ.უვა (ბალანჲე 71), ბარდი, სევერინუ.

**4ს**: ლეალი.

**მაჯი**: გიორგი ამირხანაშვილი (საქართველო)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +21 | 8 |
| 2. საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | +17 | 8 |
| 3. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | -11 | 4 |
| 4. ბელგია | 2 | 0 | 1 | 1 | -4 | 3 |
| 5. ესპანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | -4 | 3 |
| 6. პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | -19 | 1 |

### III ტური. 23 თებერვალი

რუსეთი-საქართველო
ესპანეთი-რუმინეთი
პორტუგალია-ბელგია

**ბესიკ ჯანგავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*

### მატჩის შემდეგ

**მილტონ ჰეიგი,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: *„კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო. დასაწყისში ზუსტად ისე ვითამაშეთ, რასაც წინა კვირაშიც ვვარჯიშობდით საწვრთნელ შეკრებაზე. მაგრამ მერე რა მოხდა, ამას დასხდომა და გაანალიზება სჭირდება. უნდა ვეცადოთ ასე თამაში უწყვეტად გაგრძელდეს, ამას დაუმატეთ მკაცრი სათამაშო დისციპლინა და სწორედ ამის მიღწევის შემდეგ შევძლებთ მაღალი დონის გუნდებთან გამარჯვებას.*

*თედო ზიბზიბაძე ძალიან კარგი მოთამაშეა. მატჩის დასრულების შემდეგ პირველი რაც გავაკეთე, ის იყო, რომ მივედი და შესანიშნავი თამაში მივულოცე. ის კარგად გაისარჯა, როგორც შუამარბის, ისე გარემარბის პოზიციაზეც. ვფიქრობ, პირველ ხაზში რომ დავაყენო, იქაც ბრწყინვალედ გაართმევს საქმეს თავს.*

**ირაკლი მაჩხანელი,** საქართველოს ნაკრების კაპიტანი: *„ბევრი შეცდომა დავუშვით. ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს, ბევრი ახალი მოთამაშე გვყავს. გუნდი ნელ-ნელა იზრდება. იდეალურად არაფერი ხდება, ბევრი შრომა გვჭირდება, რათა განვავითაროთ ის ტაქტიკა, რაც ნოემბრის ტესტებზე ფიჯისთან და იაპონიის ნაკრებთან მატჩებში ავირჩიეთ.*

*როგორც კაპიტანმა, გადავწყვიტე, რომ ხელსაყრელი პოზიციიდან ყველა საჯარიმო კარში დაგვერტყა. როცა გეძლევა ქულების დაგროვების საშუალება, ის უნდა გამოიყენო. არ მგონია, რომ მცდარი გადაწყვეტილება მივიღე"*

**ეროლ ბრაიანი,** პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: *„დასახული გეგმა ვერ შევასრულეთ. გვინდოდა თამაში გაგვეშალა და მესამე ზონიდან მორაგბეებს პირდაპირ დაერტყათ. სამწუხაროდ, ჩემი მოთამაშეები ამას ვერ ახერხებდნენ, ისინი ცერად უტევდნენ და ქართველმა მორაგბეებმა შეძლეს მათი განეიტრალება."*

**პედრო ლეალი,** პორტუგალიის ნაკრების მგეზავი: *„ბოლო ადგილზე ყოფნას ნამდვილად არ ვიმსახურებთ. პირველ ტურში რუმინეთის ნაკრებთან თამაში ისე მიდიოდა, რომ გამარჯვების შანსი ორივე გუნდს თანაბრად ჰქონდა. „სტეუარიმ" ბოლო წუთებზე გვაჯობა. საქართველოს ნაკრები ხომ ფავორიტია, მაგრამ ამ მატჩშიც, ვფიქრობ, თანაბარი თამაში იყო და თქვენმა გუნდმა ბოლო წუთებზე უფრო უკეთ ითამაშა."*

### სხვა მატჩები

ერთა თასის მეორე ტურის შეხვედრებიდან გამოსარჩევია ბელგიისა და ესპანეთის ნაკრებების დაპირისპირება, რომელიც ბრიუსელში შედგა და ფრედ 21:21 დასრულდა. მატჩის მსვლელობისას მასპინძლები ათი ქულის სხვაობით იგებდნენ 18:8, თუმცა ესპანელებმა თამაშის დასრულებამდე 11 წუთით ადრე ანგარიშში დაწინაურება შეძლეს - 21:18. „შავი ეშმაკების" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ დანებდნენ და ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს. მეტიც, მათ მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ ბელგიელთა ფულბეკმა და მთავარმა მექულემ **ალან ვილიამსმა** მატჩის დასკვნით ხუთ წუთში ორი საჯარიმო ვერ გაიტანა.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა მატჩი ბუქარესტში, სადაც რუმინეთის ნაკრებმა რუსეთის ეროვნულ გუნდს სძლია - 29:14. არადა, რუსებმა პირველი ტაიმი 11:6 მოიგეს. მეორე ნახევარში „სტეუარიმ" დაწინაურება შეძლო და მატჩის მიწურულამდე მხოლოდ ხუთი ქულით იგებდა - 19:14.

თამაშის დასრულებას ორ წუთი აკლდა, როცა შუამარბმა **ფლორინ ვლაიკუმ,** ჯერ საჯარიმო გაიტანა - 22:14. მერე კი, მატჩის ბოლო წუთზე, მეტოქეს გადაცემა ჩაუჭრა და ლელო მიითვალა, რომელიც თვითონვე გარდასახა - 29:14. ვლაიკუმ გუნდს 24 ქულა შესძინა (ერთი ლელო, ორი გარდასახვა და ხუთი საჯარიმო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ნადალმა აკრიფა



ნადალი ნახევარფინალის შემდეგ

ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** ვინა დელ მარის ტურნირის ფინალში გააღწია. მართალია, რაფა ჯერ საკუთარი თავის აჩრდილია და ასი პროცენტით ვერ იხარჯება კორტზე, მაგრამ ამის მიუხედავად, სეტის წაუგებლად მოიპოვა გადამწყვეტ მატჩში თამაშის უფლება.

მეოთხედფინალში ნადალი თანამემამულე **დანიელ ხიმენო-ტრავეროს** ხვდებოდა და პირველ სეტში გაანადგურა მეტოქე (6:1), მაგრამ მეორე პარტიაში სერიოზულ პრობლემებს წააწყდა. ხიმენო-ტრავერო უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო, შეძლებდა კიდეც გამარჯვების მოპოვებას, მაგრამ 4:4-ზე რაფამ ბრეიკის შესრულება შეძლო, რაც პრაქტიკულად გამარჯვებას ნიშნავდა. თუმცა დანიელმა გაბრძოლება სცადა და მეათე გეიმში ოთხი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ ნადალი ჯიუტად იგერიებდა საფრთხეს, ბოლოს კი მაინც მიაღწია სანადელს.

რაფა ნახევარფინალში ფრანგ **ჟერემი შარდიზე** გავიდა. ამ უკანასკნელისგან ავსტრალიის ღია პირველობაზე ნაჩვენები შთამბეჭდავი შედეგის (მეოთხედფინალში გასვლა) შემდეგ, ვინა დელ მარში გაცილებით მეტს ელოდნენ, მაგრამ ფრანგმა ულაპარაკოდ დათმო ნახევარფინალი რაფას წინააღმდეგ. ამ მატჩში ინტრიგა მხოლოდ საწყის გეიმში იყო, რომელშიც ნადალმა სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა, მაგრამ მაინც არ მისცა მეტოქეს ბრეიკის საშუალება. ამის შემდეგ, შარდი პრაქტიკულად სტატისტის როლში დარჩა კორტზე. პირველ პარტიაში ორი ბრეიკის წყალობით, რაფაელმა 6:2 მოიგო და სრულად დააწესა კონტროლი შეხვედრაზე. იმავე ანგარიშით აიღო მან მეორე პარტია და 65 წუთში გაიფორმა ფინალში გასვლა, სადაც არგენტინელ **ორასიო სებალიოსს** შეხვდება, რომელმაც ნახევარფინალში თანამემამულე **კარლოს ბერლოკი** დაამარცხა ორ სეტში - 6:3, 7:6(4).

*„კმაყოფილი ვარ იმ თამაშით, რომელსაც ჩილეში ვაჩვენებ. ჩემი აზრით, ყოველი მატჩის შემდეგ ვუმატებ. ამ ეტაპზე ამაზე უკეთესს ვერაფერს ვინატრებდი.*

*უაზრობაა ჩემი დღევანდელი ფორმის შედარება იმასთან, რაც ტრავმის მიღებამდე იყო. დავიწყე ახალი სეზონი და მოხარული ვარ, რომ მაშინვე ფინალში გავედი“*, - განაცხადა ნახევარფინალის შემდეგ ნადალმა, რომელსაც ასევე ელის ფინალი წყვილთა თანრიგში.

**გია თვალაბეიშვილი**

რაგბი. ექვსი ერი




ჯორჯ ნორსის ლელო

# პომები დიდ სლემს მიუახლოვდნენ

ექვსი ერის გათამაშების მეორე ტური პირველზე არანაკლებ საინტერესო გამოდგა. ისევ მოულოდნელად დამარცხდა საფრანგეთის ნაკრები. „ლე ბლომ“ შინ წააგო ხშირი ტრავმიანობისგან მნიშვნელოვნად დასუსტებულ უელსის ეროვნულ გუნდთან - 6:16. შოტლანდიელებმა კი საკუთარ მოედანზე შანსი არ დაუტოვეს პირველი ტურის გმირ იტალიას - 34:10. ფავორიტმა ინგლისის ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში სტუმრად მოუგო უშუალო კონკურენტ ირლანდიას - 12:6.

საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა **ფილიპ სენტ-ანდრემ** აღიარა, რომ უელსის ეროვნულმა გუნდმა უკეთესად ითამაშა და დამსახურებულად მოიგო. „ლე ბლომ“ 1982 წლიდან მოყოლებული პირველად წააგო სტარტზე ზედიზედ ორი მატჩი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მორიგი ორი შეხვედრა ფრანგებმა სტუმრად უნდა გამართონ ინგლისისა და ირლანდიის ნაკრებებთან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი „ხის კოვზის“ მოპოვების უმთავრესი კანდიდატები არიან. არადა, ლაპარაკია იმ გუნდზე, რომელმაც ნოემბრის ტესტებზე დაუმარცხებლად იასპარეზა.

*„ჩვენ ტიტულის მოპოვების შანსი აღარ გვაქვს, თუმცა ღირსების შენარჩუნება ჯერ კიდევ შესაძლებელია. უელსელები პარიზში ზედიზედ რვა წაგების შემდეგ ჩამოვიდნენ და ჩვენთან გამარჯვებით ეს სერია შეწყვიტეს. უნდა ვაღიაროთ, რომ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ყველაფერი უნდა ვილონოთ, რათა ორი კვირის თავზე ინგლისში „თვიქნემზე“ დაკარგული რენომე აღვიდგინოთ“.*

*უელსელებთან წაგებას გამართლება არ აქვს. „წითელი ურჩხულები“ უფრო აგრესიულები და კრეატიულები იყვნენ და დამსახურებულად მოიგეს კიდეც. ჩვენ „დავფრინავდით“ ნოემბერში, მაგრამ ახლა მწარედ დავენარცხეთ ძირს, თუმცა ხელების ჩამოშვება არაფრით შეიძლება. პირიქით, ძალა უნდა მოვიკრიბოთ, რათა სატურნირო მდგომარეობა გამოვასწოროთ,“* - თქვა ფილიპ სენტ-ანდრემ.

თამაშის სამოცდაათი წუთი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, რაც ანგარიშშიც ზუსტად იყო ასახული - 6:6. დასკვნით ათ წუთში კი უელსელებმა მეტი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს. უნიათოდ მოთამაშე ფრანგები ჯერ შესანიშნავად გათამაშებული კომბინაციის შედეგად გარემარბ **ჯორჯ ნორსის** გატანილი ლელოთი დასაჯეს, მერე ზედ საჯარიმოც მიაყოლეს - 16:6.

შესანიშნავად ითამაშა „მერიფილდზე“ შოტლანდიის ნაკრებმა, რომელმაც მუდმივი კონკურენტი იტალიის ეროვნული გუნდი დიდი ანგარიშით 34:10 დაამარცხა. „სკოტების“ ასეთი გარჯა მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, რადგან პირველ ტურში, ინგლისელებთან მარცხის მიუხედავად, ისინი სოლიდურად გამოიყურებოდნენ.

ისევ შეუდარებელი იყო „ნარშავების“ ფულბეკი **სტიუარტ ჰოგი**, რომელმაც მეორე ტაიმის დასაწყისში, მორიგი ასმეტრიანი რეიდი განახორციელა და მეტოქის ლელოში შეიჭრა. სულ „სკოტებმა“ მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს, რაზეც „სკუადრა აძურამ“ მხოლოდ ერთით უპასუხა. იტალიელები, პირველ მატჩთან შედარებით ინერტულად ირჯებოდნენ და სწორედ ამიტომ იყო, რომ მეტოქეს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

დუბლინში, დიდი მცდელობის მიუხედავად, ირლანდიის ნაკრებმა ვერაფრით დაამარცხა ინგლისის ეროვნული გუნდი. „პომები“ მთელი მატჩის განმავლობაში დაცვაში ყურადღებით გაისარჯნენ და მეტოქეს ექვს ქულაზე მეტის მოპოვების საშუალება არ მისცეს. მათმა მგეზავმა **ოუენ ფარელმა** კი ოთხი საჯარიმო გაიტანა. შედეგად ინგლისელები სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს „დიდი სლემისკენ“.

თამაშის მსვლელობისას „სამყურებს“ წამყვანი მორაგბეები - მგეზავი **ჯონათან სექსტონი** და გარემარბი **საიმონ ზებო** დაუშავდათ.

**II ტური**

**საფრანგეთი-უელსი 6:16**

**საფრანგეთი:** 2ს - მიშალაკი

**უელსი:** ლ - ნორსი. 3ს, გ - ჰალპფენი.

**შოტლანდია-იტალია 34:10**

**შოტლანდია:** 4ლ - ვიზერი, სკოტი, ჰოგი, ლამონტი. 4გ,2ს - ლაიდლოუ.

**იტალია:** ლ - ძანი. გ - ბარტონი. ს - ორკუერა.

**ირლანდია-ინგლისი 6:12**

**ირლანდია:** 2ს - ოგარა.

**ინგლისი:** 4ს - ფარელი.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ინგლისი - 4 ქულა, 2. შოტლანდია - 2, 3. ირლანდია - 2, 4. უელსი - 2, 5. იტალია - 2, 6. საფრანგეთი - 0.

**III ტური**

**23 თებერვალი**

იტალია-უელსი

ინგლისი-საფრანგეთი

**24 თებერვალი**

შოტლანდია-ირლანდია

**ბესიკ ჯანგავაძე**

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| ნიუ იორკი-კლიპერსი | 88:102 |
| **გერმანია** | |
| ბაიერნი-ალბა | 79:61 |
| მიტელდოიჩე-ბრემერჰავენი | 74:64 |
| ბამბერგი-ოლდენბურგი | 94:88 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 81:78 |
| **ესპანეთის თასი** | |
| ბარსელონა-ვალენსია | 85:69 |
| **იტალიის თასი** | |
| მონტეპასკი-ვარეზე | 77:74 |
| **თურქეთის თასი** | |
| ფენერბაჰჩე-გალათასარაი | 63:57 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **NHL** | |
| დეტროიტი-ლოს ანჯელესი | 3:2 |
| **ევროტური** | |
| რუსეთი-ჩეხეთი | 1:2 |
| შვედეთი-ფინეთი | 2:5 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მონპელიე** | |
| გასკე-პერი | 6:2, 6:3 |
| **ATP. ვინა დე მარი** | |
| ნადალი-სებალიოსი | გვიან დასრულდა |
| **ATP. ზაგრები** | |
| ჩილიჩი-მელცერი | 6:3, 6:1 |

ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი

| ჩეხეთი-ავსტრალია | 4:0 |
|---|---|
| 1:0 პეტრა კვიტოვა-იარმილა გაიდოშოვა | 7:6(2), 6:3 |
| 2:0 ლუსი საფაროვა-სამანტა სტოსური | 7:6(6), 7:6(4) |
| 3:0 პეტრა კვიტოვა-სამანტა სტოსური | 2:6, 7:6(3), 6:4 |
| ლუსი საფაროვა-იარმილა გაიდოშოვა | არ გაიმართა |
| 4:0 ჰლავაჩკოვა/ჰრადეცკა-ბარტი/დელაკუა | 6:0, 7:6(1) |

| იტალია-აშშ | 3:2 |
|---|---|
| 1:0 სარა ერანი-ჯეიმი ჰემპტონი | 6:2, 6:1 |
| 1:1 რობერტა ვინჩი-ვარვარა ლეპჩენკო | 6:2, 4:6, 5:7 |
| 1:2 სარა ერანი-ვარვარა ლეპჩენკო | 5:7, 2:6 |
| 2:2 რობერტა ვინჩი-ჯეიმი ჰემპტონი | 6:2, 4:6, 6:1 |
| 3:2 ერანი/ვინჩი-ჰუბერი/ლეპჩენკო | 6:2, 6:2 |

| რუსეთი-იაპონია | 3:2 |
|---|---|
| 1:0 მარია კირილენკო-კიმიკო დატე | 7:6(3), 6:4 |
| 1:1 ეკატერინა მაკაროვა-აიუმი მორიტა | 2:6, 2:6 |
| 1:2 ელენა ვესნინა-აიუმი მორიტა | 4:6, 1:6 |
| 2:2 ეკატერინა მაკაროვა-კიმიკო დატე | 6:1, 6:1 |
| 3:2 მაკაროვა/ვესნინა-დოი/მორიტა | 6:2, 6:2 |

| სერბეთი-სლოვაკეთი | 2:3 |
|---|---|
| 0:1 ბოიანა იოვანოვსკი-დანიელა ჰანტუხოვა | 5:7, 2:6 |
| 1:1 ვერა დოლონცი-დომინიკა ციბულკოვა | 4:6, 4:5 უარი |
| 1:2 ბოიანა იოვანოვსკი-იანა ჩეპელოვა | 7:5, 5:7, 9:11 |
| 1:3 ვერა დოლონცი-დანიელა ჰანტუხოვა | 3:6, 2:6 |
| 2:3 დოლონცი/კრუნიჩი-ჩეპელოვა/რიბარიკოვა უარი | |

**1/2 ფინალი**

იტალია-ჩეხეთი, რუსეთი-სლოვაკეთი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

| 8 თებერვალი | |
|---|---|
| ვაშინგტონი-ბრუკლინი | 89:74 |
| შარლოტი-ლეიკერსი | 93:100 |
| ინდიანა-ტორონტო | 98:100 (ო) |
| ატლანტა-ნიუ ორლეანი | 100:111 |
| დეტროიტი-სან ანტონიო | 119:109 |
| კლივლენდი-ორლანდო | 119:108 |
| მაიამი-კლიპერსი | 111:89 |
| მემფისი-გოლდენ სტეიტი | 99:93 |
| ჰიუსტონი-პორტლენდი | 118:103 |
| ოკლაჰომა-ფინიქსი | 127:96 |
| მინესოტა-ნიუ იორკი | 94:100 |
| იუტა-ჩიკაგო | 89:93 |
| **9 თებერვალი** | |
| კლივლენდი-დენვერი | 103:111 |
| ფილადელფია-შარლოტი | 87:76 |
| მილუოკი-დეტროიტი | 100:105 |
| დალასი-გოლდენ სტეიტი | 116:91 |
| საკრამენტო-იუტა | 120:109 |

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

| 9 თებერვალი | |
|---|---|
| დალასი-ანაჰაიმი | 3:1 |
| **10 თებერვალი** | |
| ნიუ ჯერსი-პიტსბურგი | 3:1 |
| ფილადელფია-კაროლინა | 4:3 (ო) |
| ოტავა-ვინიპეგი | 0:1 |
| დეტროიტი-ედმონტონი | 2:1 |
| სან ხოსე-ფინიქსი | 0:1 (ბ) |
| მონრეალი-ტორონტო | 0:6 |
| აილენდერსი-ბაფალო | 2:3 |
| ვაშინგტონი-ფლორიდა | 5:0 |
| სენტ ლუისი-ანაჰაიმი | 5:6 (ბ) |
| მინესოტა-ნეშვილი | 2:1 (ო) |
| ვანკუვერი-კალგარი | 5:1 |
| ბოსტონი-ტამპა ბეი | გადაიდო |

ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი

**კაცები**

**სპრინტი**

1. **ემილ ჰეგლე სვენდსენი** (ნორვეგია) - 23:25.1 (0+1); 2. **მარტენ ფურკადი** (საფრანგეთი) - +8.1 (0+1); 3. **იაკოვ ფაკი** (სლოვენია) - +11.2 (0+0); 4. **ოლე ეინარ ბიორნდალენი** (ნორვეგია) - +19.9 (0+1); 5. **დმიტრი მალიშკო** (რუსეთი) - +23.2 (0+0); 6. **ალექსის ბიოფი** (საფრანგეთი) - +25.0 (0+0)...

**გამოდევნებით**

1. **ემილ ჰეგლე სვენდსენი** (ნორვეგია) - 32:35.5 (1); 2. **მარტენ ფურკადი** (საფრანგეთი) - +0.1 (2); 3. **ანტონ შიპულინი** (რუსეთი) - +3.6 (0); 4. **დმიტრი მალიშკო** (რუსეთი) - +5.4 (0); 5. **დომინიკ ლანდენტინგერი** (ავსტრია) - +20.4 (0); 6. **იაკოვ ფაკი** (სლოვენია) - +29.7 (1)...

**ქალები**

**სპრინტი**

1. **ელენა პიდგრუშნაია** (უკრაინა) - 21:02.1 (0+0); 2. **ტორა ბერგერი** (ნორვეგია) - +6.4 (0+1); 3. **ვიტა სემერენკო** (უკრაინა) - +22.8 (0+0); 4. **ოლგა ზაიცევა** (რუსეთი) - +24.5 (0+1); 5. **ოლგა ვილუხინა** (რუსეთი) - +25.3 (0+0); 6. **მირიამ გესნერი** (გერმანია) - +33.1 (2+0)...

**გამოდევნებით**

1. **ტორა ბერგერი** (ნორვეგია) - 28:48.4 (3); 2. **კრისტინა პალკა** (პოლონეთი) - +18.5 (2); 3. **ელენა პიდგრუშნაია** (უკრაინა) - +21.5 (2); 4. **ოლგა ზაიცევა** (რუსეთი) - +23.0 (3); 5. **ეკატერინა გლაზირინა** (რუსეთი) - +45.4 (0); 6. **ანდრეა ჰენკელი** (გერმანია) - +49.2 (0)...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო თხილამურები. მსოფლიოს ჩემპიონატი



აქსელ ლუნდ სვინდალი

# კანონზომიერება და სენსაცია

შლადმინგში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მამაკაცებმა მედლების მეორე კომპლექტი გაითამაშეს. როგორც იცით, პირველ დისციპლინაში, სუპერგიგანტში სენსაცია მოხდა - ოქრო მოიგო ამერიკელმა **ტედ ლიგეტიმ** იმ დროს, როცა ყველა გამარჯვებას ნორვეგიელ **აქსელ ლუნდ-სვინდალს** უწინასწარმეტყველებდა.

ასე რომ, სკანდინავიელს სიტუაცია შაბათის სწრაფდაშვებაში უნდა გამოესწორებინა. მის მხარდასაჭერად შლადმინგში მამამისიც ჩავიდა, რომელიც იშვიათად ესწრება ხოლმე შვილის სტარტებს.

ავსტრიული ტრასა ტექნიკურად ძალიან რთულია და აქ პრაქტიკულად ყველა უშვებს შეცდომას. ხარვეზები სვინდალსაც ჰქონდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია აქსელისთვის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში. თან ეს ძალიან დამაჯერებლად გააკეთა - 46 მეასედი წამი მოუგო იტალიელ **დომინიკ პარისს**, რომელმაც ამ სეზონში ორი სწრაფდაშვება მოიგო და ამ დისციპლინაში ლიდერობს მსოფლიოს თასის ჩათვლას.

სვინდალმა კარიერაში მეორედ მოიგო სწრაფდაშვებაში მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველად მან ეს 2007 წელს, შვედეთის კურორტ არეში შეძლო. სულ კი პლანეტის პირველობებსა და ოლიმპიადებზე ეს მისი მე-11 მედალი იყო. ამ მხრივ, რეკორდსმენია სვინდალის თანამემამულე **ჩეტილ ანდრე აამოდტი**, რომელსაც 20-მედლიანი კოლექცია აქვს.

ბრინჯაოს მედალი საკმაოდ მოულოდნელად მოიგო **დავიდ პუასონმა. დე ტესერიეს** შემდეგ, ის მეორე ფრანგი მედალისტი გახდა ამ ჩემპიონატზე, რასაც ჩქაროსნულ დისციპლინებში არავინ ელოდა.

რაც შეეხება სწრაფდაშვებაში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, კანადელ **ერიკ გუეის**, მან ტრასის შუაში სერიოზული შეცდომა დაუშვა და დისკვალიფიკაცია მიიღო.

■ ■ ■

გუშინ, სწრაფდაშვებაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს ქალები და აქ ნამდვილი სენსაციის მოწმენი გავხდით. ოქროს მედალი მოიგო 30 წლის ფრანგმა **მარიონ როლანმა**, რომელსაც აქამდე არასოდეს გაუმარჯვია მსოფლიოს თასის ეტაპებზე და უფრო იმით იყო ცნობილი, რომ 2010 წლის ოლიმპიადაზე სწრაფდაშვებაში საშინელი კატასტროფა განიცადა.

როლანი გახდა პირველი ფრანგი ქალი მოთხილამურე 1966 წლის შემდეგ, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე სწრაფდაშვების სტარტი მოიგო. 47 წლის წინ ეს გააკეთა **მარიელ გუატშელმა**. მაშინ კურიოზულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი - ოქრო მოიპოვა ავსტრიელმა **ერიკა შინეგერმა**, მაგრამ მოგვიანებით მას ჩამოართვეს მედალი, რადგან გენდერულმა ტესტმა აჩვენა, რომ ის მამაკაცი იყო.

როლანს მსგავსი სკანდალი არ დასჭირვებია კარიერაში პირველი დიდი გამარჯვების მოსაპოვებლად. ჩემპიონს მხოლოდ იტალიელი **ნადია ფანკინისგან** შეხვდა წინააღმდეგობა და მას 16 მეასედი წამი მოუგო. გერმანელი **მარია რიში** მესამეზე გავიდა და ორი დღის წინ, სუპერკომბინაციაში მოპოვებულ ოქროს ბრინჯაოს მედალი დაუმატა.

ამჯერად, ხელი მოეცარა სლოვენიელ **ტინა მაზეს**. სეზონის ლიდერს მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთივე დისციპლინაში ჰქონდა დაგეგმილი მედლის მოპოვება, მაგრამ გუშინ ის 1.21-ით ჩამორჩა გამარჯვებულს და მეშვიდე ადგილზე გავიდა.

| სწრაფდაშვება | |
|---|---|
| **კაცები** | |
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორ) | 2:01.32 |
| 2. დომინიკ პარისი (იტა) | +0.46 |
| 3. დავიდ პუასონი (საფ) | +0.97 |
| 4. კლაუს კრიოლი (ავსტრია) | +1.35 |
| 5. ანდრეას რომარი (ფინ) | +1.36 |
| 6. სილვენ ცურბრიგენი (შვეიც) | +1.37 |
| **ქალები** | |
| 1. მარიონ როლანო (საფ) | 1:50.00 |
| 2. ნადია ფანკინი (იტალია) | 1:50.16 |
| 3. მარია რიში (გერმანია) | 1:50.70 |
| 4. ნადია კამერი (შვეიცარია) | 1:50.74 |
| 5. ჯულია მანკუზო (აშშ) | 1:50.85 |
| 6. სტეისი კუკი (აშშ) | 1:50.91 |

ველოსპორტი

# სუპერმარიოც გასვრილია?


მარიო ჩიპოლინი

„გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, წარსულში ცნობილი იტალიელი ველომრბოლი **მარიო ჩიპოლინი** სკანდალურად ცნობილი ექიმის **აუფემიანო ფუენტესის** კლიენტი იყო.

ავტორიტეტულ გამოცემას გააჩნია წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ ორიათასიანი წლების დასაწყისში, ფუენტესი ჩიპოლინის ერითროპოეტინით და ზრდის ჰორმონით ამარაგებდა.

მოგვიანებით, ამ ამბავს გამოეხმაურა ჩიპოლინის ადვოკატი **ჯუზეპე ნაპოლეონე** და აბსურდული უწოდა ველომრბოლის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს.

*„კატეგორიულად უარვყოფთ ყოვლად აბსურდულ და დაუსაბუთებელ ბრალდებებს ჩემი კლიენტის მისამართით“*, - ამბობს ადვოკატი.

ჩიპოლინი ყველა დროის ერთ-ერთ უდიადეს სპრინტერად არის აღიარებული. მას ჯირო დ'იტალიას 42 ეტაპი აქვს მოგებული, 2002 წელს, 35 წლის ასაკში მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი.

შეგახსენებთ, რომ დღეს ექიმი ფუენტესი მთავარი ფიგურანტია გახმაურებულ დოპინგ-სკანდალში, რომელსაც „ოპერაცია პუერტო“ უწოდეს. ამ საქმესთან დაკავშირებით, ამჟამად, სასამართლო პროცესი მიმდინარეობს.

ფორმულა 1

# დევიდს და მოუკვდა

შაბათს ბრიტანულმა პრესამ სამწუხარო ინფორმაცია გაავრცელა ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტის **დევიდ კულტჰარდის** დის - 35 წლის **ლინსეი ჯექსონის** გარდაცვალების შესახებ. სამედიცინო დახმარების ბრიგადა დილით გამოიძახეს მის სახლში, მაგრამ ექიმებმა ქალის გადარჩენა ვერ შეძლეს.

მომხდარის მიზეზების შესახებ ინფორმაცია ჯერ არ არსებობს. ადგილობრივი პოლიცია იტყობინება, რომ არანაირი საეჭვო გარემოება არ აღმოუჩენიათ.

მისის ჯექსონი თავისი სახელგანთქმული ძმის სარბოლო მუზეუმის ხელმძღვანელი იყო. დევიდი შაბათს, დილით სატელევიზიო პროგრამაში იღებდა მონაწილეობას და ამ სამწუხარო ამბის შესახებ ეთერის შემდეგ შეიტყო.

ლინსეი ჯექსონს დარჩა მეუღლე - **უილ ჯექსონი** და ქალიშვილი - **ემილი**, რომელიც მხოლოდ რვა თვისა იყო.


ლინსეი ჯექსონი

მძლეოსნობა

# ბოლტმა პირველი სტარტი წააგო

ლეგენდარულმა იამაიკელმა სპრინტერმა უსაინ ბოლტმა 2013 წლის სეზონის პირველ სტარტში მიიღო მონაწილეობა. ექვსგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქალაქ კინგსტონში მისთვის უჩვეულო დისტანციაზე - 400 მეტრზე გაირბინა.

100 და 200 მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენმა დისტანცია 46.71 წამში დაფარა, რაც 0.5 წამით ნაკლები იყო გამარჯვებულის - **უორენ უეირის** დროზე. ბოლტი მესამე ადგილზე გავიდა, მეორე იყო კიდევ ერთი ცნობილი იამაიკელი სპრინტერი **იოჰან ბლეიკი** - 46.64.

■ ■ ■

გასულ უქმეებზე დონეცკში გაიმართა ტრადიციული ტურნირი - „ჭოკის ვარსკვლავები“.

მამაკაცთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ფრანგმა **რენე ლავილენიემ**. მან 5.85 მეტრი დააფიქსირა. აღსანიშნავია, რომ ლავილენიემ ეს ტურნირი მესამედ მოიგო.

ქალებს შორის საუკეთესო იყო კუბელი **იარისლი სილვა** შედეგით - 4.76 მეტრი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდზე და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608